

**სტუდენტური  
სამართლებრივი ურნალი**

2012



## სარჩევი

აკაკი გაწერელია ხელშექრულების მომზადების ეტაპზე აღმოცენებული ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ანალიზი, სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებაში	6
გიორგი ასათაშვილი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება	14
მარიამ ჯანიაშვილი ბავშვის უფლებების დაცვა/ გათვალისწინება განქორწინებისას	21
ნინო ბეგიაშვილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის არსი და თავისებურებანი	25
ნინო ქოჩიაშვილი თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე დამყარებული სამართალწარმოება მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას	32
რუსულან როგავა უზრუნველყოფითი ცესია და მოვალის გარანტიის სამართლებრივი ბუნება	38
სალომე ქავთარაძე მეუღლეთა თანასკუთრების უფლების წარმოშობის პრობლემა უძრავ ნივთებთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში.	43
სიმონ ტაკაშვილი მიშენების სამართლებრივი მდგომარეობა იპოთეკის საგნის რეალიზაციის დროს	49
თამარ გადრანი არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებამოსილების ფარგლები	58
თორნიკე დარჯვანია უზრუნველყოფილი ცესია და მოვალის გარანტია	67
<b>რუპრიკა - სასამართლო</b> ქეთევან მესხიშვილი „სამოქალაქო წარმოების თავისებურებათა მატერიალურ-პროცესუალური ანალიზი“	80
ქეთევან მესხიშვილი მართლაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი	94
<b>რუპრიკა - მოცვეული პროცესორი</b> ზურაბ ძლიერიშვილი სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება	104

\*\*\*

GIZ-ისა და ელსას სტუდენტური სამართლებრივი უკვე ერთგვარ ტრადიციად იქცა. წინამდებარე პუბლიკაცია მეორე გამოცემაა, რომელიც სასწავლო წლის დაგვირგვი-ნებას წარმოადგენს და მოტივაციას უნევს სტუდენტებს, თავიანთი წვლილი შეიტანონ აქტუ-ალური, მწვავე, პრობლემატური და საინტერესო სამართლებრივი საკითხების შესწავლასა და მეცნიერულ განხილვაში. გარდა ახალგაზრდული წვლილისა სტუდენტი თავად იწაფება მეცნიერულ შრომასა და აკადემიურ წერაში, რომელიც ესენციალური მნიშვნელობისაა ნე-ბისმიერი (აკადემიური თუ პრაქტიკული) პროფესიისთვის. წლევანდელი ნომერი სპეციფი-კურია იმდენად, რამდენადაც იგი მოიცავს და ეძღვნება სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზს.

სასამართლო პრაქტიკა იურიდიული განათლების მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწი-ლია. კონტინენტურ სამართლებრივ სისტემებშიც სასამართლო პრაქტიკა და ე.ნ. სამო-სამართლო სამართალი ისევე მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში, როგორც კოდიფიკაციები და მათი განმარტება-გამოყენების საკითხებისა და მეთოდების შესწავლა. სამართლის გარკვეულ სფეროებში კი (მაგალითად, ინტელექტუალური საკუთ-რება) სასამართლო ფაქტობრივად იკავებს კანონმდებლის ადგილს, რათა სათანადო პასუ-ხი გასცეს ტექნოლოგიებისა თუ საზოგადოებრივი განვითარების ახალ გამოწვევებს.

გარდა უმაღლესი განათლებისა, სასამართლო პრაქტიკა და გადაწყვეტილებები ხშირად არის ასევე სამეცნიერო განხილვის საგანი. ყველა რენომირებულ უურნალში გამოყოფილია შესაბამისი რუბრიკა, სადაც განხილულია განსაკუთრებით საინტერესო გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებების განხილვის პროცესსა და ტრადიციას ბევრი მოსარგებლე ჰყავს: მოსა-მართლისთვის მას აქვს ერთგვარი ექსო ფუნქცია, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად შესაძლებლობას აძლევს მას, იმუშავოს საკუთარ თავზე და მოისმინოს, როგორ აღნევს მისი გადაწყვეტილებები საზოგადოებამდე. სასამართლო სისტემის გადმოსახედიდან ასე-თი ანალიზი ხელს უწყობს პრაქტიკის განზოგადებას. საზოგადოებისთვის აღნიშნულ პრო-ცესს სასამართლო პრაქტიკის გაცნობასთან ერთად აქვს ასევე გამჭვირვალეობის ეფექტი. ხოლო თავად იურისტებისათვის ეს არის მეცნიერული განსჯა, პროფესიული მსჯელობა, რაც მუდმივად თან უნდა სდევდეს ჭეშმარიტების მაძიებელ პროფესიას.

როგორც ზემოთ აღნიშნე, წინამდებარე უურნალი მოიცავს სასამართლო გადა-წყვეტილების მეცნიერულ ანალიზს. ამასთან, სტუდენტებთან ერთად მოწვეულები არიან როგორც სასამართლოს, ისე აკადემიური წრის წარმომადგენლები, რაც კიდევ უფრო საინ-ტერესოს და ხდის პუბლიკაციას და გარკვეულ პრესტიუსაც ჰმატებს მას.

სამხრეთ-კავკასიის ქვეყნებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადო-ება (GIZ) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს BMZ-ის ეგიდით სხვადასხვა პროექტს ახორციელებს სამართლისა და იუსტიციის რეფორ-მების მხარდასაჭერად. ასევე გამოიცემა პერიოდული დარგობრივი ლიტერატურაც. წინამ-დებარე პუბლიკაციაც სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითა.

მოხარულები ვართ, რომ უურნალი უკვე იქცა საინტერესო და პროდუქტიული დისკუ-სიის პლატფორმად და სტუდენტთა და ახალგაზრდა იურისტთა მეცნიერული შრომის წამა-ხალისებლად.

ეთუნა ჩაჩანიძე

GIZ-ის პროგრამის „სამართლისა და იუსტიციის რეფორმების კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში“ სამართლის ექსპერტი და იურიდიული მთარგმნელი

## წინასიტყვაობა

აკადემიური საქმიანობა საქართველოს ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ელსა საქართველო) ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ კუთხით, ელსა საქართველო უკვე მეორე წლია თანამშრომლობს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ), რათა ხელი შეუწყოს სტუდენტთა და ახალგაზრდა იურისტთა მიერ სამართლის აქტუალურ საკითხებზე კვლევის ჩატარებას და უზრუნველყოს შემუშავებული დასკვნის ხელმისაწვდომობა იურიდიული საზოგადოების ფართო წრისათვის.

სტუდენტური-სამართლებრივი უურნალის მეორე ნომერი სპეციფიურია, იმ კუთხით, რომ მასში განხილული თითოეული საკითხი ეფუძნება უშუალოად სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზს. შესაბამისად, სტუდენტებს მიეცათ საშუალება მოქადაგინათ მათი ინტერესის სფეროში შემავალი საკითხის ირგვლივ სასამართლო პრაქტიკის განზოგადება და ანალიზი, ემსჯელათ სასამართლოს მიერ ნორმის განმარტებისა და შეფარდების საკითხებზე და დაესახათ პრაქტიკაში არსებული პრობლემის გადაჭრის მათეული ხედვა.

სტუდენტური-სამართლებრივი უურნალი კვლავაც ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიულ განვითარებასა და აკადემიური წერის კულტურის ამაღლებაზე. ჩვენ მყარად გვნამს, რომ თანამედროვე საქართველოში თითოეულ სტუდენტს უნდა გააჩნდეს პრეტენზია და ასპარეზი იმისა, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, რომლის უმთავრესი წინამძღვარი დემოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული ინტელექტუალური, განათლებული საზოგადოებაა. სწორედ ამ სულისკვეთებას ახმიანება სტუდენტური-სამართლებრივი უურნალი, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული სამართლის განვითარებასა და მის ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის პროცესს.

**ნინო ბეგიაშვილი**  
ელსა საქართველო

აკაკი გაწერელია<sup>1</sup>

**ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე  
აღმოცენებული ურთიერთობების  
მარეგულირებელ ნორმათა ანალიზი,  
სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულ  
საკითხებთან მიმართებაში**

**შესავალი**

როგორც ცნობილია, მხარეთა შორის სადავო ურთიერთობათა განხილვისას, სა-სამართლო, შესაბამისი მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაციის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს, თუ არა სამართალწარმოების ინიციატორის მოთხოვნა. განსაკუთრებით, სასამართლოს მხრი-დან დაკონკრეტების საჭიროება არსებობს იმ შემთხვევებში, როდესაც მარეგულირებ-ელ ნორმათა შესაბამისი დებულებები ზოგადი ან/და აბსტრაქტული ხასიათისაა<sup>2</sup>. სა-სამართლოს უპირველესი მიზანია დაადგინოს გამოსაყენებელი ნორმის ტელეოლოგიური მნიშვნელობა, კერძოდ, თუ რა განზრახვა ჰქონდა კანონმდებელს ნორმის შემუშვები-სას<sup>3</sup> და მხოლოდ ამის შემდეგ განაწეოს შესაბამის სამართლებრივი შედეგი. ყოველივე ზემოთქმულს საფუძვლად უდევს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირეული ელემენტი, რომლის თანამხად - კანონი პარლამენტის მიერ ხალხის შეჯერებული ნების გამოხატულებაა და მოსამართლეს მხოლოდ მაშინ შეუძლია “სამართლის” ღალადება, თუ მისი გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეობს<sup>4</sup>.

ბოლო პერიოდში დამკვიდრებული ტენდენციის მიხედვით, სამოსამართლო სამართლის როლმა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საგრძნობი მნიშვნელობა შეიძინა. აღნიშნული, სხვა ფაქტორებთან ერთად გამოვლინებას ჰპოვებს, სასამართლო პროცესზე მხარის მიერ მსგავსი ტიპის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, როგორც სარეკო-მენდაციო (და არა არასავალდებული) დოკუმენტის, მტკიცებულების სახით წარდგენის შესაძლებლობაში<sup>5</sup>. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ იდენტური სამართალურთიერთობის რეგულირებასთან დაკავშირებით ყოველ კონკრეტულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილე-ბა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოსამართლის ერთადერთ და ცალსახა შეხედულებად. სასამართლო გადაწყვეტილებებით დამკვიდრებული შეხედულება შესაძლოა მომავალ-ში შეიცვალოს, რაც თავისთავად ბუნებრივი და დინამიური მოვლენაა. ეს შესაძლოა

1. თსუს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი
2. იხ. ასევე: გიორგი ვაშაკეძე, ქართული სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 10/2007. გვ. 18.
3. შეად.: სოფორ ჩაჩავა, მოთხოვნებს და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი 2010. გვ 54.
4. ჰაინ ბოლინგი/პეტერ ლუტერინგჰჰუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009.
5. სოფორ ჩაჩავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010. გვ. 43 და შემდგომი.

დამოკიდებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებზე, კერძოდ, საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც განსახილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სპეციფიურობა, ისე, ევროპული ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ სადაც საკითხისადმი მიდგომის გაზიარება<sup>6</sup>.

სასამართლოების მეშვეობით რეგულირდება სხვადასხვა კატეგორიისა და სირთულის სადაც ურთიერთობები. ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის ინტერესებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ნაკლებად პრობლემატურია საკითხი, რომელიც ეხება ერგვაროვან და შინაარსობრივად მიმსგავსებულ სასამართლო დავებს. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, იდენტური ტიპის საქმეთა განხილვისას სასამართლოს საკმარისი არგუმენტაცია (ინფორმაცია) გააჩნია სათანადო გადაწყვეტილების მისაღებად. ამის საპირისპიროდ, სასამართლო პრაქტიკის ხარჯზე დადგენილი დოქტრინის გამდიდრების მიზნებისთვის, პრობლემას წარმოადგენს იმ კატეგორიის საქმეთა სიმცირე, რომელთა განმაპირობებელ სადაც გარემოებათა არსებობა საზოგადოებრივ ყოფაში არც თუ ისე ხშირია. სასამართლო პრაქტიკის ასევე არის შემთხვევები, როდესაც ვერ ხერხდება ჭეშმარიტი იურიდიული პრობლემის იდენტიფიცირება. ქვემოთ განხილული უზენაესი სასამართლოს განჩინება<sup>7</sup> სწორედ სასამართლოს პრაქტიკისთვის სავარაუდოდ პირველ და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრეცენდენტს ქმნის, ინდივიდთა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის რეგულირების თვალსაზრისით. მიუხედავად აღნიშნული სამართლის ინსტიტუტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაზღვრისა, წინასახელშეკრულებო ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობათა ეფექტური რეგულირების მექანიზმი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია<sup>8</sup>.

წინამდებარე ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისგან. პირველი ნაწილში – შესავალში აღნიშნება საკითხის აქტუალობა. მეორე ნაწილში აღნიშნება უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივ გარემოებათა შინაარსი. მესამე ნაწილი დაეთმობა პალატის მსჯელობების ანალიზს. მეოთხე ნაწილში ავტორი გამოხატავს საკუთარ, აღტერნატიულ ხედვას, ხოლო მეხუთე ნაწილში გაკეთდება ნაშრომთან დაკავშირებული მოკლე დასკვნა.

## 1. ფაქტობრივ გარემოებათა აღწერა

ქართულმა კომპანიამ... (შემდგომში – კომპანია) თურქული კომპანიისგან შეიძინა სათესლე კარტოფილი, რომელიც დათესა წალკის რაიონში. თურქულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შეძენილი სათესლე კარტოფილის ლირებულება უნდა დაფარულიყო 90 დღეში. ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სესხის გაცემის თხოვნით მიმართა ბანკს, რაზეც მიიღო თანხმობა. კომპანიის განმარტებით, მის მიერ გაფორმებული იყო ყველა საჭირო დოკუმენტი სესხის ასაღებად. კერძოდ, დამზადდა აუდიტორული დასკვნა, მოძრავ ნივთებზე გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება, იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ნივთი, მაგრამ ბანკმა უარი განაცხადა სესხის ხელშეკრულების გაფორმებაზე და შესაბამისად სესხის გაცემაზე. აღნიშნული უარის გამო, კომპანია, ვალის დასაფარავად იძულებული გახდა გაეყიდა კარტოფილის მოსავალი ნოემბრის თვეში, როცა მისი განცხადებით ერთი კილოგრამის ლირებულება შეადგენდა 24 თეთრს. მისივე მოსაზრებით, თუ იგი კარტოფილს გაყიდდა აპრილის თვეში, როდესაც 1 კილოგრამი ლირდა 60 თეთრი, მოი-

6. იხ. ასევე: ალექსანდრე იოსელიანი, ქართულის სამართლის მიმოხილვა – სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007. გვ. 14 და შემდგომი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 21 მარტის განჩინება №3კ-1156-02.

8. იხ. ასევე: გიორგი ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2011. გვ. 89 და შემდგომი.

გებდა თითო კილოზე 36 თეთრს. აქედან გამომდინარე, კომპანიამ ნოემბერში გაყიდა 184 ტონა კარტოფილი 44160 ლარად, აპრილში კი გაყიდდა 110400 ლარად. ამ თანხებს შორის სხვაობამ, ანუ მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 66240 ლარი, რაც კომპანიის აზრით უნდა აენაზღაურებინა ბანკს, რომლის ბრალის გარეშე ეს ზიანი არ იარსებებდა.

კომპანიამ, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართა სასამართლოს და მოითხოვა როგორც ბანკის მიერ მისთვის მიყენებული 66240 ლარის ოდენობით ზიანის, ისე ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და ადვოკატის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. ბანკმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის სესხის ხელ. ბანკის განცხადებით, მათ შორის ნამდვილად მიმდინარეობდა მოლაპარაკება სესხის გაცემაზე, მაგრამ სესხი არ იყო გაცემული არა მისი, არამედ კომპანიის ბრალით, რომელმაც ბანკში არ წარმოადგინა საჯარო რეესტრში გატარებული გირავნობის და იპოთეკის ხელშეკრულებები, ანუ არ გაუკეთა ასაღებ სესხს უზრუნველყოფა კანონით დადგენილი წესით. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით კომპანიის სარჩელი დაქმაყოფილდა, რომელიც ბანკის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო წესით. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით გაუქმდა რაოინული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით კომპანიას უარი ეთქვა სარჩელის დაქმაყოფილებაზე. თავის მხრივ კომპანიამ, საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება. საკასაციო საჩივარში კომპანიამ მიუთითა, რომ სესხის ხელშეკრულება ბანკის ბრალით არ იქნა დადებული. იპოთეკის ხელშეკრულება (ბანკის ტიპიური ფორმით) თვითონ ბანკის იურისტის მიერ იქნა რეგისტრაციში გატარებული და წარდგენილი ბანკში. ამასთან კომპანიამ განმარტა, რომ გირავნობის ხელშეკრულებით ორნახევარჯერ მეტი ქონება იყო დაგირავებული, ვიდრე იპოთეკის ხელშეკრულებით იქნა დატვირთული ქონება. აქედან გამომდინარე ბანკს არ ჰქონდა სესხის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო პალატა, საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა განმარტებების მოსმენის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. სასამართლოს განმარტებით სკ-ის 317-ე | მუხლის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება. ვინაიდან მოცემულ საქმეზე დადგენილი იყო, რომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება არ დადებულა, ამდენად ბანკს ვალდებულებაც არ წარმოშობია. პალატის აზრით, ეს გარემოება გამორიცხავდა ბანკის მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასაც.

პალატამ აღნიშნა, რომ სკ-ს 317-ე || მუხლის თანახმად 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას, ხოლო 316-ე | მუხლის თანახმად ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. მოცემულ საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანია, სკ-ს 317-ე || მუხლის საფუძველზე უფლებამოსილი იყო მოეთხოვა ბანკთან ხელშეკრულების დადება, თუმცა მას ეს არ მოეთხოვია. ამდენად ბანკს წარმოემვა მხოლოდ ხელშეკრულების დადების ვალდებულება, რომლის შესრულებასაც კომპანია არ მოითხოვდა. სასამართლოს აზრით, ვინაიდან სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოდავე მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულება არ დაიდო კომპანიის ბრალით, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან არ წარადგინა ბანკში სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტები, კომპანია მოკლებული იყო შესაძლებლობას მოეხმო სკ-ს 317-ე ||| მუხლის დანაწესისთვის და ბანკისგან მოეთხოვა იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან ხელშეკრულების დასადებად გასწია.

## 2. ანალიზი

პალატამ საკუთარი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ დაეყრდნო სკ-ს 317 I მუხლის, პირველი აბზაცის მოთხოვნას. მითითებული წორმა, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად, სწორედ მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობას განსაზღვრავს, რაც უდავოდ, ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს<sup>9</sup>.

ამდენად, თუ სასამართლოს აზრით, აღნიშნული ურთიერთობისას ვალდებულება არ წარმოშობილა, ლოგიკურია, რომ არარსებული ვალდებულების დარღვევის საფუძველზე ზიანის დადგომის აღბათობაც გამოირიცხებოდა.

ყურადსაღებია პალატის მსჯელობა, რომელიც შეეხება სკ-ს 317 II მუხლის, 316 I მუხლთან ურთიერთკავშირის საფუძველზე კომპანიის უფლებას, მოეთხოვა პანკისა-გან ხელშეკრულების გაფორმება. განხილვისას, შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი აღნიშნული მსჯელობის მართებულობასთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ ხელშეკრულება “სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგი, მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულება”<sup>10</sup>. ამ პრინციპის შეზღუდვის მექანიზმი - “კონტრაპირების იძულება”, შესაძლოა ამოქმედდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამას სამოქალაქო ბრუნვის ინტერესები მოითხოვს.<sup>11</sup> დაისმის კითხვა, მოცემულ სამართალურთიერთობაზე სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების არარსებობის მიუხედავად, შეეძლო თუ არა სასამართლოს მიეღო გადაწყვეტილება, კერძო სამართლის ამ ძირეული პრინციპის გაუთვალისწინებლად.

ცნობილია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო უპირველესყოვლისა, შესაძლებლობის ფარგლებში ითვალისწინებს და იყენებს კანონის შესაბამის დანაწესს ისე, როგორც ეს კანონმდებელს ჰქონდა მოაზრებული. მოცემულ შემთხვევაში, სკ-ს 317 II ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე მიუთითებს სკ-ის 316-ე მუხლის, როგორც I, ისე II ნაწილზე. შესაბამისად, შესაძლოა გამოითქვას ვარაუდი, რომ პალატა არ იყო ვალდებული ეხელმძღვანელა მხოლოდ სკ-ს 317 II და 316 II მუხლების კომბინაციით<sup>12</sup>. ასევე, თუ გავითვალისწინებთ, რომ სასამართლოს გააჩნდა სრული თავისუფლება, საკუთარი შეხედულებით განემარტა, თუ როგორი ტიპის ვალდებულების წარმოშო-

9. მზია თოდუა/ჰუუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006. გვ. 15.

10. მზია თოდუა/ჰუუბ ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006. გვ. 15.

11. ბესარიონ ზონძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005. გვ. 289.

12. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება (გიორგი ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა. თბილისი, 2011. გვ. 83), რომ სახეზეა რედაქციულ ხარვეზზი. კერძოდ, სკ.-ის 317-ე მუხლი არა მთელ სკ.-ის 316 მუხლზე, არამედ მხოლოდ მის მეორე ნაწილზე და წინასახლშეკრულებო გულისხმიერების ვალდებულებაზე მიუთითებს, რითაც ევროპულ (საკუთრივ გერმანიის) დოქტრინაში დამკვიდრებულ სამართლებრივ ინსტიტუტის – *culpa in contrahendo*-ს განამტკიცებს. სამეცნიერო ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებით, 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 317 მუხლი, სწორედ ხსენებული სამართლის ინსტიტუტის გავლენით შეიქმნა. თუ გავითვალისწინებთ გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობის უდიდეს გავლენას საქართველოს კერძო სამართლის სისტემის ჩამოყალიბებაზე, ძნელია არ დაეთანხმო აღნიშნულ მსჯელობას. თუმცა, არსებობს ამ მსჯელობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება, რასაც იმავე ნაშრომში თავად ავტორიც ადასტურებს (იხ. გვ. 86). 2002 წელს განხორციელებულ გერმანიის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე, წინასახელშეკრულებო ვალდებულებითასამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირება, არა სპეციალური ნორმებთ, არამედ სამართლის ნორმათა ანალოგის, ცალკეული სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სამეცნიერო ნაშრომების მეშვეობით ხორციელდებოდა (იხ. ასევე *Küpper*, ას შცვეიტერნ ვონ ვერტრაგსვერ-ჰანდლუნგენ ალს ჭალლგრუპპე დერ ცულპა ინ ცონტრაპენდო, შ. 23).

ბას ითვალისწინებდა 317 || და 316 მუხლების ურთიერთკავშირი<sup>13</sup>. ეს მსჯელობა იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ პალატამ მართებული გადაწყვეტილება მიიღო.

### 3. ალტერნატიული მოსაზრება

ზემოაღნიშნულის საპირისპიროთ, სამსჯელია საკასაციო პალატის შესაძლებლობაზე, განეხილა გადაწყვეტილების მიღების სხვა ვარიანტიც. ამის გამოსარკვევად საჭიროა დეტალურად გაანალიზდეს სასამართლოს მიერ, ამ საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები. პალატის დასკვნები ორი მიმართულებითაა განსახილველი. პირველი უკავშირდება ვალდებულების წარმოშობის საფუძვლის არსებობა-არსებობის დადგენას. ხოლო მეორე კი, დაკავშირებულია სასამართლოს შესაძლებლობასთან, წარმოშობილი ვალდებულების (ასეთის არსებობის პირობით) დარღვევის დადასტურების შემთხვევაში დაეკისრა სამართალდამრღვევი პირისთვის სათანადო პასუხისმგებლობა.

#### 3.1. დელიქტი

ცნობილია, რომ “სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართალდამრღვევ პირს შეიძლება დაეკისროს არა მარტო “სახელშეკრულებო”, არამედ “არასახელშეკრულებო” ზიანისთვისაც”<sup>14</sup>.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, “არასახელშეკრულებო” ზიანის ანაზღაურების ვალდებულების კლასიკურ მაგალითს ზიანის მიყენებიდან (დელიქტიდან) წარმოშობილი შესაბამისი ვალდებულება წარმოადგენს. საქართველოს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით, “მოსამართლემ იმ შემთხვევაში უნდა შეამონმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან არასრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შედეგს”<sup>15</sup>. დასახელებული განჩინების მიხედვით, სასამართლო დაეყრდნო რა, სკ-ის 317 I მუხლის 1-ელი აბზაცის დანაწესს, საერთოდ გამორიცხავა ვალდებულების წარმოშობის საფუძვლის არსებობა.

პალატამ, არ გაამახვილა ყურადღება სკ-ის 317 I მუხლში განმტკიცებულ, ვალდებულების წარმოშობის სხვა საფუძვლებზე. აღნერილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე თუ ჩავთვლით, რომ სახეზე იყო მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია, შესაძლოა ერთერთ ვარიანტად განხილულიყო ზიანის მიყენების (დელიქტის) საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებაც.

დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვან საფუძვლად სკ-ის 992-ე მუხლი გვევლინება, რომელიც ზიანის მიმყენებელზე პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ოთხ ძირითად (სავალდებულო) პირობას განსაზღვრავს. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს – ქმედება; მართლსაწინააღმდეგობა; ბრალეულობა და მიზეზ-შედეგობრიობა.<sup>16</sup>

მოცემულ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ პალატა გამორიცხავდა კომპანიის ბრალეულობის ფაქტს, ხოლო მართლსაწინააღმდეგობა, დამდგარ შედეგთან მიმართე-

13. სკ-ის 317 II მუხლი განხილებოდა, თუ არა სკ-ის 316 I მუხლთან ერთად, რომელიც ცხადად მიუთითებს კრედიტორის უფლებაზე, ვალდებულების ძალით მოითხოვოს სათანადო მოქმედების შესრულება..., თუ დაკავშირებდა სკ-ის 316 I მუხლთან, რომლის ერთმნიშვნელოვან განმარტებასა და სამართლებრივ ურთიერთობასთან შეფარდებას, შესაძლოა გარკვეული სირთულეები შეექმნა.

14. მზად დუნდუა, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2009. გვ. 52.

15. ჰაინ ბიოლინგი/პეტერ ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009. გვ. 54.

16. იხ. ასევე: პეტერ ლუტრინგჰაუსი, დელიქტური სამართლის პრობლემატიკა, თბილისი, 2011. გვ. 14.

ბაში ობიექტური კრიტერიუმით შეფასდებოდა, მოთხოვნის დამდგენი ამ წორმის სრული შემადგენლობა იქნებოდა სახეზე. ამდენად, შესაძლოა გვევარაუდა, რომ ბანკს შესაბამისი ვალდებულება<sup>17</sup> არა ხელშეკრულების, არამედ კანონის ძალით (სკ-ის 992-ე მუხლი) წარმოშვებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დელიქტური სამართლის, მისი შინაარსობრივი დატვირთვისა და პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობიდან გამომდინარე, განხილულ სადავო სიტუაცია-ასთან დაკავშირება, ალბათ მაინც უადგილოა. დელიქტური პასუხისმგებლობა ეხება პირის არამართლზომიერ მოქმედებას, „რომლის მართლწინააღმდეგობის კრიტერიუმია კანონი“<sup>18</sup>.

როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, მხარეები ხელშეკრულების მომავალში გაფორმების მიზნით ანარმობედნენ მოლაპარაკებას. ამასთან, სადავო არაა, რომ მათ შორის ყველა ძირითად პირობაზე მიღწეულ იქნა კონსენსუსი. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, მივდივრთ დასკვნამდე, რომ მხარეებს შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არა კანონის, არამედ გარიგების საფუძველზე უნდა ჩამოყალიბებულიყო, რასაც მხარეთა პირდაპირი სურვილიც გამოხატავდა.

### 3.2. წინარე ხელშეკრულება

ყოვლად უსაფუძვლოა, საქართველოს სამართლებრივ ლიტერატურაში გაპატონებული მოსაზრება<sup>19</sup>. რომლის თანახმად წინასახელშეკრულებო ურთიერთობები გაიგივებულია წინარე ხელშეკრულებასთან: იმის გათვალისწინებით, რომ წინარე ხელშეკრულება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, უკვე შემდგარი გარიგების დასრულებულ სახეს წარმოადგენს, ის არ შეიძლება მოცემული საკითხის განხილვის არეალში მოექცეს.

### 3.3. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა

დელიქტისა და წინარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოსაშობი მოთხოვნის გამორიცხვა ბადებს კითხვას, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე დამდგარი პასუხისმგებლობა, სამართლის რომელი წორმით ან/და წორმათა კომბინაციით უნდა დაეკისროს სამართალდამრღვევ პირს.

მეცნიერთა აზრით, წინასახელშეკრულებლო ეტაპზე წარმოშობილი პასუხისმგებლობა განიხილება, როგორც „მესამე კატეგორია“ სახელშეკრულებო - და დელიქტურ პასუხისმგებლობებს შორის.<sup>20</sup> მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება დავესესხოთ გერმანიის კანონმდებლობასა და სამეცნიერო დოქტრინაში, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წარმოშობილ ურთიერთობათა მარეგულირებელ სამართლის ინსტიტუტთან (*culpa in contrahendo*) დაკავშირებულ მოსაზრებებს.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, სკ-ის 316-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობებით ვალდებულება შესაძლოა მხარეთა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზეც წარმოიშვას. „სკ-ის 316-ე II მუხლით გათვალისწინებული, ე.წ. „გულისხმიერების“ ვალდებულება იცავს არა მხოლოდ აბსოლუტურ ღირებულებებს, არამედ იმ სიკეთესაც, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება არსებობდეს“.<sup>21</sup>

17. ნაგულისმევია მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე, იმდენად, რამდენადაც მოცემული წორმა პირველადი მოთხოვნის არსებობის შესაძლებლობას არ ითვალისწინება.

18. ქეთევან ქოჩაშვილი, სამართლის ჟურნალი №1, თბილისი, 2009. გვ. გვ.82.

19. ლადო ჭანტურია/ბესარიონ ზოძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნ III), თბილისი, 2001 გვ. 48 და შემდგომი.

20. Schlechtriem, Schuldrecht, S. 20, Rn. 29.

21. სოფიო ჩახავა, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010. გვ 114. მითითებულია: Roth, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 2, 2006, შ 241, RdNr. 31.

გერმანულ სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წარმოშობილი ურთიერთობა, სინამდვილეში დელიქტური სამართლის რეგულირების სფეროს განეჯუთვნებოდა, თუმცა შემდგომში, ცნობილი ხარვეზების გამო<sup>22</sup>, ის წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმათა მოწესრიგების არეალში მოექცა<sup>23</sup>.

ამ მსჯელობიდან გამოდინარე, რადგან არც სკ-ის 327-ე III მუხლი გამოიყენება ხელშეკრულების მომზადების ეტაპის რეგულირების თვალსაზრისით, გასარკვევია, წარმოადგენს, თუ არა სკ-ის 316-ე II და 317-ე II მუხლების ერთობლიობა, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე მოთხოვნის დადგენის განმაპირობებელ ნორმათა კომბინაციას. ამის შემდეგ კი, შესაბამისად, საკითხის მხოლოდ დადებითად შეფასების შემთხვევაში გაჩნდება თანმდევ სამართლებრივ შედეგზე მსჯელობის შესაძლებლობა.

მეტი სიცხადისთვის, პირველ რიგში უნდა განიმარტოს, თუ რას მოიაზრებს ხელშეკრულების მომზადების ეტაპად გერმანული სამართალი. მეცნიერთა აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე იკვეთებოდეს, მსარეთა ხელშეკრულების დადების გამომხატველი, მეტნაკლებად ცხადი სურვილი და, ამ ხელშეკრულების გაფორმებაზე ერთ-ერთი მხარის ობიექტური ნდობის არსებობა<sup>24</sup>, რაც ჩვენს შემთხვევაში, საქ-მის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე არ უნდა იყოს სადაცო.

საფულისხმოა, რომ წინასახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს, როგორც – მეორე მხარის უფლებების, სამართლებრივი სიკეთისა და ინტერესების მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულებას, ასევე დელიქტური სამართლით განსაკუთრებულად დაცული აბსოლუტური უფლებების გაფრინდებაზე ვალდებულებასაც<sup>25</sup>.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი მსჯელობების საფუძველზე შესაძლოა დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე მოქმედება განხორციელდა “განსაკუთრებული გულისხმიერების” პრინციპის (*Prinzip des Rücksichtnahme\_und Gewissenhaftigkeitspflichts*) იგნორირებით, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოდ, რომ სახეზეა წარმოშობლილი ვალდებულების დარღვევის ფაქტი. აღნიშნულს კი თანმდევ მოვლენად, ინტერესშელახული მხარის ადექვატური მოთხოვნის უფლებაც უნდა წარმოეშვა.

გერმანული კანონმდებლობა წინასახელშეკრულებო სტადიაზე ცალსახად გამორიცხავს ე.წ. პირველადი (ხელშეკრულების დადების თაობაზე) მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებლობას<sup>26</sup>. ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წარმოშობილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება<sup>27</sup>.

ერთი შეხედვით მოცემულ მსჯელობას მივყავართ დასკვნამდე, რომ პალატას გააჩნდა მატერიალურსამართლებრივი საფუძველი ეხელმდღვანელა სკ-ის 394 I, 411-ე მუხლებით (რაღათქმა უნდა სკ-ის 412 მუხლის გათვალისწინებით) და ბანკისთვის დაეკისრა კომპანიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

თუმცა აქაც, ერთ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. კერძოდ, სასამართლომ გაიზიარა რა ბანკის პოზიცია, ზიანის ანაზღაურების (მათ შორის სკ-ის 317 III მუხლის საფუძველზე, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წარმოშობილი ხარჯების

22. აღნიშნულ ხარვეზებში ნაგულისხმევია მოთხოვნის ხანდაზმულობასა (Verjährungsfrist) და მტკიცების ტვირთან (Beweislast) დაკავშირებული საკითხები. იხ. ასევე *Medicus, Schuldrecht*, S.59, Rn 104 და შემდგომნა.

23. იხ. *Emmerich, Leistungsstörungen*, S. 75, Rn. 8.

24. *Rieble, das neue Schuldrecht in der Praxis*, S. 140.

25. *Dauner-Lieb/ Heiden/ Ring, AnwK-BGB*, S 311, Rn 48.

26. *Müko/Emmerich, BGB*, S 311, Rn 79.

27. *Schlechtriem, Schuldrecht*, S. 4, Rn. 33.

ანაზღაურების) მოთხოვნაზე უარის თქმა დაუკავშირა კომპანიის ბრალეულ ქმედებას – დოკუმენტაციის წარუდგენლობას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ პალატამ დადგენილად ჩათვალა კომპანიის ბრალის არ-სებობა, ცხადია ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე ბანკის მხრიდან “განსაკუთრებული გულისხმიერების” ვალდებულების დარღვევაზე საუბარი ნამდვილად უადგილო იქნებოდა.

## დასკვნა

აღნერილი ფაქტორივი გარემოებები და მასთან დაკავშირებული სასამართლოს მსჯელობები წინაპირობას ქმნის, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისთვის გამოსაყენებელი სამართლებრივ წორმათა ანალიზის შესაძლებლობას. აუცილებელია, რომ ამ ტიპის სადაც საკითხებზე მიმდინარეობდეს მუდმივი სამეცნიერო კვლევა. აღნიშნული მიზანს ემსახურება მოცემული ნაშრომიც.

გიორგი ასათაშვილი<sup>1</sup>

## სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

### 1. საქმის გარემოებანი

გიორგი მ.-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბორის ბ.-ს მიმართ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის – 100000 ლარისა და მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მოსარჩელეს დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც მოპასუხე მართავდა და გ.მ.-მ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. მას დაუდგინდა პირველი ჯგუფის ინვალიდობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ.მ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გ.მ.-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით განაცხადა რომ მოსარჩელემ ვერ წარადგინა საჭირო მტკიცებულებანი და არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის წინაპირობები, შესაბამისად, მიუღებელი შემოსავალიც არ არსებობს. ხოლო რაც შეეხება ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანს, სააპელაციო სასამართლომ აქ უფრო ვრცლად იმსჯელა და დაადგინა, რომ მოპასუხის ქმედების შედეგად ზიანი კი მიადგა დაზარალებულს, მაგრამ დაეყრდნო რა ამავე საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, მიიჩნია რომ მოპასუხე არ მოქმედებდა ბრალეულად. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ კომბინირებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999-ე მუხლები და დაადგინა, რომ ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლების წინაპირობები შესრულებულია. სასამართლომ მოპასუხის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა ვერ დაადგინა, რაც 992-ე მუხლის ერთ-ერთი წინაპირობაა. ეს ნიშნავს იმას, რომ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება არ არის სახეზე და დელიქტური ვალდებულებაც არ წარმოიშობა. მოსარჩელემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა რიგი მტკიცებულებებისა, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი და 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. 999-ე მუხლთან დაკავშირებით მან განმარტა რომ იგი 992-ე მუხლთან მიმართებით სპეციალურია. მისი აზრით, ეს ნორმა უხვეეს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან და განსხვავებულ მოწესრიგებას გვთავაზობს.

1. თსუს იუდირიული ფაკულტეტის მე-4 სემესტრის სტუდენტი

## 2. უზენაესი სასამართლოს შეფასება

საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი. მან განაცხადა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება არასრულია, ხოლო მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელი. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ ხსენებული შემთხვევა მართლაც მოხდა და მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, მაგრამ ვერ დგინდება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა მოპასუხის მხრიდან. ხოლო დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით დგინდება პასუხისმგებლობის განსხვავებული წინაპირობები. კერძოდ, 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკედილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღლაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. უზენაესი სასამართლო 999-ე მუხლს ცალკე განიხილავს და არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლთან კომბინაციაში. შესაბამისად, იგი მართებულად აღარ მიიჩნევს იმის შემოწმებას, მოქმედებდა თუ არა მოპასუხე ბრალეულად. აქედან გამომდინარე კი სახელმძღვანელო ფუნქციას ამ საქმესთან მიმართებაში 999-ე მუხლი იძენს და სწორედ ამ მუხლის წინაპირობებზე დამოკიდებული სამართლებრივი შედეგის დადგომა.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრინციპია, რომ პირს მისი ბრალეულობის შემთხვევაში დაეკისროს, მიყენებული ზიანის გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ პრინციპისაგან განსხვავებულ მიდგომას ითვალისწინებს 999-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც შეიძლება პირმა პასუხი აგოს ბრალის გარეშეც. ამის მიზეზი არის ის, რომ ზიანის მიმყენებელი მოიხმარს სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც პოტენციური საფრთხის წყაროა და სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას სამართლებრივად დაცულ სიკეთეს უფრო მეტი საფრთხე ექმნება. სასამართლო თვლის, რომ ადამიანს არ შეუძლია სატრანსპორტო საშუალებაზე სრული კონტროლის დამყარება. მიუხედავად ამისა, კანონი მაინც უშვებს მისი გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა ზრდის პასუხისმგებლობის ფარგლებს. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ზიანის ანაზღაურება შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოირიცხოს მხოლოდ მაშინ, თუ ზიანი გამოიწვია დაუძლეველმა ძალამ(სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი) ან სახეზეა დაზარალებულის ბრალი(სსკ-ის 415-ე მუხლი). დაუძლეველ ძალად შეიძლება მივიჩნიოთ გარემოება რომლის მეშვეობითაც დადგა ზიანი და მფლობელს, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალების გულისყურით მართვისა, არ შეეძლო ზიანის თავიდან აცილება. ამ შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს ისეთი დაბრკოლება, რომელიც არ შედის მძღოლის კონტროლის სფეროში, მას არ შეეძლო ამის წინასწარ გათვალისწინება და ამ დაბრკოლებაზე ზემოქმედება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ვითარებაში ბრალის არსებობა პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობა ვერ გახდება და შესაბამისად არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამომრიცხველ საფუძვლებს, უზენაესი სასამართლო თვლის, რომ ისინი არ არსებობს და მოითხოვს ამასთან დაკავშირებული გარემოებების უტყუარად დადგენას. უზენაესი სასამართლო ნაწილობრივ აქმაყოფილებს სარჩელს, აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად.

### 3. კომენტარი

სასამართლო გადაწყვეტილებაში განხილულია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი. სასამართლომ დაადგინა რომ ამ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენებოდეს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული მიდგომა და უპირატესობა უნდა მიერიქოს უფრო სპეციალურ 999-ე მუხლს. საინტერესოა ასევე სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებაც, რომელმაც ეს მუხლები კომბინაციაში გამოიყენა. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. 992-ე მუხლი ზოგადი ნორმაა, რომლის მიხედვითაც ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანი. ამ მუხლიდან გამომდინარეობს რომ ბრალის არარსებობის შემთხვევაში ანაზღაურების ვალდებულება არ დგება. გამოსაყენებლია თუ არა ეს მუხლი ხევებულ გარემოებებთან მიმართებით, ნათლად გამოჩნდება 999-ე მუხლის ანალიზისას. მიმაჩნია, რომ, სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი პრობლემის გადაჭრა.

ის, რომ ამ შემთხვევას ზუსტად მიესადაგაბა 999-ე მუხლი, ეჭვს არ იწვევს, რადგან სახეზეა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანი. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა – პირს დაეჯახა მანქანა, რითაც მან მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. აქედან გამომდინარე, სახეზეა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციით მიყენებული ზიანი, რადგან ავტომანქანა სატრანსპორტო საშუალებაა და მისი მართვისას მოხდა ზიანის მიყენება. ზიანი ანაზღაურებადია, რადგან პირმა მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ამ მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა აანაზღაუროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა. შესაძლებელია მფლობელი და მძღოლი სხვადასხვა პიროვნება იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში მძღოლი მფლობელიც არის და შესაბამისად მოპასუხის ვინაობა ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება 992-ე და 999-ე მუხლების ერთად გამოყენებას, ეს მთავარი სადაცვო საკითხია. 999-ე მუხლთან კავშირშია სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლიც რომელზეც სასამრთლოს არ უსაუბრია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ რომ სასამართლო არ ენინააღმდეგება 999-ე და 413-ე მუხლების კომბინირებულად გამოყენებას. დაზარალებული თავისი მოთხოვნის საფუძვლად ამ მუხლებს ასახელებს, ხოლო სასამართლომაც მისი მოთხოვნიდან გამომდინარე მიიღო გადაწყვეტილება და მათი ერთად გამოყენების შესაძლებლობა ეჭვეჭვეშ არ დაუყენება.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. 999-ე მუხლს თუ ჩავხედავთ, დავინახავთ, რომ იგი მოიცავს ამ მუხლით ანაზღაურებადი ზიანის რამდენიმე სახეს. ეს სახეებია: სიკვდილი, დასახიჩრება, ჯანმრთელობის მოშლა და ნივთის დაზიანება. როგორც ვხედავთ, 999-ე მუხლით ანაზღაურებადი ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი, რაც შესაძლებლობას ქმნის, მოთხოვნილ იქნეს მორალური ზიანის ანაზღაურებაც. შესაბამისად, სრულიად გამართლებულია 413-ე და 999-ე მუხლების კუმულაცია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში.

სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, წარმოადგენს დამოუკიდებელ მოთხოვნის საფუძველს<sup>2</sup>, რომელიც

2. მოთხოვნის დამოუკიდებელ საფუძვლად 999-ე მუხლი იხ. ბიოლინგი ჰაინ, ლუტრინგჰჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი ბრემენი-თბილისი 2004–2009, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ მოთხოვნათა საფუძვლების ჩამონათვალი, თბილისი, 2009, გამოცემლობა სიესტა, გვ.134.

ადგენს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამონაკლისს<sup>3</sup> და სრულიად სხვა-გვარ მოწესრიგებას გვთავაზობს. საქართველოში 999-ე მუხლთან დაკავშირებით არსებობს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკაც. ჩემი აზრით, იგი რამდენადმე გეზის მიმცემია იურიდიული დოქტრინისათვის. ჩვენს შემთხვევაში ეს ორი წყარო ავსებს ერთმანეთს და საქმაოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის.

უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, 999-ე მუხლი სხვა დელიქტური ნორმებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სატრანსპორტო საშუალების მფლობელს ბრალის გარეშე აკისრებს პასუხისმგებლობას. სატრანსპორტო საშუალების მფლობელს აქვს უფლება დაუშვას ამ საშუალების გამოყენება, მაგრამ ამ უფლებას თან ახლავს მაღალი ხარისხის პასუხისმგებლობა. სატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროა და ამგვარი მოწესრიგების მიზეზიც სწორედ ეს არის. ზიანი უნდა იქნეს მიყენებული სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას, თანაც ისე რომ ეს იყოს გამოწვეული იმ ფაქტორებით, რომელთა გამოც სატრანსპორტო საშუალება მიჩნეულია მომეტებულ საფრთხის წყაროდ. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებებია დაუძლეველი ძალა და სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლით გათვალისწინებული დაზარალებულის ბრალი<sup>4</sup>.

415-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. გთუ 999-ე და 415-ე მუხლებს სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, მაშინ სათუო ხდება მათი კომბინირებულად გამოყენების საკითხი. 999-ე მუხლი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას აწესებს, ხოლო 415-ე მუხლი ყურადღებას ამავილებს ორივე მხარის ბრალზე. ჩემი აზრით, ამ დროს მეტი ყურადღება უნდა მივაპყროთ დაზარალებულს და უნდა გავარკვიოთ რატომ მოხდა შემთხვევა: იმის გამო რომ სატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროა, თუ იმიტომ, რომ შემთხვევის დადგომაში უფრო დიდ როლს დაზარალებული თამაშობს. მფლობელის ბრალის განხილვა აქ არ იქნება მიზანშეწონილი.

რაც შეეხება დოქტრინისეულ პოზიციას, იგი იზიარებს სასამართლო პრაქტიკის განმარტებას და ასკვინის, რომ სატრანსპორტო საშუალება არის პოტენციურად საშიში ნივთი. საგზაო მოძრაობის დროს, ამ ნივთის გამოყენებისას ყოველთვის იქმნება საფრთხე სხვა პირების მიმართ. კანონით ნებადართულია ამ საშუალების ექსპლუატაცია, მაგრამ იზრდება მფლობელის პასუხისმგებლობაც. ასე რომ, 999-ე მუხლში გათვალისწინებულა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ერთ-ერთ შემთხვევა.<sup>5</sup>

ხსენებული მიდგომა რომც არ არსებობდეს, უნდა ჩავხედოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსს და აქედან გამომდინარე, უნდა დავადგინოთ დელიქტური მოთხოვნების მოწესრიგებისას რა მიზანს ისახავდა კანონმდებელი. მისასალმებელია ის, რომ ზიანის ანაზღაურება, ზოგადი წესის მიხედვით, მაშინ არის სავალდებულო როცა ზაინი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით. მაგრამ, თუ 999-ე მუხლი კანონმდებელმა იმავე პრინციპზე დაყრდნობით შექმნა, მაშინ ეს მოწესრიგება აზრს კარგავს და

3. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით იხ. ჰემელი სანდრა, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009, გამომცემლობა სიესტა, გვ.193-194.

4. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი, 2011, გვ.29-30.

5. ჰემელი სანდრა, სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009, გამომცემლობა სიესტა, გვ.193-194.

ბუნდოვანია მისი დანიშნულება. კანონმდებლის მიზანი ამ შემთხვევაში იყო სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ცალკე გამოყოფა და მისი გამიჯვენა ბრალეული პასუხისმგებლობისაგან. ზოგადად, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია გულისხმობს მის მართვასა და მოძრაობაში მოყვანას. თუ როგორ მოძრაობს და იმართება ეს საშუალება მეორე საკითხია. შესაძლებელია ექსპლუატაცია დადგენილი წესების მიხევით და მართებულად მიმდინარეობდეს, მაგრამ ზიანი მაინც დადგეს. კანონმდებლის მიზანი არ არის ის რომ, გაირკვეს მძღოლის ბრალით მოხდა შემთხვევა თუ სხვა რაიმე ფაქტორის გამო. ერთადერთი გამომრიცხველი გარემოება დაუძლეველი ძალაა. თუ დავუშვებდით რომ ეს მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ ბრალეული მოქმედებისას, მაშინ სიტყვა ექსპლუატაცია არ უნდა გამოგვეყენებინა. მისი ადგიკლს დაიკავებდა სიტყვები “არამართლზომიერი ექსპლუატაცია”, “არამიზნობრივი მართვა” და სხვ. ასევე ყურადსალებია ის ფაქტი, რომ 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პასუხისმგებელია სატრანსპორტო საშუალების მფლობელი მიუხედავად იმისა იგი მართავდა თუ არა მას. ამის მაგალითია 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელშიც დადგენილია მფლობელის პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ სატრანსპორტო საშუალების სამართავად დანიშნული პირის მაგიერ აგებს პასუხს. მფლობელს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, მან უბრალოდ სხვას მიანდო ტრანსპორტის მართვა, მაგრამ შესაძლებელი გახადა რა საკუთარი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია, მეტი პასუხისმგებლობაც დაეკისრა. სწორედ ამიტომ, მიმართია რომ 992-ე მუხლის წინაპირობების გავრცელება 999-ე მუხლზე უმართებულოა.

ჩემს მიერ განხილულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოცემულია დაუძლეველი ძალის დეფინიცია, რომლის მიხედვითაც, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას, დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი დაბრკოლება, რომელიც არ შედის მძღოლის კონტროლის სფეროში, მას არ შეეძლო ამის წინასწარ გათვალისწინება და ამ დაბრკოლებაზე ზემოქმედება. ჩემი აზრით, ეს განმარტება ნათლად გამოხატავს დაუძლეველი ძალის შინაარსს. აქედან გამოდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ დაუძლეველი ძალა მაშინაა სახეზე, როცა ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას შემთხვევა იმიტომ კი არ წარმოიშობა, რომ საქმე გვაქვს მომეტებული საფრთხის წყაროსთან, არამედ ჩნდება სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზიანის დადგომას განაპირობებს.

## დასკვნა

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზისას, მთავარი განსახილველი საკითხი იყო ის, თუ რა ფაქტორივი გარემოების დადგომისას უნდა იქნეს გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი. მე წარმოვადგინე როგორც ამ მუხლის ანალიზი, ისე მისი მიმართება სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 415-ე და 413-ე მუხლებითან. დავადგინე რომ 992-ე მუხლი ზოგადი ნორმაა რომელიც ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპზეა აგებული. ხოლო 999-ე მუხლი კი უხვევეს ამ პრინციპიდან, იგი სპეციალური ნორმაა და არ შეიძლება მისი 999-ე მუხლთან კუმულაცია. რაც შეეხება 415-ე და 413-ე მუხლებს, თითოეული მათგანი სრულიად თავსებადია 999-ე მუხლთან. თუმცა 999-ე მუხლისა და 415-ე მუხლის ერთად გამოყენება უმეტესწილად ცვლის სამართლებრივ შედეგს. საბოლოოდ, შემიძლია ვთქვა, რომ უზენაერა სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში მოგვცა 999-ე მუხლის და მასთან დაკავშირებული საკითხების არგუმენტირებული და მისაღები განმარტება, რაც გასაზიარებელი და მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების კუთხით.

## ბავშვის უფლებების დაცვა/ გათვალისწინება განქორწინებისას

### შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა, ისევე, როგორც მთელი რიგი საერთაშორისო – სამართლებრივი აქტები, ითვალისწინებენ ბავშვის უფლების დაცვასა და გათვალისწინებას მშობლების განქორწინების დროს. როგორც ბავშვთა უფლებების კონვენციით<sup>2</sup>, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ბავშვის უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში მშობლების მეთვალყურეობისა და მზრუნველობის ქვეშ.<sup>3</sup> ეს უკანასკნელი კი ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ ნევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. მათი უმთავრესი ვალდებულება შვილის რჩენაა. რაც შეეხება მათს უფლებებს, ისინი შვილების მიმართ თანაბარი უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ, მათ თანაბარი პასუხისმგებლობა აქვთ ბავშვის აღზრდა – განვითარებაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შვილის აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტინ, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი პრობლემას სასამართლო იხილავს.<sup>4</sup> განქორწინების შემთხვევაში, კანონმდებლობა მათ ანიჭებს უფლებას, სასამართლოს მიერ საქმის განუხილველად, თავიანთი შეთანხმების შესაბამისად, გადაწყვიტონ, თუ რომელ მშობელთან იცხოვრებს შვილი. დავის შემთხვევაში საქმე სასამართლოს გადაეცემა, რომელიც მშობლებისაგან განსხვავებით, გადაწყვეტილებას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე იღებს.<sup>5</sup> საბოლოო გადაწყვეტილების მიუხედავად, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და ენიჭებათ მოვალეობები შვილების მიმართ. მნიშვნელობა არ აქვს, ვისთან დარჩება ბავშვი – შვილის აღზრდისა და მისი პიროვნული ჩამოყალიბების პროცესში როგორც დედამ, ისე მამამ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ბავშვის უფლებების დაცვისა და გათვალისწინების ნორმების სწორ ინტერპრეტაცია-სა და კანონმდებლობის სრულყოფაზე დიდ გავლენას სასამართლო პრაქტიკა ახდენს. ამ კუთხით განსაკუთრებით გასათვალისწინებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, ვინაიდან იგი ზრუნავს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე და განიხილავს საქმეებს, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით სირთულით ხასიათდება.

მოცემულ ნაშრომში, პრობლემატიკის გათვალისწინებით, მიმოხილული იქნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გამოცდილება; მნიშვნელოვანი ნაწილი კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განხილვას დაეთმობა.

1. თსუს იურიდიული ფაკულტეტის მე-6 სემესტრის სტუდენტი

2. იხ. ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-3, მე-9, მე-18 მუხლები.

3. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1197-ე მუხლი.

4. იქვე; 1200-ე მუხლი.

5. იქვე; 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

## 1. ბავშვის ინტერესების გათვალისწინების პრობლემატიკა საქართველოს კანონმდებლობაში

პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ერთი მხრივ, მოსამართლის სუბიექტურობისა და მეორე მხრივ, ბავშვის უფლებების დაცვის საშუალებას იძლევა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ვერ შეთანხმდებიან, განქორნინების შედეგად რომელთან უნდა იცხოვროს შვილმა, დავას წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. „ბავშვის ინტერესები” კი საკმაოდ ზოგადი ცნებაა და გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს ფართო გასაქანს აძლევს.

„ბავშვთა ინტერესები არ არის ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული კატეგორია”,<sup>6</sup> თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსამართლემ საკუთარი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენოს და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება გამოიტანოს. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ყოველ შემთხვევაში საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ბავშვის ასაკი, მისი ფსიქიკური თუ ფიზიკური განვითარება, თითოეული მშობლის მატერიალური მდგომარეობა. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ შეიძლება ვერ მოახდინოს კონკრეტულ შემთხვევაში ჭეშმარიტად ბავშვის ინტერესების სასიკეთო გადაწყვეტილების მიღება, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ „შეიძლება დადგეს საკითხი ამ ბავშვის მეორე მშობლისათვის გადაცემის თაობაზე”.<sup>7</sup>

პრობლემატურია ის საკითხიც, როდესაც სასამართლოს უწევს ორი ან მეტი შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. სამეცნიერო ლიტერატურაში მკაცრადაა განსაზღვრული, რომ ამ შემთხვევაში არანაირად არ უნდა მოხდეს სასამართლოს „მექანიკური მიდგომა” ამ პრობლემის გადაწყვეტაში.<sup>8</sup> ბავშვების დაცილება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, როცა ეს მათს ინტერესებს შეესაბამება; კერძოდ, მაგალითად მაშინ, როდესაც არც ერთ მშობელს არ აქვს მატერიალური საშუალება, ერთად აღზარდოს ბავშვები.

## 2. პრობლემატიკის ასახვა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შეუერთდა 1999 წელს, ნებისმიერ მოქალაქეს მიეცა შესაძლებლობა, ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ეს მექანიზმი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ მოვლენამდე საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი უფლების დაცვის საბოლოო საშუალება იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ არის ე.წ. „მეორე ინსტანციის სასამართლო”,<sup>9</sup> იგი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე დაყრდნობით ამკვიდრებს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ევროპულ სტანდარტს, რომელიც საქართველოს სასამართლოებმაც უნდა გაითვალისწინონ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას ან ევროპულ კონვენციას უნდა ჰქონდეს უშუალო მოქმედების ძალა ეროვნულ სასამართლო სისტემაში, მით უმეტეს მაშინ, როცა ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ საკითხის რეგულირებას, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ

6. ჩიკვაშვილი შალვა, საოჯახო სამართალი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი”, 2004 წ, გვ. 248.

7. იქვე.

8. იქვე; გვ. 249.

9. *Handyside V the United Kingdom*, 1976 წლის 7 დეკემბერი, Series A, no.24, 48.

ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნორმების ინტერპრეტაციის საშუალებად უნდა იქცეს და ქართველმა მოსამართლებმა უნდა გაითვალისწინონ იგი.<sup>10</sup>

ბაჟშვის ინტერესთა დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით საკმაოდ ხშირად გამხდარა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს თვალთახედვით, განქორწინება არ იწვევს უკვე შექმნილი ოჯახური ცხოვრების დასასრულს.<sup>11</sup> აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ეხება არა მარტო ქორწინების პერიოდს, არამედ განქორწინების შემდეგ ურთიერთობასაც.

ბაჟშვის მიკუთვნების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას მთავარია, სასამართლო თავისუფალი იყოს თითოეული მშობლის მიმართ დისკრიმინაციული (უმეტეს შემთხვევაში რჩმენისა და აღმსარებლობის მიხედვით) დამოკიდებულებისაგან.<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად ყოფილა ეროვნული სასამართლოს მიერ ასეთი სახის გადაწყვეტილებებზე მსჯელობა.<sup>13</sup>

ძალიან მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, თუ რის მიხედვით უნდა მოხდეს ჩარევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. მიუხედავად იმისა, თუ რომელ მშობელთან დარჩება შვილი, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეორე მშობლის უფლება, ურთიერთობა ჰქონდეს ბავშვთან. ამ უკანასკნელის შეზღუდვა უკიდურესი ღონისძიება უნდა იყოს და უნდა ემსახურებოდეს ორ მიზანს: შვილის ინტერესების არსებით დაცვას და ოჯახის შემდგომი გაერთიანების შესაძლებლობას.<sup>14</sup>

### 3. საოჯახო საქმეების განხილვის თავისებურებები სასამართლოებში

საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. იგი ცალკე თავის სახითაა გამოყოფილი, რაც იმითაა გამოწვეული, რომ მას გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს.

მთავარი თავისებურება საოჯახო საქმეებს ის გააჩნია, რომ გარკვეული ხარისხით გამოიყენება ინკვიზიციურობის, სამძებრო პრინციპი.<sup>15</sup> ეს იმითაა განპირობებული, რომ საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობების სიმტკიცითა და განვითრებით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება.<sup>16</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია, თავად განსაზღვროს მტკიცების საგანი, თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ, მაგრამ აქვთ მნიშვნელობა მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დასადგენად.<sup>17</sup>

10. *ib.* კორკელია კონსტანტინე, როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით, თბილისი, ჩით- ის გამომცემლობა, 2010 წ, გვ. 21-35.

11. *Hendriks v. the Netherlands*, კომისიის მოხსენება, 1982 წლის 8 მარტი, DR 29, გვ. 5, 5 EHRR 223.

12. *ib.* კორკელია კონსტანტინე, ქურდაძე ირინე., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით, თბილისი, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, 2004 წ, გვ. 182.

13. *Johnston and Others v. Ireland*, 1986 წლის 18 დეკემბერი, Series A no. 112, 74-ე-76-ე პუნქტები.

14. კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა კონვენციის მიხედვით, თბილისი, სამოსამართლო სწავლების ცენტრი, 2004 წ, გვ. 182.

15. შეად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი.

16. ბასილაძე ფ., საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი და დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უურნ. „მართლმსაჯულება და კანონი”, თბილისი, 2009 წ, № 4, გვ. 31.

17. ლილუაძევით თ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005 წ, გვ. 384.

#### 4. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ბავშვის ინტერესების გათვალისწინების კუთხით.

ამ თავში განხილული იქნება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ერთ კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში, შემდეგ კი მოხდება გადაწყვეტილების კომენტირება და შედარება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამგვარ პრაქტიკასთან.

##### 4.1 საქმის მოკლე აღწერილობა<sup>18</sup>

საქმე ეხებოდა დავას, თუ განქორნინების შემთხვევაში რომელ მშობელთან უნდა ეცხოვონ ქორწინებაში შეძენილ ბავშვებს. ორივე მხარეს მოჰყავდა შესაბამისი არგუმენტები, რომლიც მათი მოსაზრების საფუძველი იყო. დედის მტკიცებით, შვილები მასთან უნდა დარჩენილიყვნენ, რადგან მამა თავისი ქცევით ზიანს მიაყენებდა მათს ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას, ასეთ გარემოში არ არსებობდა მათი აღზრდის ნორმალური პირობები. რაც შეეხება მეორე მშობელს, იგი ერთი შეხედვით “აბსტრაქტული” შესაგებლით შემოიფარგლა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მისი აზრით, ბავშვების ცხოვრება დედასთან დაუშვებელი იყო იმდენად, რამდენადაც ეს ზიანს მიაყენებდა მათს ჯანმრთელობას.

##### 4.2 საქალაქო და საპელაციო სასამართლოს პოზიცია

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, დასაბუთებაში კი მიუთითა, რომ ბავშვების დაშორება არ შეიძლება, რადგან ეს ზიანს მოუტანს მათს განვითარებას; ასევე დედასთან არის შექმნილი ყველა პირობა, რომელიც სასარგებლოა შვილების აღზრდა – განვითარებისათვის. როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებაში გამოიყენა ბავშვთა უფლებების კონვენცია და განმარტა, რომ აუცილებელია, შვილებს ჰქონდეთ უფლება, იზრდებოდნენ ჯანსაღ გარემოში, ასევე დაადგინა, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ მშობელს აქვს შესაძლებლობა, უკეთესი მატერიალური პირობები შეუქმნას შვილებს, მთავარია მათ შეუქმნა შესაბამისი მორალური გარემო.

##### 4.3 უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო წესით გასაჩივრებული საქმე უკან დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს ხელახლა გასნახილველად. მისი აზრით, სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებები არ გამოიკვლია სათანადოდ. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საოჯახო – სამართლებრივი დავების განხილვისას, მათი სპეციფიკურობის გათვალისწინებით, სასამართლომ გარკვეულწილად უნდა „გადაუხვიოს“ სამოქალაქო საპროცესო სამართალში დამკვიდრებულ დისპოზიციურობის პრინციპს, კერძოდ, მას აქვს უფლება, მიუთითოს მხარეებს ისეთი მტკიცებულებების წარმოდგენაზე, რომელიც მათ არ წარმოუდგენიათ.<sup>19</sup>

უზენაესი სასამართლოს თვალთახედვით, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ბავშვების ერთმანეთისაგან დაშორება, ვინაიდან ეს უარყოფითად იმოქმედებს მათს ფსიქიკურების უნდა მათი საცხოვრებელი ადგილის ადგილის არჩევა უნდა მოხდეს არა მხოლოდ ობიექტური, არამედ სუბიექტური მოსაზრებების, კერძოდ, ბავშვის სურვილის საფუძველზე; იმაზე, თუ რა დამკიდებულება აქვს მას დედასთან ან მამასთან ცხოვრების თაობაზე.

18. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-904-944-2011.

19. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ბავშვთა უფლებების კონვენციაზე დაყრდნობით მან გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

#### 4.4 გადაწყვეტილების კომენტარი

აღნიშნული გადაწყვეტილების მნიშვნელობა იკვეთება მრავალი კუთხით. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ უზენაესმა სასამართლომ მსჯელობის დროს გამოიყენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები,<sup>20</sup> რომელიც არც თუ ისე ხშირად გამოიყენება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების დასასაბუთებლად. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დასაბუთებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოყვანა და ამ საქმის მისი მოქმედების ფარგლებში მოქცევა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და კონვენციის მიერ ძირითად უფლებათა დაცვის მიმართ საკმაოდ მაღალი სტანდარტების დაწესების გამო, მიზანშენონილია, საქართველოს სასამართლოებმა ხშირად გამოიყენონ ისინი. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების უკეთესად ფორმულირებასა და სრულყოფილ დასაბუთებას.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც სასამართლო შეეხო, ბავშვების როლია გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლო არ შეეხო იმას, თუ რომელი ასაკიდან არის მიზანშენონილი შვილების ამ სახით მონაწილეობა პროცესში. უნდა ითქვას ისიც, რომ სასამართლო უმრავლეს შემთხვევაში, ვერ მოახერხებს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან ხშირად მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური განვითარების გათვალისწინებით, ხდება ერთგვარი ფსიქოლოგიური ზენოლის ობიექტი იმ მშობლის მხრიდან, რომელთანაც ცხოვრობს.

#### 4.5 უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებები ბავშვის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით.

პრობლემა, რომ ბავშვი შეიძლება მოექცეს მშობლის ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ, ნათლად გამოკვეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2011 წლს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიღებით.<sup>21</sup> საქმის ფაქტობრივი გარემოებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული საკითხი ძალზე პრობლემატურია და გვხვდება არა მარტო ერთ, არამედ მრავალ საქმეში, რომელიც ხშირად ყოფილა არა მარტო სამართალმცოდნების, არამედ მედიისა და მთლიანად საზოგადოების განხილვის საგანი.<sup>22</sup>

მოცემულ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს როგორც ბავშვის ინტერესები, ასევე მისი აზრი, თუმცა ზედმინევნითა და დიდი ყურადღებითაა შესასწავლი ის მიზეზები, რის გამოც იგი ამჯობინებს მეორე მშობელთან დარჩენას. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა, რომ „ბავშვის მიჩვევა ერთი მშობლისადმი, მამისადმი, ამ უკანასკნელის მიერ მშობლიური მოვალეობებისადმი გონივრული მიღვომის შედეგი არ არის და იგი გამოწვეულია სურვილით, მოიპოვოს ბავშვის კეთილგანწყობა ყოველგვარი, თუნდაც არასწორი აღმზრდელობითი ღონისძიებების ფასად“.<sup>23</sup>

იმის დადგენა, თუ რამ გამოიწვია ბავშვის კატეგორიული უარყოფითი დამოკიდებულება მეორე მშობლის მიმართ, საკმაოდ რთულია და კომპლექსური ხასიათის სამუშაოების გატარებას მოითხოვს. პირველ რიგში, აუცილებელია, მოწვეულ იქნას ფსიქოლოგი, რომელიც დაასკვნის, თუ რა ფაქტორები დაედო საფუძვლად ბავშვის ქცევას. როგორც მის მიერ,

20. მაგ. W. v. The United Kingdom, Keegan v. Ireland.

21. იბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ას-441-416-2011.

22. იბ. <http://24saati.ge/index.php/category/news/justice/2011-04-12/15808>, [20/05/2012].

23. იქვე.

ასევე სასამართლოს მიერაც უნდა შეფასდეს ის, თუ რამდენად შეესაბამება ბავშვების მიერ გამოთქმული აზრები მათს ასაკს და ფიზიკურ თუ ფსიქიკურ განვითარებას; ყოველივე ამის შემდეგ ნათელი გახდება, თუ როგორი გადაწყვეტილების გამოტანა მოუტანს სიკეთეს მათს ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი საფრთხეა იმისა, რომ ისინი არაჯანსაღ გარემოში გაიზრდებიან, რამაც საბოლოოდ შეიძლება მრავალ პრობლემასთან მიგვიყვანოს.

უზენაესი სასამართლო მოითხოვს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გარემოებები სრულად იყოს შესწავლილი და გადაწყვეტილება დასაბუთებული.<sup>24</sup> მისი აზრით, ბავშვი იმ მშობელთან უნდა დარჩეს, რომელთანაც „ბავშვი უკეთ გრძნობს თავს და რომელიც უფრო მზადაა მშობლის ფუნქციის შესასრულებლად”.<sup>25</sup> ერთი პრობლემა, რომელიც ამ გადაწყვეტილებაში იქმნება, არის ის, რომ სასამართლოს არ აქვს ზუსტად არ აქვს განსაზღვრული ის, თუ რას ნიშნავს „მშობლის მოვალეობის შესრულების მზადყოფნა”. ვფიქრობ, იგი საკმაოდ აბსტრაქტულია და მოითხოვს განმარტებას. მეორე მხრივ, არაფერია ნათქვამი მშობლის მხრიდან ბავშვზე უარყოფითი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობაზე.

უზენაესი სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის მიკუთვნება არ ნიშნავს იმას, რომ მეორეს ერთმევა მასთან სისტემატიური ურთიერთობის უფლება.<sup>26</sup> ეს კი საშუალებას მისცემს, განახორციელოს მშობლის უფლებები და იტვირთოს შესაბამისი მოვალეობები.

## დასკვნა

მოცემულ ნაშრომში განხილული იყო მშობლების განქორწინების შემთხვევაში ბავშვის ინტერესების დაცვისა და გათვალისწინების საკითხი. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებული იყო როგორც ქართული, ისე საერთაშორისო ხასიათის საკანონმდებლო ბაზა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; უმეტესი ნაწილი კი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ მიდგომას დაეთმო.

როგორც სასამართლო პრაქტიკიდან ირკვევა, ბავშვის ინტერესების დაცვისა და გათვალისწინების მხრივ ერთგვარი სასამართლო პრაქტიკია ჩამოყალიბებული, თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ კუთხით უზენაეს სასამართლომდე არც ისე ბევრი საქმე მისულა და კიდევ უფრო ნაკლები გახილულა.<sup>27</sup>

დროის გასვლის შემდეგ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ კუთხით განხილული საქმეთა რაოდენობა გაიზრდება და შესაბამისად, უფრო მრავალფეროვანი გახდება, რაც საშუალებას მოგვცემს, ვიმსჯელოთ, თუ რამდენად პროგრესულად წარმართა მან პრაქტიკა აღნიშნული იდენტიფიცირებისა და ნორმების განმარტების კუთხით.

ნამდვილად მისასალმებელია ერთ-ერთი საქმის განხილვისას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ თავის დასაბუთებაში მოყვანილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებში მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე საერთაშორისო – სამართლებრივი აქტები.<sup>28</sup> ამით ნათლად ჩანს, რომ საქართველოს სასამართლოს სისტემა სულ უფრო და უფრო განაგრძობს ევროპულ წიაღში ინტეგრაციას.

24. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება ას-653-930-05.

25. იქვე.

26. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება ას-136-462-04.

27. საქმეთა საკმაო რაოდენობა უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცხო ან განუხილველად დატოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

28. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-904-944-2011.

ნინო ბეგიაშვილი<sup>1</sup>

## საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის არსი და თავისებურებანი

### შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში<sup>2</sup> (შემდგომში - სსკ) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებთან მიმართებით განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია სსკ-ის ზოგადი პოლიტიკის მოდიფიცირება და გარკვეულ ინსტიტუტებთან მიმართებით დამკვიდრებული მიდგომის შეცვლა.

ნიშანდობლივია, რომ ახალი საკონონმდებლო რეგულაცია ქმნის ნორმის დოქტრინული<sup>3</sup> განმარტების აუცილებლობას, მითუთრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონის ნორმათა ბუნდოვანების დროს განსაკუთრებით რელევანტურია დოქტრინასა და სასამართლო გადაწყვეტილებაში არსებული ფასეულობები.

წინამდებარე სტატიის მიზანია იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის გზების გამიჯვნა სსკ-ის მე-300 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე, რაც არსებული საკანონმდებლო რეგულაციისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების<sup>4</sup> ანალიზით მიიღწევა.

### 1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მარიამ ქ.-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს - კ.ს. ბანკის მიმართ მხარეთა შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირობის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2009 წლის 4 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა №01 იპოთეკის ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება), რის საფუძველზეც საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 000 ლარის კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის კუთვნილი ბინა. ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, მითითებული თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის ვადაში დაუბრუნებლობის შემთხვევაში მოპასუხეს უფლება მიენიჭა, მარიამ ქ.-ს დამატებითი ნებართვის გარეშე, პირდაპირ დაესაკუთროს მის ქონებას. მოსარჩელის აზრით, გარიგების ეს პირობა წინააღმდეგობაშია სსკ-ის მე-300 მუხლის მეორე ნაწილთან.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო ხელშეკრულების მე-9 მუხლი სსკ-ის მე-300 მუხლის დანაწესს არ ეწინააღმდეგება.

1. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი.

2. პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997, №31.

3. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 65-66.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, საქმე №ას-1283-1538-09, 2010 წლის 25 მაისი, ქ. თბილისი.

### ხელშეკრულების მე-9 მუხლი:

„9.1. ნინამდებარე ერთობლივი განცხადებით იპოთეკარი და მესაკუთრე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მიმართავენ საჯარო რეესტრის თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს (შემდგომში - საჯარო რეესტრი), რომ საჯარო რეესტრმა იპოთეკარი დაარეგისტრიროს იპოთეკის საგნის მესაკუთრედ, იმ შემთხვევაში თუკი ადგილი ექნება „მსესხებლის“ მიერ კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუბრუნებლობას.

9.2. ამ ხელშეკრულების 9.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში იპოთეკარი სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) მიმართავს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. იპოთეკარი და მესაკუთრე სთხოვენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რაიმე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, საჯარო რეესტრმა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება.“

### სსკ-ის მე-300 მუხლი:

„1. იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ამ კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით.

2. თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაქმაყოფილებას, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს.“

## 2. სსკ-ის მე-300 I და მე-300 II მუხლების ურთიერთმიმართება

ჩვენი შეფასების თანმიმდევრულობისა და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სწორი ანალიზისათვის ფუნდამენტურია სსკ-ის მე-300 I და მე-300 II მუხლების ურთიერთმიმართების განსაზღვრა. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი განსხვავებული მოსაზრება. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, სსკ-ს მე-300 I მუხლი ითვალისწინებს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესაძლებლობას, ხოლო სსკ-ს მე-300 II მუხლით დადგენილია მოცემული შესაძლებლობის განხორციელების წესი და პროცედურა. მეორე მოსაზრების მიხედვით, სსკ-ის მე-300 I და მე-300 II მუხლები ადგენენ იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის ორ განსხვავებულ წესს. კერძოდ, სსკ-ს მე-300 I მუხლი ითვალისწინებს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლის წესს, ხოლო მე-300 II მუხლი - ერთობლივი განცხადებით მიმართვის წესს, მაშინ როდესაც იპოთეკის ხელშეკრულებაში არაფერია ნათევამი იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით და მხარეები მოგვიანებით მივიღნენ ამ აზრამდე.

ნიშანდობლივია, რომ ნორმის განმარტებისას გადამწყვეტია კანონის არსისა და მიზნის (“ratio legis”) შესაბამისი განმარტება<sup>5</sup>. თუ დავუშვებთ, რომ სსკ-ს მე-300 I მუხლი არ ითვალისწინებს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლის წესს

5. კერძესლიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 74.

და იგი განხილულ უნდა იქნას მე-300 II მუხლთან ერთად (ანუ, საკუთრების უფლების გადასვლისათვის ყველა შემთხვევაში საჭიროა მესაკუთრის თანხმობა), მაშინ გაუგებარია მე-300 I მუხლის დანიშნულება. კერძოდ, აზრს კარგავს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის შესახებ შეთანხმების პირდაპირ გათვალისწინება იპოთეკის ხელშეკრულებაში, ან გამოდის, რომ თუკი მხარეებმა ხელშეკრულებაში პირდაპირ არ გათვალისწინეს აღნიშნული პირობა, შემდგომში ისინი სსკ-ის მე-300 მუხლით მინიჭებული უფლებით ველარ ისარგებლებენ.

ამასთან, გაგვიჭირდება უზენაესი სასამართლოს პოზიციის გაზიარება იმასთან დაკავშირებით, რომ სსკ-ს მე-300 I და II მუხლების ერთიანი მოაზრების პირობებში, მოვალე, რომელიც არ ასრულებს დადგენილ ვადაში თავის ვალდებულებას, გამოიჩენს კეთილგონიერებას და „ბოროტად“ არ ისარგებლებს მე-300 მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობით - არ დაეთანხმოს კრედიტორს საკუთრების უფლების გადაცემაზე. ნორმის დანიშნულება და არსი არ უნდა უკავშირდებოდეს მოვალის შესაძლო ქმედებას, მისი კეთილსინდისიერების სავარაუდო ფარგლებსა, თუ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული მეური იურიდიული შედეგის შიშს. მსგავსი მსჯელობა მხოლოდ ჰიპოთეტურია და ვერ ექნება კანონმდებლის ზუსტი ნების ამოცნობის პრეტენზია.

პრაქტიკული თვალსაზრისით, იპოთეკის საგანზე საკუთრების უფლების შექმნისათვის ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, იპოთეკარმა და მესაკუთრები ერთობლივი განცხადებით მიმართონ საჯარო რეესტრს. განსხვავება იკვეთება უშუალოდ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრისას, რა დროსაც წინა პლაზე იწევს იპოთეკის ხელშეკრულება. კერძოდ, თუ მივიჩნევთ, რომ მე-300 II მუხლი თავისი არსით ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც იპოთეკარის ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით და მხარეები მოგვიანებით მივიდოდნენ ამ აზრამდე, შეუძლებელია, ნების გამოვლენა წინ უსწრებდეს ვალდებულების დარღვევის ფაქტს. ამავე ლოგიკით, შეუძლებელია სსკ-ის მე-300 II მუხლის გათვალისწინება ხელშეკრულებით. შესაბამისად, იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის წესის განსაზღვრა იქნება სსკ-ის მე-300 I მუხლიდან (და არა მე-300 II მუხლიდან) გამომდინარე დათქმა ხელშეკრულებაში.

კანონმდებლის ზუსტი ნების იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია კანონის ნორმათა სისტემური ანალიზი. ამ კუთხით, საყურადღებოა, სსკ-ში არსებული რეგულაცია იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, სსკ-ის 302-ე მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილის თანახმად, „კრედიტორისა და მესაკუთრის წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორისთვის გადაცემა და რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული გარიგება დადასტურებული უნდა იქნეს სანოტარო წესით.“ შესაბამისად, კანონმდებელი უშვებს სსკ-ის მე-300 I და 302-ე მუხლების ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობას, რა შემთხვევაშიც იპოთეკის საგნი იპოთეკარის საკუთრებაში გადადის ნოტარიუსის სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე (თუ ეს პირდაპირ იქნა გათვალისწინებული ნოტარიულად დამოწმებულ იპოთეკის ხელშეკრულებაში) და საჯარო რეესტრისადმი იპოთეკარის და მესაკუთრის ერთობლივი განცხადებით მიმართვა აღარ არის რელევანტური. ამ დროს, საჯარო რეესტრი იპოთეკარის საკუთრების უფლებას არეგისტრირებს მხოლოდ კრედიტორის მიმართვისა და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ კანონმდებლის ნება უნდა ყოფილიყო სსკ-ის მე-300 I და მე-300 II მუხლებით იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის ორი

განსხვავებული წესის დადგენა. რადგან თუ დავუშვებთ, რომ მე-300 II მუხლს არ აქვს თვითმყოფადი ხასიათი და მასში განერილია მხოლოდ მხარეთათვის ამ მუხლის პირველი ნაწილით მინიჭებული უფლების განხორციელების წესი და პირობები, მაშინ გამოირიცხება სკუ-ის მე-300 I მუხლთან ერთად 302-ე მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილის გამოყენების შესაძლებლობა, რაც სწორედ რომ კანონმდებლის ნების საწინააღმდეგოდ უნდა იქნეს მიწნეული.

#### 4. იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის მიმართება სკუ-ის მე-300 მუხლთან

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მე-9 მუხლი შეესაბამება სკუ-ის მე-300 მუხლს, რადგან სკუ-ის მე-300 II მუხლის მეორე ნაწილი არ უკავშირდება მის პირველ ნაწილს და ეხება მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც იპოთეკის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით და მხარეები მოგვიანებით მივიდნენ ამ აზრამდე. სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლის შესაძლებლობა და წესი და ასეთ შემთხვევაში დამატებითი ერთობლივი განცხადება საჭირო აღარ არის. სასამართლოს აზრით, იპოთეკარს იპოთეკის ხელშეკრულებით დაუშვია იპოთეკის საგნის საკუთრებაში გადასვლის ორივე წესი (პირდაპირი და ერთობლივი განცხადების მეშვეობით), რაც არ ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლს.

თბილისის საქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებული პოზიცია აქვთ თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდეგ, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მარიამ ქ. -ს სარჩელი ნაწილობრივ დაკავშირებილა - ბათილად იქნა ცნობილი ხელშეკრულების 9.2 პუნქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების სადავო მე-9 მუხლი მთლიანად არ ეწინააღმდეგება სკუ-ს მე-300 მუხლს და განმარტა, რომ იპოთეკის ხელშეკრულების სადავო 9.1 პუნქტი შეესაბამება სკუ-ს მე-300 I მუხლს, განსხვავებით 9.2 პუნქტისაგან, რომელიც არსებით წინააღმდეგობაშია სკუ-ის მე-300 II მუხლთან. სასამართლოს მოსაზრებით, კანონის დასახელებული დანაწესი პირდაპირ და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ადგენს, რომ კრედიტორსა და მოვალეს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ მიმართონ საჯარო რეესტრს ერთობლივი განცხადებით, როდესაც მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას; იპოთეკის საგნის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასასვლელად მხარეთა შეთანხმების გარდა საჭიროა, დადგინდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების გაჭიანურების ფაქტი და მხოლოდ ამის შემდეგ შედგეს მხარეთა ერთობლივი განცხადება. ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმება კი ბათილად უნდა ჩაითვალოს.

სადავოა ხელშეკრულების 9.2 პუნქტის სკუ-ს მე-300 II მუხლთან შეუსაბამობის დასაბუთება იმ მოტივით, რომ იგი ადგენს კანონის ნორმისაგან განსხვავებულ წესს. მოცემულ შემთხვევაში, გაზიარებულ უნდა იქნეს საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულების 9.2 პუნქტის შესაბამისად, იპოთეკარი მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნით, როდესაც მსესხებელი კრედიტის ძირითად თანხას და მასზე დარიცხულ პროცენტს არ დააბრუნებს (მოცემული დასკვნა სასამართლომ დააფუძნა სადავო ხელშეკრულების 9.2 პუნქტის პირველ წინადადებას). ზემოაღნიშნული, ლოგიკურ ბმაშია თავად მე-300 I მუხლის დანაწესთან, რომლის თანახმადაც, თუ დადგება ვალდებულებით-სამართლებრივი

ურთიერთობიდან გამომდინარე წინაპირობები, ანუ მოვალე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულება, ავტომატურად ამოქმედდება სანივთო-სამართლებრივი გარიგების პირობები და მოხდება იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლა. შესაბამისად, ხელშეკრულების 9.2 პუნქტი არ ეწინააღმდეგება სსკ-ს მე-300 || მუხლს, მეტიც მას არანაირი კავშირი არ აქვს სსკ-ს მე-300 || მუხლთან, ვინაიდან ადგენს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლის წესს (და არა „თანხმობით გადასვლის“ წესს, როგორც ეს სსკ-ს მე-300 || მუხლითაა განმტკიცებული).

## 5. ხელშეკრულების 9.1 და 9.2 პუნქტების ურთიერთმიმართება

თავისუფლად შეგვიძლია დავეთანხმოთ საქალაქო სასამართლოს შეფასებას, რომ 1) სსკ-ს მე-300 | მუხლი დამოუკიდებელია სსკ-ის მე-300 || მუხლისაგან და 2) იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლი არ ეწინააღმდეგება სსკ-ის მე-300 მუხლს. თუმცა, სადაცომა თავად იპოთეკის ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხილვა და მათი სახით, იპოთეკის ხელშეკრულებაში იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის ორ სხვადასხვა წესზე საუბარი. თუ სიღრმისუფლად გავაანაზილებთ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ნათელი გახდება, რომ იგი იპოთეკის ხელშეკრულების 9.1 პუნქტს განიხილავს, როგორც ხელშეკრულებაში სსკ-ის მე-300 || მუხლის – , ხოლო 9.2 პუნქტს, როგორც სსკ-ის მე-300 | მუხლის გამოვლინებას. მოცემული მსჯელობა წინააღმდეგობაშია თავად სასამართლოს მიერ მე-300 || მუხლის შეფასებასთან - ალოგიკურია, რომ მხარეებმა გაითვალისწიონონ ხელშეკრულებით ის, რაზეც „ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი და რა აზრამდეც მხარეები მოგვიანებით მივიღნენ“. ნიმანდობლივია, რომ იპოთეკის ხელშეკრულების 9.1 და 9.2 პუნქტები განხილული უნდა იყოს არა ცალ-ცალკე შემთხვევებად, არამედ იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლის შესაძლებლობისა და წესების დამდგენ ნორმებად, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და მხოლოდ მთლიანობაში ქმნიან მხარეთა მიერ გამოთქმული ნების ამსახველ სურათს. აღნუშნული დასკვნა ეფუძნება თავად ხელშეკრულების 9.2 პუნქტის პირველ წინადადებას - „ამ ხელშეკრულების 9.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში“, რაც ადასტურებს, რომ 9.2 პუნქტი ატარებს არა თვითმყოფად და დამოუკიდებელ, არამედ შემვსებ ხასიათს და გამოიყენება, მხოლოდ მაშინ როდესაც არსებობს 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობები. ამასვე მიუთითებს სს - კ.ს. ბანკის წარმომადგენლის მიერ საკასაციო საჩივარში დაფიქსირებული პოზიცია, იმის თაობაზე, რომ სადავო მე-9 მუხლი ითვალისწინებს იპოთეკარის საკუთრებაში იპოთეკის საგნის გადასვლის დეტალურ წესს, კერძოდ, მსესხებელმა უნდა გაადაცილოს ძირითადი საკრედიტო თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის ვადას და იპოთეკარმა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. მან იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრის დამატებითი ნებართვის გარეშე, იპოთეკის საგანზე უნდა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება.

## 6. სასამართლოს პოზიციის შეფასება ხელშეკრულების მე-9 მუხლით მხარეთა მიერ დაფიქსირებული ნების პირობით გარიგებად მიჩნევის თაობაზე

საინტერესოა სასამართლოს პოზიციის შეფასება ხელშეკრულების 9.2 პუნქტის პირობით გარიგებად მიჩნევის თაობაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადაც 9.1 და 9.2 პუნქტებით მხარეებმა მოახდინეს ხელშეკრულებაში სსკ-ის მე-300 I მუხლის იმპლემენტირება. შესაბამისად, ხელშეკრულების მე-9 მუხლით განისაზღვრა იპოთეკარის საკუთრებაში იპოთეკის საგნის პირდაპირი გადასვლის დეტალური წესი, კერძოდ, მსესხებელმა უნდა გაადაცილოს ძირითადი საკრედიტო თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის გადახდის ვადას და იპოთეკარმა სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით (სადაც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ ხელმოწერა) უნდა მიმართოს საჯარო რეესტრს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. საჯარო რეესტრი არ ამოწმებს ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს. მან იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრის დამატებითი ნებართვის გარეშე, იპოთეკის საგანზე უნდა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება. ის გარემოება, რომ გადაუხდელობის ფაქტის არ არსებობა, მოცემულ გარიგებას პირობით გარიგებად ხდის, რაც ასევე კანონიერია. სრულიად ვიზიარებთ თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიციას იმ ნაწილში, რომ გარიგების კანონიერება არ განისაზღვრება იმით, თუ რომელია პირველადი - ფაქტი, თუ ნება, არამედ იმით, რომ ნება იყოს ნამდვილი, გამოხატული მხარის მიერ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ „კანონი არ კრძალავს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედების სამომავლოდ განხორციელებაზე წინასწარ შეთანხმებას, მაგრამ, ამასთან, ეს შეთანხმება (რომ მოვალე თანახმაა, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ერთობლივი განცხადებით მიმართოს საჯარო რეესტრს) მხოლოდ სამომავლო მოქმედების განხორციელებაზე - ერთობლივი განცხადების შედგენაზე თანხმობას უნდა ეხებოდეს.“ მიმართია, რომ სასამართლოს მსჯელობა ამ კუთხით დაზუსტებას საჭიროებს, კერძოდ, თუკი ხელშეკრულებაში დაფიქსირდება იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის წესი, ეს ბუნებრივია, იქნება არა სსკ-ის მე-300 II, არამედ სსკ-ის მე-300 I მუხლიდან გამომდინარე დათქმა ხელშეკრულებაში. შესაბამისად, კონტრაპენტთა ნამდვილი ნების საფუძველზე წინასწარ შედგენილმა ერთობლივმა განცხადებამ არ უნდა გაიაროს „ნამდვილობის ტესტი“ სსკ-ის მე-300 II მუხლით. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ს 300 II მუხლის გამოყენებისთვის მისი შინაარსიდან გამომდინარე გადამწყვეტია სწორედ ფაქტის - ვალდებულების დარღვევის პირველად არსებობა და შემდგენ ნების (იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადაცემის) გამოხატვა. მოცემული მსჯელობა ლეგიტიმურია, თუ ჩავთვლით, რომ სსკ-ის მე-300 II მუხლი ითვალისწინებს არა „პირდაპირი გადასვლის წესს“, არამედ „ერთობლივი განცხადებით მიმართვის წესს“, რა დროსაც შეუძლებელია, ნების გამოვლენა წინ უსწრებდეს ვალდებულების დარღვევის ფაქტს.

შესაბამისად, ჩვენს შემთხვევაში, მხარეებმა სსკ-ის მე-300 I მუხლზე დაყრდნობით გამოხატეს ნება, რომლის მიხედვითაც „იპოთეკარი და მესაკუთრე სთხოვენ საჯარო რეესტრს, რომ იპოთეკარისაგან ზემოაღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, მესაკუთრისაგან რამე დამატებითი თანხმობის გამოთხოვის გარეშე, საჯარო რეესტრმა დაარეგისტრიროს იპოთეკარის საკუთრების უფლება“. ამასთან, მხარეები სადაც 9.2 პუნქტით, სსკ-ის 90-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმდნენ იმ იურიდიულ შედეგზე, რომელიც დად-

6. „პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ არ გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა - ამ მოვლენის

გებოდა მოვალის მიერ კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუბრუნებლობის შე-მთხვევაში (იხ. 9.1 პუნქტი).

## დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სსკ-ის მე-300 I და მე-300 II მუხლები ადგენენ იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის ერთმანეთი-საგან განსხვავებულ წესს. შესაბამისად, სსკ-ს მე-300 I მუხლი ითვალისწინებს იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლის წესს, ხოლო მე-300 II მუხლი - ერთობლივი განცხადებით მიმართვის წესს, მაშინ როდესაც იპოთეკის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით და მხარეები მოგვიანებით მივიღნენ ამ აზრამდე.

ნიშანდობლივია, რომ სადაც 9.1 და 9.2 პუნქტებით მხარეებმა მოახდინეს ხელშეკრულებაში სსკ-ის მე-300 I მუხლის იმპლემენტირება. ხელშეკრულების 9.1 და 9.2 პუნქტები განხილული უნდა იყოს არა ცალ-ცალკე შემთხვევებად, არამედ იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში პირდაპირი გადასვლის შესაძლებლობისა და წესების დამდგენ ნორმებად, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და მხოლოდ მთლიანობაში ქმნიან მხარეთა მიერ გამოთქმული ნების ამსახველ სურათს.

შესაბამისად, სსკ-ის მე-300 II მუხლის გამოყენების დროს შეუძლებელია, ნების გამოვლენა წინ უსწრებდეს ვალდებულების დარღვევის ფაქტს. ამავე ლოგიკით, წარმოუდგენელია მე-300 II მუხლის გათვალისწინება ხელშეკრულებით, ხოლო თუ ხელშეკრულებაში დაფიქსირდება იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის წესი, ეს იქნება არა სსკ-ის მე-300 II, არამედ სსკ-ის მე-300 I მუხლიდან გამომდინარე დათქმა ხელშეკრულებაში.

## ნინო ქოჩიაშვილი<sup>1</sup>

# თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე დამყარებული სამართალწარმოება მოწმეთა ჩვენებების შეფასებისას

## შესავალი

“3. ყველა პრალდებულს აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:  
დ. დაკითხოს მის ნინაალმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები,  
ან ჰქონდეს იმის უფლება, რომ ეს მოწმეები იქნენ დაკითხულნი  
და ჰქონდეს თავის მოწმეთა გამოძახების და დაკითხვის უფლება  
იმავე პირობებით, რომლებიც გამოიყენება მის ნინაალმდეგ  
ჩვენების მიმცემი პირების მიმართ.”  
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის  
ევროპული კონვენცია:  
მუხლი 6 - სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>2\*</sup>

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ერთ-ერთი ფუნდამენტური და მნიშვნელოვანი პრინციპთაგანია იმ უფლებათა და თავისუფლებათა ჩამონათვალში, რომელსაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ურომლისოდაც სრულყოფილი სამართალწარმოების განხორციელება სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში წარმოუდგენელია. აღნიშნული უფლების რელევანტურობაზე მეტყველებს ასევე ის სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დღემდე სწორედ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას ეხება.<sup>3</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება გვხვდება არა მარტო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, არამედ იგი ასახულია ასევე მთელ რიგ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორიცაა: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია და ა.შ.

ამდენად, საქმის სამართლიანად განხილვის შესახებ მოთხოვნა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა პრაქტიკული განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. თუმცა წინამდებარე ნაშრომისათვის საყურადღებოა არა ზოგადად სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, არამედ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი - მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა მტკიცებულებათა წარმოდგენისა და განხილვის ეტაპზე, კერძოდ კი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3

1. თსუს მაგისტრანტი, იენის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი (LL.M)

2. <http://www.gyla.ge/files/3/5kje1n7ezv.pdf>

3. n.b. Annual Report 2010, Registry of the European Court of Human Rights Strasbourg, 2011, გვ. 151.

ნაწილის “დ” ქვ/პ-ის მოთხოვნა. აღნიშნული ნორმა მხარეებს და, უპირველეს ყოვლისა, ბრალდებულს, შესაძლებლობას აძლევს, კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის გათვალისწინებით გამოიძახონ და დაკითხონ მოწმეები. ამასთან სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ არც ერთი მხარე არ ჩადგეს არახელსაყრელ პირობებში თავისივე ოპონენტის საპირისპიროდ.<sup>4</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “დ” ქვ/პ-ის მოთხოვნა არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, რომელიც ნაციონალურ სასამართლოებს დაავალდებულებდა, დაეკმაყოფილებინა დაცვის მხარის ნებისმიერი შუამდგომლობა მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის შესახებ. კონვენცია ადგენს ზოგად გარანტიას იმის თაობაზე, რომ საქმესთან შემხებლობის მქონე მოწმეების დაკითხვა განხორციელდეს თანაბარ პირობებში. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ გარკვეული გამონაკლისები ზემოხსენებული გარანტიიდანაც არსებობს მანამ, სანამ საფრთხე არ დაემუქრება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. გამონაკლის შემთხვევებში იგულისხმება ობიექტურად გარდაუვალი ვითარება, როდესაც დაცვის მხარის უფლებათა შეზღუდვის აცილება შეუძლებელი იყო. სასამართლო პრაქტიკიდან აღსანიშნავია ოთხი შემდეგი ვითარება: 1. მოწმის მიერ ჩვენების მიცემა შეუძლებელია, რადგან არ გამოცხადდა სასამართლოზე ან შეუძლებელია მისი მოყვანა; 2. არსებობს მოწმის ვინაობის გასაიდუმლოების ინტერესი; 3. მოწმე დაშინებულია ბრალდებულის მიერ; 4. მოწმე არის სექსუალური დანამაულის მსხვერპლი, რომელმაც ბრალდებულთან დაპირისპირების შედეგად, შესაძლებელია, მძიმე სულიერი ტრამვა მიიღოს.<sup>5</sup>

დღოთა განმავლობაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ერთიანი მიდგომა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “დ” ქვ/პ-ის ფარგლებში შეზღუდვების დაწესებასთან დაკავშირებით (თუმცა ზოგიერთი ავტორი სტრასბურგის სასამართლოს განმარტებებს საკმაოდ კრიტიკულად აფასებს და თვლის, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი არავითარ შეზღუდვას არ ითვალისწინებს ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების დაცვის მიზნით). ამ მხრივ აღსანიშნავია 2010 წლის 16 თებრვლის გადაწყვეტილება, რომელიც წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან განხილვის საგანს წარმოადგენს. საქმეში - ვ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლომ, მართალია, გაიმეორა მანამდე არსებული პრაქტიკა დაცვის მხარისათვის მოწმეთა თანაბარ პირობებში გამოძახებისა და დაკითხვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით,<sup>7</sup> მაგრამ ასევე ძველი გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, მოცემულ საქმეში “შეუმოწმებელი” მტკიცებულების სანდობაზეც იმსჯელა, რითაც, შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო დაკონკრეტა მანამდე არსებული კრიტიკიუმები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან ერთად ასევე საინტერესოა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შიდასახელმწიფოებრივი რეგულირება. მტკიცებულებათა დაშვებისა და განხილვის შესახებ პრინციპების შემუშავება სწორედ ნაციონალური კანონმდებლობის პრეროგატივაა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი ამოწმებს, შიდასახელმწიფობრივი სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი იყო თუ არა.<sup>8</sup> კონვენციის მონაწილე სახლემწიფოების მსგავსად ქართული კანონმდებლობაც ადგენს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დებულებებს სამართლიანი სასამართლო განხილვის განსახორციელებლად. თუმცა აღნიშნული შესაბამისობა,

4. იხ. კ. კონკელია, ნ. მჭედლიძე, ალ. ნალპანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2005, გვ. 133.

5. იხ. შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 330.

6. იხ. შ. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 331.

7. იხ. უნტერპერტინგრი ავსტრიის წინააღმდეგ, \$31; ლუკა იტალიის წინააღმდეგ, \$40.

8. იხ. ვ. გოლვიტცერი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ბერლინი 2005, გვ. 398.

შესაძლებელია, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებამ, კერძოდ კი, სსკ-ს 114-ე მუხლის მე-4 ნაწილმა მეორე მხარის ინფორმირებისა და მონაწილეობის გარეშე მოწმის მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვის უფლების შემოტანით.

ამდენად, წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, ერთის მხრივ, ვ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ – აღნიშნული საქმის მაგალითზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განზოგადება და იმ საერთო კრიტერიუმების განხილვა, რომელთა საფუძველზეც სასამართლო უზრუნველყოფს დაცვის მხარისათვის თანაბარი პირობების შექმნას მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვისას. მეორეს მხრივ კი საყურადღებოა ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და, კერძოდ, 114-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს მიერ განმტკიცებული პრაქტიკის საპირისპიროდ არანაირ ბარიერს არ აწესებს ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე დაკითხული მოწმის ჩვენების სასამართლოს მიერ შეფასებისათვის.

## 1. სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობა ევროპული სასამართლოს მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “დ” ქვ/პ-ის მოთხოვნა უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობას მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის ეტაპზე. აღნიშნული უფლება კი გამორიცხავს მტკიცებულების ცალმხრივი გამოკვლევის შესაძლებლობას. ამასთან, ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე დაკითხული მოწმის ჩვენება მხოლოდ მაშინ შეიძლება მიიღოს სასამართლომ მხედველობაში, როდესაც იგი განმტკიცებულია სხვა უტყუარი მტკიცებულებით. ამდენად, სასამართლო “გადამწყვეტი ხარისხით” არ უნდა დაეყრდნოს ცალმხრივად გამოკვლეულ მტკიცებულებას.<sup>9</sup> აღნიშნული მიდგომა გამოიყენა სტრასბურგის სასამართლომ ასევე ვ.დ. რუმინეთის წინააღმდეგ საქმეში, სადაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მსჯელობის საგნად ასევე აქცია “შეუმოწმებელი” მტკიცებულების სანდოობა. იმისათვის, რომ კარგად გავაანალიზოთ, კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, მოკლედ მიმოვიზილოთ საქმის ფაქტობრივი გარემოებანი.

1969 წელს დაბადებულმა რუმინეთის მოქალაქე ვ.დ.-მ საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლწარმოებისას იგი გახდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. განმცხადებლის თქმით, მას ასევე არ მიეცა სამართლიანი სასამართლო განხილვის შესაძლებლობა. ამდენად, წარდგენილი საჩივრის მიხედვით, განმცხადებელი სადავოდ ხდის სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ კონვენციის მე-3, მე-6 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილის “დ” ქვ/პ-ის დარღვევას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ ვიდელეს რაიონული სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილებით ვ.დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ ბების გაუპატიურებაში, ასევე ძარცვასა და ქურდობაში. საქმის განმხილველი სასამართლო ძირითადად დაეყრდნო დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებს, ხოლო განმცხადებლის მიერ გამოძახებული მოწმის დაკითხვასა და ასევე DNA-ის ანალიზის ჩატარებაზე უარი განაცხადა. განმცხადებლისათვის არ გაუცვნიათ დაზარალებულის წერილობითი ჩვენება და მას ასევე არ მიეცა შესაძლებლობა, კითხვები დაესვა მსხვერპლისათვის.<sup>10</sup>

9. იხ. ვ. გოლვიტცერი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, ბერლინი 2005, გვ. 408..

10. იხ. <http://sim.law.uu.nl/SIM/CaseLaw/hof.nsf/1d4d0dd240bfee7ec12568490035df05/a5252cd15a3690ccc12576cc0035b2e7?OpenDocument> 26-08-2011 09:15:26

აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა განმცხადებლის მიმართ არაჰუმანური მოპყრობის ფაქტი და მის მიმართ კონკრეტით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევა. სასამართლომ მე-6 მუხლზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელს არ მიეცა შესაძლებლობა დაეკითხა დაზარალებული და ასევე უარი ეთქვა ისეთი მნიშვნელობის მქონე ექსპერტიზის ჩატარებაზე, როგორიცაა DNA-ს ანალიზი. სტრასბურგის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის ფუნდამენტურ ელემენტს, ურომლისოდაც აღნიშნული პრინციპის განხორციელება შეუძლებელია. წინამდებარე საქმეში კი კონვენციის შესაბამისი ბალანსი მხარეებს შორის დარღვეულია, რადგანაც გამამტყუნებელი განაჩენი განმცხადებლის მიმართ მნიშვნელოვანნილად ეყრდნობოდა საქმეში მთავარი მოწმის – დაზარალებულის წერილობით ჩვენებას, რომლის შინაარსიც განმცხადებლისათვის უცნობი იყო და, აქედან გამომდინარე, მას არ მიეცა შესაძლებლობა, დაემტკიცებინა ან გაეპათილებინა აღნიშნული ჩვენების უტყუარობა.

ამდენად, წინამდებარე გადაწყვეტილებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა რა მანამდე არსებული პრაქტიკა და კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “დ” ქვ/პ-ის დარღვევად გამოაცხადა დაცვის მხარისათვის ბრალდების მიერ წარმოდგენილი მთავარი მოწმის ჩვენების შეფასების უფლების შეზღუდვა, ასევე სასამართლოს უარი მის მიერ გამოძახებული მოწმის დაკითხვასა და DNA-ს ანალიზის ჩატარებაზე. ყურადსალები ფაქტი სტრასბურგის სასამართლოს 2010 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებაში არის ის, რომ აქ სასამართლომ აქცენტი გააკეთა “შეუმოწმებელი” მტკიცებულების ბუნებაზე. კერძოდ, სასამართლოს მტკიცებით, განმცხადებლისათვის მთავარი მოწმის დაკითხვის შესაძლებლობის მიცემისა და DNA-ს ანალიზის ჩატარების შემთხვევაში უტყუარად დადასუტრდებოდა ან გაბათილდებოდა მთავარი მოწმის ჩვენება, რომელსაც საქმის განმხილველი სასამართლო დაეყრდნო. რადგანაც შეუმოწმებელი დარჩა აღნიშნული მტკიცებულება, მისი სანდოობის ხარისხიც შემცირდა და გამამტყუნებელი გადაწყვეტილებისთვის გამოუსადეგარი გახდა. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს (გამამტყუნებელი განაჩენი “გადამწყვეტი ხარისხით”) არ უნდა ემყარებოდეს (ცალმხრივად გამოკვლეულ მტკიცებულებებს) დაამატა, რომ არათუ გადაწყვეტი ხარისხით, როგორც ეს აში ავსტრიის წინააღმდეგ საქმეში დაადგინა, არამედ თუ მტკიცებულების სანდოობა ეჭვებეშ დგება, დაუშვებელია, სასამართლოს გადაწყვეტილება დაეფუძნოს ასეთ მტკიცებულებას. მოცემულ საქმეში კი დაზარალებულის ჩვენების სანდოობა ეჭვებეშ დადგა ერთის მხრივ იმით, რომ განსასჯელს არ მიეცა თავისმართლების შესაძლებლობა დაზარალებულისათვის კითხვების დასმის ნაწილში და მეორეს მხრივ, DNA-ს ანალიზის ჩატარებაზე უარის თქმით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართლებრივ საშუალებათა თანასწორობა დაცულია მაშინ, როდესაც ერთმანეთთან დაპირისპირებულ მხარეებს, მიუხედავად მათი მიზნებისა და ამოცანებისა სამართალწარმოების ეტაპზე, თანაბრად შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. თანაბარი პირობების დაცვა კი ობიექტურად შეუძლებელია, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ ესწრება მოწმის დაკითხვას, უფრო მეტიც, არ იცის აღნიშნული დაკითხვის შესახებ. საქმე ეხება სსსკ-ს 114-ე მუხლის მე-4 წარმოდგენილი გათვალისწინებულ შესაძლებლობას, რომელიც სადაცოდ ხდის შეჯიბრებითი პროცესის განხორციელებას. შემდეგი თავი სწორედ მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის ეტაპზე ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას დაეთმობა.

## 2. სსკ-ს 114-ე მუხ. მე-4 ნაწ – შეჯიბრებითობის ორმაგი სტანდარტი?

მხარეთა შეჯიბრებითობა და უპირველეს ყოვლისა, ბრალდებულისათავის თანაბარი პირობების მინიჭება უზრუნველყოფილია საქართვლოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში, რომლის მე-6 პუნქტის მიხედვითაც: ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორიც ბრალდების მოწმეებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი, მართალია, ცალსახად არ ითვალისწინებს ამგვარ ჩანაწერს, მაგრამ მე-9 მუხლისა და 38-ე მუხლის მე-14 ნაწილი შესაბამისობაშია ერთის მხრივ კონსტიტუციის მოთხოვნასთან და მეორეს მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებთან. თუმცა 2009 წელს სისხლის სამართლის პროცესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად<sup>11</sup> აღნიშნული თანაფარდობა, შესაძლებელია, დაირღვეს. კერძოდ, სსკ-ს 114-ე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც მოწმის დაკითხვა სასამართლოში საქმის არსებით განხილვა-მდე შეიძლება განხორციელდეს. ამასთან მოწმეს ჩვენება ჩამოერთმევა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე. ერთი შეხედვით, აღნიშნული ნორმა, ემსახურება რა დანაშაულის გახსნის სახელმწიფოს კანონიერ მიზანს, შესაბამისობაში მოდის ასევე ევროპულ სტანდარტებთან და არ იწვევს არათანაბარი მდგომარეობის შექმნას რომელიმე მხარისათვის. მაგრამ ამგვარი წარმოდგენა ირღვევა მაშინ, როდესაც ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ერთი მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე მოწმის დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მეორე მხარის ინფორმირებისა და დაკითხვაში მონაწილეობის გარეშე ხდება შესაძლებელი. ამასთან კანონმდებელი აკონკრეტებს, რომ 114-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით დაკითხული მოწმის ჩვენება დაუშვებელია, თუ მოწმის დაკითხვა საქმის არსებითი განხილვისას იქნება შესაძლებელი. მართალია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის “დ” ქვ/პ, როგორც უკვე აღინიშნა, არ იძლევა ბრალდების მხარის მოწმის დაკითხვაში ბრალდებულის მონაწილეობის აბსოლუტურ უფლებას, მაგრამ ადგენს იმ მინიმუმ გარანტიებს, რომლებიც აუცილებელია შეჯიბრებითობისა და თანასწორობისათვის და აქედან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფად. ქართული კანონმდებლობა კი არ შეიცავს რაიმე სახის მითითებას ამგვარი გარანტიების თაობაზე და უფრო მეტიც, შეჯიბრებითობის და თანასწორობის დარღვევის ალბათობა უფრო იზრდება მაშინ, როდესაც ქართული კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლეს უფლება არ აქვს კითხვები დაუსვას მოწმეს (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია მოსამართლემ დამაზუსტებელი შეკითხვა დაუსვას მოწმეს, ამასთან, მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში). ამდენად, მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე მოწმის დაკითხვის ინიციატორი არის ის ერთადერთი “ყოვლისშემძლე”, რომელსაც შეუძლია კითხვები დაუსვას მოწმეს. შესაბამისად, აღნიშნულ ჩვენებაში დაფიქსირებული იქნება მხოლოდ ის პოზიცია, რომელიც მხარეს სურს, რომ მოწმისგან მოისმინოს. ამგვარი ცალმხრივად გამოკვლეული მტკიცებულება კი ყოველთვის ეჭვქვეშ დააყენებს მის სანდოობას, რაც მას სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენისათვის გამოუსადეგარს გახდის. როგორც ვხედავთ, მოცემული საპროცესო ნორმა ქმნის ერთგვარ საფრთხეს ბრალდებულის უფლებებისათვის (მართალია, სსკ-ს 114-ე მუხლის მე-4 ნაწილი მხრივე მხარისათვის იძლევა მოწმეთა ცალმხრივად დაკითხვის შესაძლებლობას, მაგრამ ძალთა ბალანსის აბიექტური უთანასწორობიდან გამომდინარე, ერთ მხარეს სახელმწიფო და მეორე მხარეს ბრალდებული, მიზანშეწონილია, რომ ყურადღება სწორედ ბრალდებულის უფლებებზე გამახვილდეს).

11. იბ. 2009 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, გვ. 4.

ამ საფრთხის შექმნა კი გამართლებული იქნებოდა მაშინ, თუ საპროცესო კანონმდებლობა რაიმე შეზღუდვას დააწესებდა ცალმხრივად გამოკვლეული მტკიცებულების შეფასებისას, როგორც ეს თუნდაც ბრალდებულის აღიარებასთან გვხვდება (სსსკ-ს 73-ე მუხ.) ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე კი სსსკ-ს 114-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიერ შექმნილი საფრთხე გაუმართლებელი და მიზანშეუწონელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების თვალსაზრისით, ასევე ენინააღმდეგება თავად საპროცესო კოდექსის ზოგად ნაწილში განმტკიცებულ დებულებებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შესახებ.

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე დამყარებულ სამართალწარმოებას სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების უზრუნველყოფისათვის. ასევე განხილულ იქნა საქართველოში 2009 წელს სისხლის სამართლის პროცესში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების ხარვეზი, რომელიც სხვა დამცავი გარანტიებისა თუ ერთ-ერთი მხარის მიერ “შეუმონმებელი” მტკიცებულების გამოყენებისათვის ბარიერების არარსებობის გამო აშკარა საფრთხეს უქმნის სისხლის სამართლის საქმის სამართლიანად განხილვასა და, შესაბამისად, საქმეზე მატერიალური ჭეშმარიტების დადგენას.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც დაცული და განმტკიცებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, აღიარებულია შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს ორმაგ სტანდარტებს ზემოაღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით.

რუსულან როგავა<sup>1</sup>

## უზრუნველყოფითი ცესია და მოვალის გარანტიის სამართლებრივი პუნქტი

### შესავალი

მხარის მიერ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების შესრულება უპირველეს ყოვლისა, მისსავე კეთილ ნებას ემყარება. თუმცა შეუძლებელია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა მხოლოდ პირის კეთილ ნებაზე იყოს დამოკიდებული. სწორედ ამიტომ სამოქალაქო სამართალი იცნობს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, რომელიც პირის მიერ აღებული ვალდებულების შესრულების გარანტიას წარმოადგენს.

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები პრაქტიკულ მნიშვნელობას ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დროს იძენს. მათგან ქართულ სამართლებრივ სივრცეში ყველაზე ხშირად სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებს ვხვდებით, როგორიცაა იპოთეკა და გირავნობა.

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ანაცვლებენ ძირითად ვალდებულებას და მათი შეუსრულებლობის დროს იკავებენ შესრულების ადგილს. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია ვალდებულების ჯეროვნად შესრულების გარანტიას წარმოადგენენ.

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები იყოფა ვალდებულებით-სამართლებრივ და სანივთო-სამართლებრივ, კანონისმიერ და სახელშეკრულებო საშუალებებად.<sup>2</sup> მათ დაწვრილებით მიმოხილვას წინამდებარე სტატია არ ისახავს მიზნად. მისი მიზანია განსაზღვროს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების - მოვალის გარანტიის არსი, მისი პრაქტიკული მნიშვნელობა და გამოყენება. ამასთან, განიხილოს სხვა ტიპის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, რომელთაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს, თუმცა მხარეებს შეუძლიათ, შეათანხმონ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე.

განსახილველ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს ეხება უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-379-352-2010.

სტატიის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების მოკლე არსი და განსახილველი პრობლემის შინაარსი. ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა უშუალოდ მოვალის გარანტიის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალების მნიშვნელობასა და წარმოშობას. მესამე ნაწილი ეძღვნება მოთხოვნის დათმობას და მის, როგორც უზრუნველყოფითი საშუალების გამოყენებას პრაქტიკისაში.

1. პასსაუს უნივერსიტეტი, (LL.M - eutsches Recht, კანდიდატი)

2. თოდუა, ვილემსი, ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006, გვ. 23-24.

## 1. 2010 წლის 9 ოქტომბრის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და სამართლებრივი პრობლემის ანალიზი

ზემოხსენებულ საქმეში სასამართლოს მიერ განსახილველი დავის საგანს წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება. შპს “b.a.”-მ ლ.ხ.-ძის მიმართ იკისრა სასყიდლიანი საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება. რომლის უზრუნველსაყოფად მხარეები საკრედიტო ხელშეკრულების 2.6. პუნქტში შეთანხმდნენ, რომ კრედიტის დაუფარაობის შემთხვევაში შპს “b.a.” კარგავს კარიერზე უფლებას და იგი ავტომატურად მფლობელობაში გადადის გამსესხებელ ლ.ხ.-ძის საკუთრებაში. ლ.ხ.-ძემ სარჩელი აღძრა მოვალის მიერ კრედიტის დაუფარაობის გამო და მიუთითა ხელშეკრულების ზემოთ აღნიშნულ პუნქტზე, მოითხოვა რა კარიერიდან წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისთვის გადაცემა.<sup>3</sup>

პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. აპელანტმა სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ მხარეთა შეთანხმება კარიერზე უფლების გადაცემის შესახებ წარმოადგენდა მოვალის გარანტიას ხელშეკრულების დარღვევის გამო მოპასუხე ვალდებული იყო მოვალის გარანტიიდან გამომდინარე კარიერზე უფლება გადაეცა აპელანტისთვის. გაიზიარა რა აღნიშნული სამართლებრივი შეფასება, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 424 მუხლი, მხარეთა შეთანხმება კარიერზე უფლების დათმობის შესახებ შეფასება როგორც მოვალის გარანტია და დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი.

სწორედ ამ სამართლებრივ პრობლემაზე მიუთითებს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა კასატორის საჩივარი და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება გააკეთა, თუმცა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე არ ეხება მოვალის გარანტიას. მხარეთა შეთანხმება კარიერზე უფლების გადაცემის შესახებ წარმოადგენს პირობით გარიგებას, რომელიც დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობაზე. აღნიშნულ დათქმას უზენაესმა სასამართლომ უზრუნველყოფითი ცესია, მოთხოვნის დათმობა უწოდა.<sup>4</sup>

აღნიშნული გადაწყვეტილებიდან აქტუალურია ორი სამართლებრივი საკითხი – მოვალის გარანტიის განმარტება და მოთხოვნის დათმობის, როგორც უზრუნველყოფის საშუალების ინსტიტუტის მნიშვნელობა.

### 1.1 მოვალის გარანტიის სამართლებრივი ბუნება

მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი დამატებითი საშუალებაა. იგი გულისხმობს მოვალის მიერ რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულების ვალდებულების კისრებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განაცხადა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 424-ე მუხლი და მხარეთა შორის შეთანხმება არასწორად განმარტა როგორც მოვალის გარანტია.

მოვალის გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის ანალოგი არ მოიპოვება არა მარტო

3. იხ.: გადაწყვეტილება: საქმე № ას-379-352-2010, 19 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

4. იხ. გადაწყვეტილება: საქმე № ას-379-352-2010, 19 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძვლად არსებულ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, არამედ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობებშიც.<sup>5</sup> მოვალის გარანტია (ჩვენთვის ცნობილი კანონმდებლობებიდან) საქართველოს გარდა, არსებობს მხოლოდ მოლდოვისა და თურქმენეთის სამოქალაქო კოდექსებში.<sup>6</sup>

მოვალის გარანტიას ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა და გამოყენება აქვს, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი უზენაესი სასამართლოს განმარტება მოვალის გარანტიის სამართლებრივი ბუნების შესახებ.: „მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი საშუალებაა. იგი, როგორც სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები, ვალდებულების შესრულებას ემსახურება, თუმცა გარკვეული განსხვავებებით. ზოგადად მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების დანიშნულება შესრულების გარანტია და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი (...) იკავებენ შესრულების ადგილს – ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება. აღნიშნულიდან გამონაკლის წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი – ბე, პირგასამტეხლო და მოვალის გარანტია, რომელთა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებას განსხვავებული დატვირთვა აქვს. უზრუნველყოფის საშუალებათა ეს კატეგორია ვალდებულების შესრულებას ვერ უზრუნველყოფს და იგი ემსახურება მოვალის „იძულებას“, დროულად შეასრულოს ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკისრება მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებებით გათვალისწინებული მოქმედების შესრულება“ (...) “ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მოვალეს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების

შესრულება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს არ უკისრია.

შესაბამისად, მხარეები მოვალის გარანტიაზე არ შეთანხმებულან.”

უზენაესმა სასამართლომ სწორად აღნიშნა, რომ მხარეთა შეთანხმება კარიერზე უფლების გადაცემის შესახებ მოთხოვნის დათმობას წარმოადგენს, კერძოდ, ლიცენზიის დათმობას კარიერიდან წიაღისეულის მოპოვების თაობაზე.<sup>7</sup>

მოვალის გარანტია, როგორც უკვე ითქვა, არცთუ გავრცელებული ინსტიტუტია. მისი სამართლებრივი დატვირთვაც არ არის ისეთი მნიშვნელობის, როგორც სხვა დამატებითი უზრუნველყოფის საშუალებების. პირგასამტეხლო და ბე პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება, რასაც ვერ ვიტყვით მოვალის გარანტიაზე.

დოქტრინაში მოვალის გარანტიის მაგალითად მოყვანილია, რომ მოვალე იღებს პასუხისმგებლობას, თვითონ გაიღოს ხარჯები, რაც მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის ცვლილებასთან იქნება დაკავშირებული.<sup>8</sup> აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ვალდებულებებს ხშირად ვაწყდებით, თუმცა მისი ცალკე სამართლებრივ ინსტიტუტად ჩამოყალიბების აუცილებლობა არ იკვეთება. წინამდებარე მაგალითი წარმოადგენს ჩვეულებრივ შეთანხმებას, ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობას. მისი შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო. ბუნდოვანია, რატომ წარმოადგენს მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებას. შესაძლოა იგი არის მოვალის დამატებითი ვალდებულება, მაგრამ არავითარ დამატებით უზრუნველყოფას ძირითად ვალდებულებას ის არ უნდეს. ის არსებობს ძირითადი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე ან შეუსრულებლობაზე.

5. ჭეჭელაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, 2008 წ. გვ. 203.

6. იქვე.

7. გადაწყვეტილება: საქმე № ას-379-352-2010, 19 ოქტომბერი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომინტარები, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი”, წ 2001, გვ. 505.

არსებობს მოსაზრება, რომ მოვალის გარანტიის საკანონმდებლო რეგულაცია მოვალის დამცავ ბერკეტებს შეიცავს, ვინაიდან სსკ-ის 425-ე მუხლის თანახმად, მოვალის გარანტიის ფარგლები შებოჭილია საჯარო წესრიგითა და კერძო სამართალში აღიარებული პრინციპებით. თუმცა, სსკ-ის 425-ე მუხლის არსებობა არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ მოვალის გარანტიის კაბალურობა გამოირიცხოს. ზოგადად ყოველი სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება უნდა ექცეოდეს საჯარო წესრიგისა და კერძო-სამართლებრივი პრინციპების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, თუ შეთანხმების მიხედვით ერთ-ერთი მხარე არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მას შეუძლია ზოგადად სსკ-ის პრინციპებზე დაყრდნობით მიაღწიოს შეთანხმების ბათილობას.

როგორც ითქვა, მოვალის გარანტია არცთუ სისტემურად თავსდება სსკ-ს ქვეთავ-ში „მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებები“, მისი არაერთგვაროვანი განმარტება ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში და პრაქტიკაში გამოუყენებლობა შესაძლოა გახდა კიდევაც მიზეზი იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სსკ-ის 424-ე მუხლი და არასწორად მიიჩნია მხარეთა შეთანხმება მოვალის გარანტიად.

თუმცა უზენაესმა სასამართლომ თავისმხრივ მიუთითა სააპელაციო სასამართლოს არასწორ სამართლებრივ შეფასებაზე.

## 1.2 მოთხოვნის დათმობა როგორც ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ მხარეთა შეთანხმება კარიერზე უფლების დათმობის შესახებ არა მოვალის გარანტიას, არამედ მოთხოვნის დათობას წარმოადგენს.

სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული შეთანხმება პირობითი გარიგებაა, რომელიც დამოკიდებულია მხარის მიერ ვალდებულების შესრულებაზე. სსკ-ის 90-ე მუხლის თანახმად, პირობითად ითვლება გარიგება როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების დადგომა ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე.

მაშასადამე, აღნიშნული შეთანხმება არის მოთხოვნის დათმობა, დამოკიდებული სამომავლო პირობაზე, რასაც უზენაესმა სასამართლომ უზრუნველყოფითი ცესია უწოდა.

სსკ-ს 198-ე | მუხლში საუბარია, რომ „მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს“. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მოთხოვნის დათმობა (ცესია) არის თავდაპირველ და ახალ კრედიტორებს შორის დადებული გარიგება, რომლითაც თავდაპირველი კრედიტორი მოვალის მიმართ თავის მოთხოვნას გადასცემს (უთმობს) ახალ კრედიტორს.<sup>9</sup> თავისი სამართლებრივი ბუნებით მოთხოვნის დათმობა წარმოადგენს განკარგვით გარიგებას, ვინაიდან ამ დროს ხდება არსებულ უფლებაზე უშუალო ზემოქმედება – მისი გადაცემა სხვა პირზე. ხელშეკრულების დადებით ცედენტი კარგავს მოთხოვნას და მას ამავდროულად იძენს ცესიონერი.<sup>10</sup>

თუმცა, ზემოთ ნახსენები შემთხვევა ჩვეულებრივი მოთხოვნის დათმობისაგან განსხვავდება. როგორც სასამართლომ განმარტა, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კარიერზე საკუთრების უფლების დათმობა პირობითი გარიგებაა. მაშასადამე, სახეზეა პირობითი მოთხოვნის დათმობა – მოთხოვნის დათმობა მხოლოდ მაშინ განხორ-

9. ქუქულაშვილი, სადისერტაციო ნაშრომი „მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 39.

10. იქვე.

ციელდებოდა, თუ მხარე ძირითად ვალდებულებას არაჯეროვნად შეასრულებდა. მხარეებმა მოთხოვნის დათმობის შესახებ დათქმა კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით გააკეთეს, თუმცა, საკამათოა ამგვარი უზრუნველყოფის ეფექტურობა. ამ მხრივ, იკვეთება ორი მნიშვნელოვანი მინუსი: 1. მოცემულ შემთხვევაში, მოთხოვნის დათმობა, როგორც **აბსტრაქტული გარიგება**<sup>11</sup> არსებობს, მაგრამ მისი განხორციელება – კარიერზე საკუთრების უფლების გადაცემა, მოხდება მომავალში, თუ მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას. ასეთი უზრუნველყოფის ეფექტურობა საეჭვოა, გამომდინარე იქიდან, რომ კარიერი და კარიერიდან წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია კვლავ მოვალის საკუთრებაში რჩება და მას თავისუფლად შეუძლია განკარგოს ეს უფლება. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება რჩება და უზრუნველყოფა აზრს კარგავს. 2. მეორე მნიშვნელოვან მინუსს წარმოადგენს ის, რომ კრედიტორი ატარებს მოვალის გაკოტრების რისკს. მოვალის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის შემთხვევაში მის საკუთრებაში არსებული აქტივები წარმოების ქვეშ მოექცევა. კრედიტორი კვლავ უზრუნველყოფის გარეშე რჩება.

სწორედ ამიტომ, გერმანულ სამართლებრივ სივრცეში გაცილებით ეფექტურ და მრავალგზის აპრობირებულ უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს უზრუნველყოფითი მოთხოვნის დათმობა – *Sicherungsabtretung*. აღნიშნული ინსტიტუტის არსი შემდეგია: მოვალე გადასცემს საკუთრების უფლებას მოთხოვნაზე თავის კრედიტორს იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელმა საკუთრების უფლებით იქონიოს ეს მოთხოვნა მხარეებს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.<sup>12</sup>

მოცემული შემთხვევის მაგალითი იქნებოდა, მხარეებს კარიერზე უფლება კრედიტორისთვის რომ გადაეცათ, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. ხოლო ვალდებულების შესრულების შემდეგ, აღნიშნულ უფლებაზე საკუთრება დაუბრუნებდა მოვალეს.

ფიდუციალური მოთხოვნის დათმობის დროს ცესიონერი იძენს კრედიტორის სრულ სამართლებრივ მდგომარეობას.<sup>13</sup> მესამე პირებთან ურთიერთობაში იგი გამოდის როგორც მესაკუთრე. თუმცა, შებოჭილია ცედენტთან დადებული ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე.<sup>14</sup> ფიდუციალური შეიძლება განიმარტოს, როგორც ნდობაზე დამოკიდებული ურთიერთობა. გერმანულ სამართალში მას *Treuhand*, ხოლო უზრუნველყოფით ფიდუციალურ ურთიერთობას *Sicherungstreuhand*<sup>15</sup> ეწოდება. მისი ცნების ქვეშ ერთიანდება როგორც ფიდუციალური მოთხოვნის დათმობა, ასევე ფიდუციალური საკუთრება.

ფიდუციალური მოთხოვნის დათმობა, როგორც ინსტიტუტი, სამოქალაქო ბრუნვისა და კერძო პირების ეკონომიკური ინტერესების ნაყოფია. იგი გაცილებით უფრო მოსახერხებელი და ნაკლებად სარისკოა კრედიტორისთვის. სწორედ ამიტომ მან მყარად გაიდგა ფესვები ევროპულ სამართლებრივ სივრცეში. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის მიერ განხილული შემთხვევა წარმოადგენს მხარეთა ნებას, გამოიყენონ უზრუნველყოფის საშუალებად მოთხოვნის დათმობა. მომავალში შესაძლებელია, ამ ინსტიტუტის ფართო გავრცელება. მითუფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ განსხვავებით სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებისაგან, იგი ვალდებულებით-სამართლებრივ უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს და მხარეები *numerus clausus* პრინციპის მბოჭავი წორმებით არ არიან შეზღუდულნი.

11. იქვე, გვ. 37-დან.

12. იქვე, გვ. 80.

13. Bülow, Recht der Kreditsicherheiten, Sachen und Rechte, Personen; 5., Auflage, C.F. Müller Großes Lehrbuch, 1999, Seite 406 f.

14. იქვე, გვ. 408.

15. იქვე.

## სალომე ქავთარაძე<sup>1</sup>

# მეუღლეთა თანასაკუთრების უფლების წარმოშობის პრობლემა უძრავ ნივთებთან მიმართებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არ არსებობის პირობებში

### შესავალი

საკუთრების უფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტალური უფლებაა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით არის დაცული. იგი ადამიანის ბუნებითი უფლებაა და თითოეულ ადამიანს დაბადენისთანავე წარმოებობა. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად “საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.” თავის მხრივ, ქონების ცნების განმარტებას იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი. კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ქონება არის ყველა ნივთი და არამტერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენა შეიძლება შეუზღუდავად თუ ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. საკუთრების უფლება უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლად განვითარებისა და ელემენტარული არსებობის პირობებს, ამიტომ მის რეალიზებასა და დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. განსხვავდება ქონების სამართლბრივი რეგულირება იმის მიხედვით უძრავია ქონება თუ მოძრავი. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული რეგულირება გამოწვეულია იმით, რომ უძრავ ქონებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში და საჭიროებს დაცვის განსხვავებულ სამართლებრივ მექანიზმებს. მოცემული ნაშრომისათვის საინტერესოა მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებისა და მისი განაწილების საკითხი, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე ქონებასთან დაკავშირებული მოკლე მიმოხილვის გაკეთება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ას-1058-1325-09 ... განჩინების ერთ-ერთი საკვანძო საკითხი სწორედ მეუღლეთა თანასაკუთრებასთან არის დაკავშირებული. მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებას აფუძნებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს თანასაკუთრებას თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუმცა აღნიშნული მუხლი და არც სამოქალაქო კოდექსის სხვა მუხლები არ იძლევიან თანსაკუთრებაში არსებული ქონების რეგულირებას უძრავ და მოძრავ ქონებასთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ საინტერესოა თუ როგორ მიდგომა აქვს აღნიშნული საკითხისადმი საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

1. თსუს მაგისტრანტი, ზარალანდის უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრი (LL.M)

## 1. განჩინების მოკლე მიმოხილვა

ეკატერინე ო-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნაწული და ხათუნა ო-ების წინააღმდეგ ქ.თბილისის ნოტარიუს ნ.მ-ს მიერ 2008 წლის 24 სექტემბერს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის გზით მამკვიდრებლის დანაშთი ქონების 1/3 ნაწილის მიუთვნების, ასევე ხათუნა ო-სათვის 28 333 ლარის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლით: 2007 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა მოსარჩელის მამა ჯუმბერ ო, რომელსაც დარჩა 3 პირველი რიგის მემკვიდრე, მეუღლე ნაწული ო, და შვილები ეკატერინე და ხათუნა ო-ები. 2007 წლის 20 ივნისს ეკატერინე ო-მ სამკვიდროს მიღების მიზნით განცხადება შეიტანა მამკვიდრებლის საცხოვრებელი და სამკვიდროს მდებარეობის ადგილას, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შ-ში ნოტარიუსთან. ნაწული ო-მ კი თავის მხრივ 2008 წლის 24 სექტემბერს ამავე შინაარსის განცხადებით მიმართა ქ.თბილისის ნოტარუს ნ. მ-ს და იმავე დღეს მიიღო სამკვიდრო მოწმობა მთლიან სამკვიდრო ქონებაზე, რაშიც ეკატერინე ო-ს წილი არ ყოფილა გათვალისწინებული. გარდა ამისა, ეკატერინე ო. მოითხოვდა ჯუმბერ ო-ს მიერ ხათუნა ო-სათვის 2003 წლის 18 თებერვალს ნაწუქარი უუძრავი ქონებიდან, რომელიც გასხვისებულ იქნა 85 000 ლარად აუნაზღაურდეს 28 333 ლარი 1455, 1477 და 1162 მუხლების საფუძველზე. მოპასუხე ნაწული ო-მ ცნო სარჩელი სამკვიდროდან 1/6 წილის გამოყოფის ნაწილში. პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ეკატერინე ო-ს სარჩელი და იგი ცნობილ იქნა საჯარო რეესტრში ნაწული ო-ს სახელზე რიცხული უძრავი ქონების – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლის, ასევე სხვა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის 1/5-ის მესაკუთრედ. ხოლო 28 333 ლარის ხათუნა ო-სათვის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. არ დაკმაყოფილდა ასევე ეკატერინე ო-ს სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინებით. სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეკატერინე ო-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით, თუმცა შეამცირა მოთხოვნა და მოითხოვა სადაც სამკვიდროდან 1/3 ნაწილის მიუთვნება და ხათუნა ო-სათვის 5000 ლარის დაკისრება. საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეკატერინე ო-ს საკასაციო საჩივარი და უცვლელი დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

რადგან თემის განსახილველ საკითხს წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრება, მოვიყვან სამოტივაციო ნაწილის მხოლოდ იმ მონაკვეთს, რომელიც ეხება მეუღლეთა თანასაკუთრების ბუნებასა და მის განაწილებას.

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის მოსაზრება, რომ ნაწული ო-ს თანასაკუთრება მამკვიდრებლის ქონებაზე არ არსებობდა, რადგან იგი მესაკუთრედ არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. საკასაციო სასამართლოს განმარტებით სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ რეესტრის მონაცემების მცდარობის დადასტურება შესაძლებელია სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე. ხოლო, რაც შეეხება თანასაკუთრებას იგი სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად წარმოიშობა როგორც კანონის, ისე გარიგების ძალით. საკასაციო სასამართლოს დასაბუთებით, მოცემულ შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლს, რომლის თანახმადაც მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მათ საერთო ქონებას წარმოადგენს.<sup>2</sup> ამრიგად, ნაწული ო-ს ჯუმბერ ო-ს მიერ დატოვებულ სამკვიდრო ქონებაზე 1158-ე მუხლის თანახმად წარმოიშობილი ჰქონდა თანასაკუთრების უფლება და მისი საჯარო რეესტრში

2. შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, 2011 წ, №5, №ას-1250-1509-09, გვ. 25

დაურეგისტრირებლობა მას ვერ შეულახავს ამ უფლებას გარდა ერთი გამონაკლისისა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობა გავლენას მოახდენდა ნანული ო-ს თანასაკუთრების უფლებაზე, თუ მოხდებოდა ქონების გასხვისება კეთილსინდისიერ მესამე პირზე. სასამართლოს განცხადებით, მეუღლის თანასაკუთრება სანივთო უფლებაა და მის წინაშე ვალდებულია ყველა ის პირი, რომლისთვისაც ცნობილია ამ უფლების არსებობის შესახებ. ბუნებრივია, ეს ვალდებულება ვრცელდება ოჯახის წევრებზეც.

## 2. იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

საინტრესოა თუ როგორ წყვეტს დოქტრინა მეულეოთა თანასაკუთრების პრობლემებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი არ არის სათანადო დონეზე დამუშავებული და შესაბამისად არ არსებობს მისდამი ერთგვაროვანი მიდგომაც.

მეულეოთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიშობა, როდესაც საქმე ეხება უძრავ ქონებას, რადგან როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, უძრავი ქონება განსაკუთრებული რეგულირების ქვეშა კანონმდებლის მიერ მოქცეული. მეულეოთა მიერ უძრავი ქონების თანასაკუთრებაზე შეიძლება ვისაუბროთ მაშინ, როდესაც ორივე მათგანი დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში როგორც უძრავი ქონების მეპატრონე.<sup>3</sup> სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობისათვის საჭარო რეესტრში რეგისტრაცია, რაც თავის მხრივ აძლევს რეგისტრირებულ პირს უფლებას განკარგოს ნივთი საკუთარი შეხედულებისამებრ. სამოქალაქო კოდექსის დანაწესი, რომელიც ითხოვს უძრავი ნივთის მესაკუთრის საჯარო რეესტრში რეგისტრაციას იმპერატიულია და არ ექვემდებარება შეცვლას მხარეთა ნება-სურვილის მიხედვით. გარდა ამისა, თავად უზენაესი სასამართლოს განმარტებით, “183-ე მუხლის პირველ ნაწილს ალტერნატივა არ მოეპოვება”.<sup>4</sup> საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ კი მოქმედებს უტყუარობის პრეზუმაცია, მანამ სანინაალმდებო არ დამტკიცდება (სსკ-ის 321-ე მუხლის პირველი ნაწილი) და არის სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერად წარმართვის გარანტი.

სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი არაფერს ამბობს განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის მქონე ნივთებზე. იგი ცალსახად ყველაფერს აერთიანებს მეულეოთა თანასაკუთრების ქვეშ რაც კი ქორწინების შემდეგ არის შექნილი, თუ საქორწინო კონტრაქტი არ არსებობს და საკითხს სხვაგვარად არ არეგულირებს.<sup>5</sup>

რაც შეეხება სასამართლოს პრაქტიკას, იგი ერთგვაროვანია მეულეოთა თანასაკუთრებასთან მიმართებით. სასამართლო მიიჩნევს, რომ საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმაცია არ შეიძლება დაირღვეს კეთილსინდისიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში (312-ე მუხლის მეორე ნაწილი). უძრავი ქონების კეთილსინდისიერ შემძენს საჯარო რეეტსრის ჩანაწერთან მიმართებაში ასევე იცავს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლი. კეთილსინდისიერ შემძენს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, გაარკვიოს გამსხვისებლის ოჯახური მდგომარეობა და გამოითხოვოს თანხმობა მეუღლისაგან, ასეთი მიდგომა გაართულებდა სამოქალაქო ბრუნვას და შეუძლებელს გახდიდა კონკრეტული უძრავი

3. „მეულეოთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საკითხები“, კალანდაძე თეა, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (29), გვ. 103, 2011 წელი

4. შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 96 და შემდგომი.

5. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 5, გვ.108, შენგელია რომან, შენგელია ეკატერინე, საოჯახო სამართალი, 2009 წ, გვ.154.

ქონების ყიდვა-გაყიდვასა და მის თავისუფალ მიმოქცევას სამოქალაქო ბრუნვაში. მე-საკუთრედ არარეგისტრირებული მესამე პირისაგან თანხმობის გამოთხოვას უარყოფს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მესამე ნაწილიც. უნდა აღინიშნოს, რომ უძრავ ნი-ვთებზე საკუთრების ფაქტის დადგენა მხოლოდ და მხოლოდ საჯარო რეესტრიდან ხდება და მის მიმართ არ მოქმედებს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმუცია.<sup>6</sup> გარდა ამისა, უძრავი ქონების გასხვისებისას მოქმედებს ე.ნ. თანხმობის პრეზუმუცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ საერთო ქონების განკარგვისას მეორის თანხმობა იგუ-ლისხმება, რაც ასევე სასამართლოს პრაქტიკის მიერაა დამკვიდრებული<sup>7</sup> და მხარდაჭერა ჰქონების გასხვისებისას მოქმედებს ე.ნ. თანხმობის პრეზუმუცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ საერთო ქონების განკარგვისას მეორის თანხმობა იგუ-ლისხმება, რაც ასევე სასამართლოს პრაქტიკის მიერაა დამკვიდრებული<sup>7</sup> და მხარდაჭერა ჰქონების გასხვისებისას მოქმედებს ე.ნ.

### 3. მოსაზრებები უზენაესი სასამართლოს განჩინებასთან დაკავშირებით

აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლო საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების არ არსებობას არ თვლის დამაბრკოლებელ გარემოებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება პირებს, რომელთაც უნდა სცოდნოდათ მეუღლეთა თანასაკუთრების უფლე-ბის შესახებ. იგივე პოზიციაა გატარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 16 სექტემბრის №ას-409-756-05 განჩინებშიც.<sup>9</sup> ჩამონათვალს, თუ ვინ ითვლება ისეთ პირად, ვისაც უნდა სცოდნოდა უძრავ ნივთზე არსებული საკუთრების უფლება, არ იძლე-ვა არც სამოქალაქო კოდექსი და არც სასამართლო პრაქტიკა. აღნიშნული პირების წრე განისაზღვრება ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას. ნორმალური ოჯახური ურ-თიერთობების პირობებში, ასეთი პირების კატეგორიაში პირველ რიგში ხვდებიან ოჯახის წევრები, მოცემულ შემთხვევაში კი ნანული ო-სა და ჯუმბერ ო-ს შვილი ეკატერინე ო. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არსებობს გარკვეული გარემოებები, რომლე-ბიც მხოლოდ გარკვეული სახის მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს, მეუღლეთა თა-ნასაკუთრების დამადასტურებლადაც უნდა ჩავთვალოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და არა ქორწინების მოწმობა, რადგან უძრავ ნივთზე საკუთრების დამადასტურებელი მტკიცებულებას წარმოადგენს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. თუმცა, სასამართლოს განჩინებაში არც არის საუბარი ქორწინების მოწმობაზე. აქვე მინდა ავლნიშნრო, რომ განჩინებაში არ არის მითითებული თუ როდის იქნა შეძენილი სადაც უძრავი ქონება და ხომ არ იყო იგი ჩუქების ან მემკვიდრეობის გზით მიღებული. თუ ქონება არ იყო შეძენილი ქორწინების განმავლობაში ან მიღებული იყო როგორც მემკვიდრეობა ან საჩუქარი, მაშინ დავა წილთა გაყოფაზე მარტივად გადაწყვდებოდა, თითოეული პირველი რიგის მემკვიდრე მიიღებდა მემკვიდრეობის თანაბარ წილს.

სასამართლო პრაქტიკამ და დოქტრინამ თითქმის იდენტურად დაადგინა, რომ თუ სა-ქმე ეხება მესამე პირის მიერ უძრავი ნივთის ნასყიდობას, რომელიც შესაძლებელია ასევე მეუღლელის თანასაკუთრებაშიც ყოფილიყო, უპირატესობა ენიჭება მესამე პირის ინტერე-სებს. აღნიშნული გამოწვეულია სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის დებულებიდან. სამწუხაროდ, ამგვარი ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს უზენაესი სა-

6. „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკით-ხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება“, ზარნაძე ეკა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1, გვ. 122

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაო, სამენარმეო და გაკოტრების საქ-მეებზე, 2003 წ, №2, №3-932-02, გვ.393

8. ჩიკვაშვილი შალგა, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობ-ლემები, უუზრალი სამართალი, 2002 წ, 11-12, გვ. 39.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაო, სამენარმეო და გაკოტრების საქ-მეებზე, 2005 წ, №2, №ას-307-643-05, გვ. 36

სამართლოს მოცემული განჩინების შემთხვევაში. მართალია შვილმა იცოდა, მოცემულ უძრავ ქონებაზე ორივე მშობლის თანასაკუთრების უფლება და იგი არ იყო გარეშე პირი, მაგრამ ხდება თუ არა ამ შემთხვევაში საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმეციის იგნორირება და საოჯახო სამართლის ნორმისათვის უპირატესობის მინიჭება? უზენაესი სასამართლოს მოცემულმა განჩინებამ ფაქტობრივად არ ჩათვალა საჯარო რეეტრის ამონანერი იმ სავადებულო მტკიცებულებად, რითაც უნდა დადასტურდეს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე და ყველანარი ჩანანერის გარეშე გაავრცელა თანასაკუთრების უფლება ჯუმბერ ო-ს მიერ დატოვებულ სამკვიდრო ქონებაზე. თუ სასამართლომ ჩათვალა, რომ სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ ნანული ო-ს თავისთავად წარმოეშვა საკუთრების უფლება მეუღლს ქონებაზე, მაშინ თანასაკუთრებასთან მით უმეტეს არ გვაქვს საქმე, რადგან სამკვიდრო მოწმობა გაცემულ იქნა მთლიან ქონებაზე. თანასაკუთრების შემთხვევაში კი სამკვიდრო მოწმობა უნდა გაცემულიყო ქონების იმ ნაწილზე, რომელიც არ წარმოადგენდა თანასაკუთრებას.

საგულისხმოა ფაქტი, რომ ნანული ო.-ზე სამკვიდრო მოწმობა მთელ ქონებაზე გაიცა მას შემდეგ, რაც სამკვიდრო მოწმობა მოთხოვნილ იქნა ეკატერინე მედერ. სასამართლო ასევე არ საუბრობს იმაზე, თუ რატომ არ გამოიკვლია ნოტარიუსმა სხვა მემკვიდრეების არსებობის საკითხი, გასცა სამკვიდრო მოწმობა მთელ ქონებაზე და თანაც 6 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ. აქედან გამომდინარე, ასევე პრობლემურია სამკვიდრო მოწმობის სწორად გაცემის საკითხიც.

სანივთო სამართლის დებულებებისათვის უპირატესობის მინიჭება ერთის მხრივ წინა-აღმდეგობაა საოჯახო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან, როგორიცაა მეუღლე-თა თანასაკუთრების საოჯახო-სამართლებრივი პრინციპი. მაგრამ, სამოქალაქო კოდექ-სის 1158-ე მუხლი არ არის იმპერატიული ნორმა და იგი არ ავალდებულებს მეუღლებს ქორწინების განავლობაში შეძენილი ქონება თანასაკუთრებაში ჰქონდეთ, იგი უფრო მეტად შესაძლებლობაა მეუღლებისათვის, ვიდრე ვალდებულება. აქედან გამომდინარეამ ამ მუხლს არ შეიძლება ავტომატური მოქმედების ფუნქცია მიენიჭოს.<sup>10</sup> შესაბამისად, საჭიროა მოახდინო მოცემული უფლების სათანადო წესით რეალიზება, რაც გამოიხატება საჯარო რეესტრში უძრავი ქონების თანამესაკუთრებად რეგისტრაციაში. კანონმდებელმა, სამწუხაროდ, არ აღნიშნა, 1158-ე მუხლი წარმოადგენს საკუთრების უფლების წარმოშობ თუ საკუთრების უფლების მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას.<sup>11</sup> მეუღლებს შეუძლიათ მიმართონ სასამრთლოს თავინთი უფლებების აღიარებისათვის, რაც საყოველთაო უფლებაა თითოეული ადამიანისა. თითოეულ მეუღლეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საჯარო რეეტსრში რეგისტრაციის მოთხოვნით იმ ქონებაზე, რაც შეძენილ იქნა ქორწინების პერიოდში და თუ რა თქმა უნდა, მოთხოვნა დასაბუთებულია შესაბამისი მტკიცებულებებით.<sup>12</sup> სწორედ ამის უფლებას იძლევა 1158-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია. თუ მეუღლებმა არ ისარგებლეს მათთვის კანონმდებლის მიერ მინიჭებული უფლებებით, მათ გამოდის რომ იმოქმედეს საკუთარი ინტერესების საზიანოდ. რადგან ქორწინება მთლიანად ორი მხარის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, არც მათ ქონებრივ ურთიერთობებში არ შეიძლება სახელმწიფო ჩაერიოს საკუთარი იძულების მექანიზმით. მოცემულ შემთხვევაში, ჩემი აზრით, სწორი იქნებოდა, ნანული ო-ს სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვა საკუთარი უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში და აღერიცხა საკუთარ სახელზე

10. „მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საკითხები“, კალანდაძე თეა, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (29), გვ. 103, 2011 წელი

11. ჩაჩავა სოფიი, მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წ. გვ. 148

12. „მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საკითხები“, კალანდაძე თეა, მართლმსაჯულება და კანონი, №2 (29), გვ. 104, 2011 წელი

უძრავი ქონება, რომელიც მისი განცხადებით მეუღლეთა თანაცხოვრების განმავლობაში იყო შეძენილი და მის საკუთრებასაც წარმოადგენდა. საჯარო რეესტრში სათანადო ჩანაწერის შემდგომ კი მოხდებოდა სამ პირველი რიგის მემკვიდრეს შორის ქონების 1/2-ის განაწილება.

უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე კი რეგისტრაციის არ არსებობას ორ სხვადასხვა შედეგამდე მივყავართ. ერთი, როდესაც ჩანაწერის არ არსებობა ვერ აბრკოლებს ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოქმნას (განხილულ განჩინებაში არსებული შემთხვევის მსგავსად) და მეორე, როდესაც კეთილ-სინდისიერი მესამე პირის ინტერესების დაცვა ხდება კანონმდებლის და ასევე სასამრთლოს პრაქტიკის მიერ.<sup>13</sup>

## დასკვნა

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების სამართლებრივი თვალ-საზრისით სათანადო დონეზე რეგულირება მნიშვნელოვანია. პრობლემა განსაკუთრებით მაშინ იჩენს თავს, როდესაც საქმე ეხება განქორწინებას ან მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო ქონების განაწილებას. მართალია უზენაესი სასამართლოს მიდგომა ერთგავროვანია და გარდა კეთილსინდისიერი შემძენისა, ფაქტიურად ავტომატურად წარმოშობილად თვლის თანსაკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე, მაგრამ ჩემი აზრით, აღნიშნული მიდგომა არ არის გამართლებული. სასამართლო 1158-ე მუხლს იყენებს როგორც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს და მას უპირატესობას ანიჭებს სანივთო სამართლის ისეთ ნორმასთან შედარებით, როგორიცაა 183-ე მუხლი. ეს კი წინალმდეგობაა თავად უზენაესი სასამართლოს რეკომედაციებთან, რომელთა მიხედვითაც 183-ე მუხლს ალტერნატივა არ გააჩნია.<sup>14</sup> უმჯობესი იქნება, თუ დამკვიდრდება პრაქტიკა მეუღლეთა მიერ უძრავ ქონებაზე თანა-საკუთრების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში კი აღიარებითი სარჩელის მეშვეობით საკუთარი უფლებების აღიარებისა უძრავ ქონებაზე. პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ და საუკეთესო გზას კი ჩემი აზრით, წარმოადგენს 1158-ე მუხლის რედაქციის შეცვლა.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაო, სამენარმეო და გაკოტრების საქ-მეებზე, 2005 წ, №2, №ას-307-643-05, გვ. 36

14. შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 96 და შემდგომი.

## სიმონ ტაკაშვილი<sup>1</sup>

# მიშენების სამართლებრივი მდგომარეობა იპოთეკის საგნის რეალიზაციის დროს

## 1. იპოთეკის ცნება

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში უძრავი ნივთების გამოყენებას კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. უძრავი ნივთების კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად დატვირთვას იპოთეკა ეწოდება. იპოთეკის სამართლებრივი შინაარსი არსებითად ისეთივეა, როგორიც გირავნობისაა, განსხვავება მხოლოდ უზრუნველყოფის ობიექტებშია. იპოთეკა უძრავ ნივთებს ეხება, მაშინ როცა გირავნობის საგანი ყოველთვის მოძრავი ნივთებია.<sup>2</sup> აქედან გამომდინარე უძრავი ნივთების “დაგირავებას” სამართლებრივი ტერმინოლოგით იპოთეკა ეწოდება. პრაქტიკული თვალსაზრისით იპოთეკას დიდი მნიშვნელობა აქვს საბანკო კრედიტების უზრუნველყოფისათვის. სწორედ ამიტომ იპოთეკის სამართლებრივი რეგულირება უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობისათვის. იპოთეკა თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე წარმოადგენს ე.წ. აქცესორულ უფლებას, ისევე როგორც გირავნობა. აქცესორული ბუნება გულისხმობს იმას, რომ იპოთეკა არ არსებობს ძირითადი, ვალდებულებითი უფლების გარეშე. იგი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ მოთხოვნასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც ის გამოიყენება. სწორედ ამიტომ ძირითადი უფლების შენეცეტა წყვეტის იპოთეკის ურთიერთობას. იპოთეკა შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველგან, სადაც არსებობს მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია უძრავი ნივთით.<sup>3</sup> სესხის სახეობას, რომელიც უზრუნველყოფილია განსაზღვრული რეალური ქონებით (სანივთო უფლებით) და მოვალეს ავალდებულებს გადაიხადოს წინასწარ განსაზღვრულ დროში, წინასწარ განსაზღვრული ფულადი თანხა იპოთეკა ეწოდება.<sup>4</sup> იპოთეკა წარმოადგენს ერთგვარ შეზღუდვას საკუთრების უფლებაზე.<sup>5</sup> აქედან გამომდინარე იპოთეკა გარკვეულნილად ზღუდავს მესაკუთრის უფლებას იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთზე და ხშირ შემთხვევაში უკრძალავს კიდეც მას გარკვეული მოქმედების შესრულებას მასზე. იპოთეკის პრაქტიკაში გავრცელებულ გამოყენებადობას ასევე განაპირობებს ისიც, რომ უძრავი ნივთი, როგორც მოთხოვნის უზუნველყოფის საშუალება უფრო მეტად “სანდოა” მოძრავ ნივთებთან შედარებით. ანუ, უძრავი ნივთები კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სათანადო ორგანოში. რაც განაპირობებს იმას, რომ პოტენციურ კრედიტორს აქვს იმის შესაძლებლობა გადაამოწმოს განსაზღვრული უძრავი ნივთი აღრიცხულია, თუ არა კონკრეტულ პირზე. ანუ, პოტენციურ დებიტორზე და ამის შემდეგ მოახდინოს მასთან სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის დამყარება. აქედან გამომდინარე იპოთეკას, როგორც მოთხოვნის უზრუნველ-

1. თსუს იურიდიული ფაკულტეტის მე-6 სემსეტრის სტუდენტი

2. ზონდე ბესარიონ: “ქართული სანივთო სამართალი”, მე-2 გამოცემა, თბილისი 2003. გვ327.

3. ჭანტურია ლადო: “საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება”, თბილისი 1999. გვ 55.

4. <http://www.investopedia.com/terms/m/mortgage.asp#axzz1nZS4qkuG>

5. <http://www.en.wikipedia.org/wiki/mortgageloan>

ყოფის სამართლებრივ საშუალებას შეიძლება ითქვას, რომ გირავნობასთან შედარებით ის დადებითი მხარე აქვს, რომ ამ შემთხვევაში კრედიტორის ინტერესი უფრო მყარადაა დაცული და მას შეუძლია მოთხოვნის უზრუნველსაყოფი ნივთი (უძრავი ნივთი) გადაა-მოწმოს სათანადო ორგანოში, რომელიც როგორც აღვნიშნე იძლევა ცნობას იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა ესა, თუ ის ნივთი განსაზღვრულ პირს. აქედან გამომდინარე საიპოთე-კო ურთიერთობა უფრო განსაზღვრული და კონკრეტულია, რაც განაპირობებს იმას, რომ თითქმის მინიმუმამდევა დაყვანილი ის სამართლებრივი რისკები, რაც ზოგადად ახასიათებს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს. თუმცა ეს სამართლებრივი ურთიერთობები და ურთიერთობათა ფარგლები რა თქმა უნდა უნივერსალური არ არის და პრაქტიკაში ხშირად სადაოა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია იპოთეკასთან. იპო-თეკის, როგორც კერძო სამართლის ინსტიტუტის ლეგალური დეფინიცია მოცემულია სა-ქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 286-ე მუხლში. აღნიშნული მუხლის თანახმად, უძრავი ნივთი შეიძლება ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომ უზრუნველყოფილ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრე-დიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკავშირებულება ამ ნივთის რეალიზაციით ან მის საკუთრებაში გადაცემით (იპოთეკა). აღნიშნულიდან გამომ-დინარე ქართველი კანონმდებელი მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გავრცელებულ საშუალებად იპოთეკას აღიარებს, რომლის ობიექტიც, როგორც აღვნიშნეთ ყოველთვის არის უძრავი ნივთები. უძრავი ნივთების ცნება მოცემულია სსკ-ის 147-ე მუხლში. ნივთე-ბი, რომლებიც არ განეკუთვნება უძრავ ნივთებს მიიჩნევა მოძრავ ნივთებად. ივარაუდება, რომ ის რაც არაა უძრავი წარმოადგენს მოძრავ ნივთს.<sup>6</sup> იპოთეკის დროს არსებობს 2 სახის სამართლებრივი ურთიერთობა, ერთი მხრივ სანივთო-სამართლებრივი ურთიერთო-ბა, იპოთეკარსა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეს შორის და მეორე მხრივ, ვალდებულე-ბით-სამართლებრივი ურთიერთობა, იპოთეკარს როგორც კრედიტორსა და მოთხოვნის პირად მოვალეს შორის. ქართველი კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული იპოთეკის სა-კანონმდებლო დეფინიცია წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში BGB) 1113-ე პარაგრაფის რეცეფციას.

## 1.1. რეგისტრაციის მნიშვნელობა

იპოთეკის უფლება, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით სრულფასოვანი იყოს სა-ქართველოს კანონმდებლობა კერძოდ კი სსკ-ის 289-ე მუხლი მოითხოვს მის რეგისტრა-ციას საჯარო რეესტრში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის პირველივე წინადადების მიხედვით, იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტი-დან. ხოლო სსკ-ის 297-ე მუხლის მიხედვით კი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მო-ნაცემები, კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე, მიიჩნევა სწორად. ამ დანაწესიდან გამომდინარეობს საჯარო რეესტრისადმი უტყუარობისა და სისრულის პრეზუმეცია. სა-ჯარო რეესტრის მნიშვნელოვანი თვისება მისი საჯარო ხასიათია. იგი არსებითად ბრუნ-ვის მონაწილის ინტერესების უზრუნველყოფა-დაცვას ემსახურება.<sup>7</sup>

## 1.2. BGB-რეგისტრაციის შესახებ

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, BGB-ის 891-ე პარაგრაფის მიხედვით, თუ საად-გილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია პირის უფლება მაშინ ივარაუდება, რომ ეს უფლება მას ეკუთვნის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უძრავ ნივთებისა და მათთან

6. ზოდე ბესარიონ: “ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში”, თბილისი 2005, გვ245.

7. ზოდე ბესარიონ: “ქართული სანივთო სამართალი”, მე-2 გამოცემა/Dorothee Einsele, Inhalt, Schranken und Bedeutung des Offenkundigkeitsprinzips jz, 21/1990, გვ 361.

დაკავშირებულ გარიგებებთან მიმრთებით მოქმედებს განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც იმაში გამოიხატება, რომ უძრავი ნივთი და მასზე უფლება რეგისტრირებული უნდა იყოს სათანადო ორგანოში. ჩვენ შემთხვევაში კი, საჯარო რეესტრში. აქედან გამომდინარე უძრავი ნივთი რომ უფლებრივად დავტვირთოთ პირველ რიგში აუცილებელია, რომ ეს ნივთი მატერიალურად გამოხატული და რეგისტრაციაუნარიანი იყოს. პრაქტიკაში ხშირად რთულია ასეთ გარიგებებთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემების გამიჯვნა და იპოთეკის რეალური სამართლებრივი ფარგლების ზუსტი განსაზღვრა. სწორედ ასეთ, სასამართლო პრაქტიკაში პრობლემურ საკითხზე იქნება მსჯელობა თემის მომდევნო ნაწილში.

## 2. იპოთეკის სამართლებრივი მასშტაბების სასამართლოსეული შეფასება

იპოთეკის სამართლებრივ მასშტაბებზე, მოთხოვნის დაკმაყოფილების წესსა და საშუალებაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია სსკ-ის 286-ე, 300-ე და 301-ე მუხლები. იპოთეკის დანიშნულება, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ არის მოთხოვნის უზრუნველყოფა, შესაბამისად საჭიროა განსაზღვრულ იქნეს იმ მოთხოვნის სამართლებრივი ფარგლები რისი უზრუნველყოფის საგანსაც იპოთეკის ნივთი წარმოადგენს. აღნიშნული საკითხის უკეთ წარმოჩენისათვის გარდა თეორიული მსჯელობისა საჭიროა სასამართლო პრაქტიკის სამართლებრივი ანალიზიც, რათა განვსაზღვროთ ის რეალური სამართლებრივი ფარგლები, რაც საიპოთეკო ურთიერთობას ახასიათებს. სწორედ იპოთეკის სამართლებრივი ფარგლების განსაზღვრას ეხება საქართველოს საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1081-1110-2010.<sup>8</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება განსახილველ თემასთან მიმართებით ძალზედ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ საკასაციო სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა იპოთეკის რეალური სამართლებრივი მასშტაბები. ანუ, საკასაციო სასამართლომ შექმნა ერთგვარი პრეცედენტი იმისა, რომ იპოთეკის უფლება კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე გაავრცელა უძრავ ნივთზე, კერძოდ კი მიშენებაზე, რომელიც არ იყო კანონით დადგენილი წესით მოვალეზე, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და აღრიცხული, იმ მომენტისთვის, როდესაც დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია სამართლებრივი თვალსაზრისით შევაფასოთ საკასაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება რამდენად სამართლიანი და კანონიერია. ამიტომ საჭიროა მოვახდინოთ იმ ფაქტობრივი გარემოებისა და იურიდიულად მნიშვნელოვანი საკითხების წარმოჩენა, რაც საფუძვლად დაედო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით სს “თიბისი ბანკსა” და ირაკლი კ-ს შორის 2007 წლის 19 ნოემბერს დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც იპოთეკის საგანს წარმოადგენდა ირაკლი კ-ს საკუთრებაში არსებული 47 კვ.მ ბინის ფართი, ამასთან “თიბისი ბანკისთვის” ცნობილი იყო, რომ ირაკლი კ-ს ფაქტობრივ “საკუთრებაში” იმყოფებოდა ბინის მიშენების ნაწილი, კერძოდ კი, 98,26 კვ.მ ფართი, რომელიც ხელშეკრულების დადების დროს რეგისტრირებული არ იყო საჯარო რეესტრში. შესაბამისად ბინის მთლიანი ფართი იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს ფაქტობრივად შეადგენდა 145,26 კვ.მ, საიდანაც, როგორც აღვნიშნეთ 98,26 კვ.მ იყო მიშენება და არ იყო აღრიცხული და რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისას იპოთეკარისთვის ანუ, სს “თიბისი ბანკისთვის” ცნობილი იყო, რომ 98,26 კვ.მ ფართი იყო დაუკანონებელი,

8. იბ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-1081-1110-2010.

თუმცა ის ფართი, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და ის ნაწილიც, რომელიც მიშენებულია წარმოადგენს ერთიან ბინას, მოქცეულია ერთ ჭერქვეშ და არის ერთი მთლიანი ბინა. აქედან უკვე ნათლად იკვეთება, რომ ირაკლი კ-ს სახელზე აღრიცხული და მის ფაქტობრივ “საკუთრებაში” მყოფი ბინა რეგისტრაციაუნარიანია. რადგან, მას მატერიალური გამოხატულება აქვს. შესაბამისად იპოთეკის საგანსაც წარმოადგენს. საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგენილია, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 18 მარტის ბრძანებით მოხდა მიშენებული 98.26 კვ.მ ფართის ლეგალიზაცია, რის საფუძველზეც აღნიშნული ფართი საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ირაკლი კ-ს სახელზე და ბინის ფართმა მთლიანად შეადგინა 145.26 კვ.მ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით აღსასრულებლად მიექცა ირაკლი კ-ს სახელზე რეგისტრირებული ბინის მთლიანი ნაწილი. ე.ი. იპოთეკის სამართლებრივ ფარგლებში მოექცა ის ქონებაც, რომელიც საკუთრებაში არ ჰქონდა ირაკლი კ-ს 2008 წლის 18 მარტამდე. აქედან გამომდინარე ირაკლი კ-ს აზრით დაირღვა იპოთეკის ხელშეკრულება და აღსრულება უნდა მიექცეს მხოლოდ და მხოლოდ იმ ნაწილს ბინისას, რომელიც იპოთეკის ხელშეკრულების დადგების დროს მის სახელზე იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. მისი განმარტებით იპოთეკა არ უნდა გავრცელდეს უძრავი ნივთის იმ ნაწილზე, რომელიც სათანადო წესით რეგისტრირებული არ იყო. თუმცა ირაკლი კ-მ 2007 წლის 19 ნოემბრის №799476-1 იპოთეკის ხელშეკრულების 6.13 პუნქტის საფუძველზე ვალდებულება იკისრა, რომ იპოთეკა გავრცელდებოდა ასევე მის საკუთრებაში მყოფი ბინის მიმატებულ ფართზეც. აქედან გამომდინარე თუკი ჩავთვლით, რომ მიშენება მიმატებულ ფართია, რეგისტრირებული ნივთისა გამოდის, რომ იპოთეკის საგანს წარმოადგენს არა მხოლოდ 47 კვ.მ ბინის ფართი, არამედ 145.26 კვ.მ. ბინის ფართი. სწორედ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პუნქტი გახდა სადაო შემდგომ. მეტიც, სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი სამართლებრივი თვალსაზრისით შეეფასებინა ხელშეკრულების ეს პუნქტი და გადაწყვიტა მისი იურიდიული გამართულობა, ანუ გადაწყვიტა იყო, თუ არა ეს ნორმა ბათილი და თუ ენინააღმდეგება ის იპოთეკის სამართლებრივი რეგულირების საკანონმდებლო ნორმებს.

## 2.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასება

საინტერესოა სააპელაციო სასამართლოს შეფასება აღნიშნულ საქმეზე. სააპელაციო სასამართლო იპოთეკის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების განმარტების მიზნებისათვის აღნიშნავს, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფისას აუცილებელია მოვალისა და კრედიტორის უფლებების თანაბარზომიერი დაცვა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოვალისა და კრედიტორის ნებას. კერძოდ, მოვალის სურვილს, გარკვეული რისკის ქვეშ დააყენოს უძრავი ქონება, გასცეს თანხა, სანაცვლოდ მიიღოს უზრუნველყოფის ღონისძიება გარანტიად, რომლითაც უპირობოდ დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში პალატა განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდება სამოქალაქო რისკების გადანაწილების საკითხს და შესაბამისად, მოვალისა და კრედიტორის კეთილსინდისიერების დაცვის გარანტიებს. სასამართლო პრაქტიკა ცალსახად ამბობს, რომ იპოთეკარი დაცულია საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერით მოვალის საკუთრებასთან დაკავშირებით, თუნდაც აღნიშნული ჩანაწერი შემდგომში არასწორი აღმოჩნდეს. მეორე მხრივ კი, მოვალე დაცულია იპოთეკის საგნის იმ ფარგლებით, რომელიც მან იპოთეკით დატვირთა. ამასთან, განსაკუთრებულ ინტერესს იძენს ხელშეკრულების 6.13. პუნქტის ჩანაწერი და მისი იურიდიული მნიშვნელობა. ხელშეკრულების თანახმად, დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად

მიღებულ ახალ ნივთზე. ასევე, თუ იპოთეკის საგანს დაემატებოდა (მიშენება, დაშენება) შენობა ან შენობის ნაწილი. პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული პირობის მოსარჩელისეული განმარტება (იპოთეკა უნდა გავრცელდეს მიშენების, დამატების შედეგად მიღებულ ნივთზე სრულად) ენინააღმდეგება იპოთეკის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ლეგალურ დეფინიციას. განსახილველ შემთხვევაში მხარეებმა იპოთეკის საგნად განსაზღვრეს 47 კვ. მეტრი ფართი, ხოლო ის, რაც ხელშეკრულების 6.13. პუნქტში იგულისხმეს, არ არის კონკრეტული და ამ თვალსაზრისით შეუძლებელია სანივთო უფლების ობიექტად მისი წინასწარ განსაზღვრა. მაგრამ, თუკი მოსარჩელის ლოგიკას გავიზიარებთ და ხელშეკრულების 6.13. პუნქტში ვიგულისხმებთ არა უძრავი ნივთის ნაყოფს, არამედ მიშენებას, დაშენების, დამატების შემდეგ მიღებულ ქონებას, მაშინ ასეთი ქონება სამომავლო ქონებაა. პალატა კვლავ მოიხმობს სსკ-ის 286-ე მუხლს და აღნიშნავს, რომ იპოთეკით არ შეიძლება დაიტვირთოს სამომავლო ქონება. თუმცა გაუგებარია სააპელაციო სასამართლო სამომავლო ქონებას და სსკ-ის 286-ე მუხლში გათვალისწინებულ სამომავლო მოთხოვნას რატომ არ განიხილავს ერთიანობაში და რატომ გამოყოფს მას ცალკე. მომავალი ქონება თავის თავში ხომ უფლებასაც მოიცავს, აქედან გამომდინარე ის იპოთეკაუნარიანია. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. აღნიშნული სს „თიბისი ბანკმა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

## 2.2. საკასაციო სასამართლოს შეფასება

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს ბინის მთლიანი ფართი ფაქტობრივად შეადგენდა 145.26 კვ.მ-ს, საიდანაც 98.26 კვ.მ იყო მიშენება, რომელიც არ იყო აღრიცხული საჯარო რეესტრში. იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს კი სს „თიბისი ბანკისთვის“ ცნობილი იყო აღნიშნული ფაქტი. თუმცა, საკასაციო სასამართლო ამავე დროს მიუთითებს, რომ გარიგების დადებისას სადაო ფართი რეალურად არსებობდა, ანუ, მას მატელიარული გამოხატულება ჰქონდა, აქედან გამომდინარე ის რეგისტრაციაუნარიანი იყო. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების 6.13 პუნქტი ეწინააღმდეგება იპოთეკის ლეგალურ დეფინიციას. გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, ნივთის იპოთეკის უფლებით დასატვირთავად აუცილებელია ნივთი მკაფიოდ იყოს განსაზღვრული და შეუძლებელია იპოთეკის გამოყენება სამომავლო ქონებასთან მიმართებაში. სასამართლო აღნიშნულ მსჯელობას უკავშირებს ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობის ფარგლებს და მისი მოსაზრებით, შეუძლებელია, ისეთი ქონების დატვირთვა იპოთეკით, რომლის სამართლებრივი საზღვრები დაუდგენელია. ამასთან, იპოთეკის ხელშეკრულების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები არ შეიცავენ აკრძალვას მომავალი ქონების უზრუნველყოფის სახით გამოყენების თაობაზე. საკასაციო სასამართლოს განმარტებით სადაო ფართი არის გარიგების დადების დროისათვის არსებული, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართის ნაწილი, რომელიც დავის პერიოდისათვის აღრიცხულია იპოთეკით დატვირთული ქონების შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად მასზე ვრცელდება ამ ნივთზე არსებული იპოთეკა. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას ხელშეკრულების 6.13. პუნქტის პირობით ხასიათთან მიმართებაშიც. სწორედ ამიტომ პალატა მიიჩნევს, რომ იპოთეკის ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი არ ეწინააღმდეგება კანონს. აქედან გამომდინარე საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე კვლავ აპელაციას დაუბრუნა, რათა ამ უკანასკნელს მოეხდინა იპოთეკის სამართლებრივი ფარგლების უკეთ შეფასება და კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა.

### 3. არსებითი შემადგენელი ნაწილის ცნება

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებიდან მნიშვნელოვანია დადგინდეს ის, თუ რა სახის ფართია სადაო 98.26 კვ.მ და რა სამართლებრივი დანიშნულება აქვს მას. ანუ, უნდა გაირკვეს არის ის უძრავი ნივთის ნაყოფი, თუ მისი არსებითი შემადგენელი ნაწილი. საკასაციო სასამართლო ამ ფართს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 47 კვ.მ-ის არსებით შემადგენელ ნაწილად თვლის და ამის დასტურად უთითებს იმას, რომ რეგისტრირებული და არარეგისტრირებული ფართები ერთჭერქვეშ იმყოფება. საინტერესოა განისაზღვროს უძრავი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილისა და ნაყოფის ცნება. ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის ცნებას გვაძლევს სსკ-ის 150-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობები და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის. ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს მიეკუთვნება, არა ის რაც ამ ნივთის არსებას განსაზღვრავს არამედ ის, რაც სამართლებრივად დაკავშირებულია ნივთთან და არ წარმოადგენს განსაკუთრებული უფლების ობიექტს. სხვანაირად, არსებითი შემადგენელი ნაწილის ოურიდიული ბედი მთლიანადა დაკავშირებული ნივთთან და როგორც წესი იგი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილებით საქმის N 35/18-01. დაადგინა, რომ ბინის თითოეული ოთახი არის ბინის შემადგენელი არსებითი ნაწილი და მათი გამოცალეკვება, ცალკე საკუთრების უფლების ობიექტად გამოყენება შეუძლებელია.<sup>10</sup> აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში 98.26 კვ.მ მიშნება, რომელიც მოქცეულია 47 კვ.მ-თან ერთად ერთჭერქვეშ წარმოადგენს ერთი მთლიანი ბინის არსებით შემადგენელ ნაწილს. ამასთან, ეს მიშნება წარმოადგენს სამომავლო ქონებასაც, შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო და საკასაციო სასამართლო აღნიშნული ბინის მთლიან ფართს მიიჩნევს იპოთეკის საგნად და აღსასრულებლად მიაქცევს ბინის იმ ნაწილსაც, რაც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით ირაკლი კ-ს სახელზე ხელ-შეკრულების დადების მომენტისათვის.

### 4. იპოთეკის რეალური სამართლებრივი ფარგლები

იპოთეკის სამართლებრივ ფარგლებზე იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, იპოთეკის საგნის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია არა ობიექტის ფაქტობრივი მოცულობა ან ლირებულება, არამედ ის, რომ ობიექტი რეგისტრაციაუნარიანია. აქედან გამომდინარე იპოთეკით იტვირთება ყველა რეალური ქონება, რომელსაც მატერიალური გამოხატულება აქვს. რაც შეეხება სამომავლო ქონებას და შესაბამისად მოთხოვნას, შეიძლება დარეგისტრირდეს სსკ-ის 286-ე მუხლიდან გამომდინარე იპოთეკის ობიექტად, თუმცა ეს მოთხოვნა განსაზღვრული უნდა იყოს წინასწარ. ჩვენ შემთხვევაში დაურეგისტრირებელი შენობის იპოთეკით დატვირთვა მართლდება იმით, რომ ის წარმოადგენს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული შენობის არსებით შემადგენელ ნაწილს, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მიშნება ცალკე რეგისტრაციას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე უფლების მასზე გავრცელება გამორიცხულია. მაგრამ საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ბინის ნაწილიც და მიშნებაც მატერიალური გამოხატულების მქონე, ერთი მთლიანი ობიექტია. რომელიც, ამავე დროს, რეგისტრაციაუნარიანია. შესაბამისად მასზე, როგორც ერთ მთლიან განუყოფელ ნივთზე ვრცელდება იპოთეკის მოქმედების სამართლებრივი რეჟიმი.

9. ზოიძე ბესარიონ: “ქართული სანივთო სამართალი”, მე-2 გამოცემა, თბილისი 2003, გვ40.

10. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმეზე N 35/18-01.

შენობის ნაწილები, გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, არ შეიძლება სხვა-დასხვა მესაკუთრის საკუთრებაში იმყოფებოდეს, თუკი ისინი დაუნგრევლად არ შეიძლება ერთმანეთისაგან იქნებ მოცილებული და მთელი შენობა იმყოფება მინის მესაკუთრის საკუთრებაში.<sup>11</sup> აქედან გამომდინარე უძრავი ნივთი ზემოთ განხილულ შემთხვევაში კი საცხოვრებელი ბინა, პირის საკუთრებაში უნდა იმყოფებოდეს, რომ ის შენობის ნაწილების მესაკუთრედაც ჩავთვალოთ. ანუ, პირი მესაკუთრედ უნდა იყოს რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს პირის მესაკუ-თრედ ცნობისათვის. თუკი ამ სამართლებრივი მსჯელობით წავალთ, მაშინ გამოდის, რომ სააპელაციო სასამართლო არსებითად მართალია და იპოთეკის საგნად არ შეიძლება ჩა-ვთვალოთ ის რაც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში მოვალის სახელზე. ამ საკითხზე მნიშვნელოვანია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1148-ე პარაგრაფის შინაარ-სი, რომელიც განამტკიცებს საკუთრების უფლების ფიქციას, რაც გულისხმობს იმას, რომ იპოთეკიდან გამომდინარე უფლების განხორციელებისას კრედიტორის სასარგებლოდ მე-საკუთრედ ითვლება ის პირი, რომელიც ასეთად არის რეგისტრირებული საადგილამულო რეესტრში. ასეთი შინაარსის ჩანაწერს სსკ-ში ვერ ვიპოვით. ქართველი კანონმდებელი ამ საკითხზე დუმს. სასურველია, კანონმდებელმა მოახდინოს ასეთი ნორმის ასახვა სსკ-ში, რათა გამოირიცხოს შემდგომი გაუგებრობები, რაც საიპოთეკო ურთიერთობის დროს შესაძლოა წარმოიშვას პრაქტიკაში. თუმცა, განსახილველი შემთხვევიდან გამომდინარე უმთავრესი არის ის, რომ მიშენება-დაშენება ხელშეკრულების 6.13 პუნქტის მიხედვით ითვლება იპოთეკის საგნად რაც პირდაპირი ჩანაწერით გამომდინარეობს სსკ-ის 286-ე მუხლიდან. აღნიშნული მუხლის დეფინიცია იპოთეკის საგნად განსაზღვრავს სამომავლო და პირობით მოთხოვნასაც. რაც შეეხება სამომავლო მოთხოვნას, სამომავლო შესაძლოა იყოს: 1) რაც არ არსებობს; და 2) რაც კანონიერი გზით შესაძლოა რომ არსებობდეს. მნიშვნელოვანია საკითხი იმაზე, თუ რა მიზანს ემსახურება კანონმდებლის მიერ სსკ-ის 286-ე მუხლში ჩადებული სამომავლო ქონების შინაარსი. ანუ, შემთხვევიდან გამომდინარე ბინაც და მიშენებაც წარმოადგენს ერთ მთლიან ბინას შესაბამისად ის რეგისტრაციაუნა-რიანი და ამავე დროს ერთი მთლიანი ბინაა, რადგან დამოუკიდებელი სახით ვერც 98.6 კვ.მ და ვერც 47 კვ.მ ფაქტიურად ვერ იარსებებს. ანუ, კანონმდებლის ნება, რომ სამომა-ვლო მოთხოვნაც იპოთეკაუნარიანი იყოს ზემოთ განხილულ შემთხვევასთან მიმართებით მართლდება იმით, რომ ეს სამომავლო მოთხოვნა/ქონება არის იმ ქონების არსებითი შე-მადგენელი ნაწილი რაც იპოთეკითაა დატვირთული. მეტიც, სამომავლო მოთხოვნა ხელ-შეკრულების დადების მომენტისათვის განსაზღვრებადი და რეგისტრაციაუნარიანია.

## 5. განსხვავებული შეხედულება

ზემოაღნიშნული შეფასების, სანინააღმდეგოდ შეგვიძლია შემდეგი სახის მსჯელობაც გან-ვავითაროთ. კერძოდ, სსკ-ის 286-ე მუხლში სამომავლო მოთხოვნა, როგორც რეგისტრაციაუნა-რიანი ობიექტის განსაზღვრება, უმჯობესი ხომ არაა გაგებულ იქნეს შემდეგნაირად, რომ სამომავლო ქონებაში უპირატესად ჩაითვალოს ის ქონება რაც იპოთეკის საგნის ფარგლებში მოექცევა სამომავლოდ? ანუ, თუკი რეგისტრირებულ 47 კვ.მ ბინის ფართზე მესაკუთრე გა-ნახორციელებდა მაგალითად ისეთ სამშენებლო სამუშაოებს, როგორიცაა ბინის გადაკეთება, ან სხვა ოთახის აშენება, რომლის ფართიც არ აღემატება 47 კვ.მ მაშინ ის ჩაითვლებოდა იპოთეკის საგნად და არა მიშენება რომელიც “მესაკუთრის” ფაქტობრივ მფლობელობაში იმყოფება და სცილდება საკუთრების უფლების სამართლებრივ ფარგლებს. იმ შემთხვევაში თუ მოვალე ვერ

11. ჭანტურია ლადო: “უძრავი ნივთების საკუთრება” მე-2 გამოცემა. თბილისი, 2001წ. გვ165.

“დაისაკუთრებს” სამომავლო ქონებას, მაშინ იპოთეკარის მოთხოვნა ხომ დაუქმაყოფილებელი დარჩება, ამიტომ ხომ არ აჯობებს, რომ იპოთეკა გავრცელდეს მხოლოდ იმ ნივთზე, რომელიც დარეგისტრირებულია საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში? ეს მოსაზრებაც რა თქმა უნდა მისაღებია და საკმაოდ არგუმენტირებული და დამაჯერებელიც, მაგრამ ვფიქრობ მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად, იმდენად რამდენადაც სახლის მიშენება, როგორც და-მოუკიდებელი რეგისტრაციაუნარიანი ნივთი სახეზე არ გვაქვს. მიშენება გვაქვს ერთიანობაში იმ 47 კვ.მ ფართან რაც აღრიცხულია მესაკუთრებზე საკუთრების უფლებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ შემთხვევაში შესაძლოა დაირღვეს ბინის სუბსტანციურობა, მთლიანობა, რაც მთლიანად ამსხვრევს ასეთი სახის განსხვავებულ შეხედულებას. ამასთან საგულისხმოა, რომ მიშენება უკვე არსებობს და შესაბამისად რეგისტრაციაუნარიანია, სწორედ ეს კრიტერიუმი არღვევს სააპელაციო სასამართლოს შეხედულების კანონიერებასა და მართებულობას. აქედან გამომდინარე თუ მიშენება დამოუკიდებლად იარსებებდა და მის ხელშესახეობა დამოუკიდებე-ლი იქნებოდა საკუთრების უფლებით რეგისტრირებული ნივთისგან, ის არ იქნებოდა იპოთეკის საგანი. თუმცა, განსახილველი საქმიდან გამომდინარე მიშენება მოქცეულია ერთჭერქვეშ რე-გისტრირებულ საკუთრებასთან ერთად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიშენება დამოუკიდებელი სახით ვერ იარსებებს. აქედან გამომდინარე, ის ბინის მთლიანი ფართის ერთიანობაში უნდა განვიხილოთ, რათა არ დაირღვეს როგორც ბინის ერთიანობა პრაქტიკული თვალსაზრისით, ასევე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნორმები. მიშენებაზე, როგორც რეგისტრაციაუნარიან ნივთზე ვრცელდება ის სამართლებრივი ტვირთი რაც მთლიანად ბინას აქვს. აქედან გამომდინარე მიშენებაც გაიზიარებს რეგისტრირე-ბული ბინის ნაწილის ბეჭდს და მოქცევა იპოთეკის სამართლებრივი რეგულირების საკანონმ-დებლო ნორმების ფარგლებში.

## 6. სამოქალაქო-სამართლებრივი რისკები და სასამართლო პრაქტიკა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითვას, რომ საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება დღეს მოქმედი სასამართლო პრაქტიკიდან და სსკ-ის 286-ე მუხლიდან გა-მომდინარე კანონიერია. საკასაციო სასამართლო სწორედ ასეთი სახის სასამართლო პრაქტიკას აყალიბებს. თუმცა, შესაძლოა ვიმსჯელოთ მის უსმართლობაზე. ვფიქრობ საგულისხმოა ის, რომ საკასაციო სასამართლოს მხედველობაში აქვს ის სამოქალაქო ურთიერთობისთვის და-მახასიათებელი რისკები, რომლებიც თან ახლავს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს და შესაბამისად იპოთეკარი ჩვენს შემთხვევაში კი “თბილი ბანკი” სწორედ ასეთი სახის რისკს სწევს და საბოლოოდ კი ამ რისკის საფუძველზე მოგებული რჩება. რამდენად მართებულია საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მიდგომა ამ საკითხზე, სადაონა და ხშირ შემთხვევაში იწვევს მოვალის საკმაოდ დასაბუთებულ პროტესტს. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, ჩემი აზრით, აქ მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავს იპოთეკის სამართლებრივ არსს ეს უკანასკნელი. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება-ში შესაძლოა “დავინახოთ”, მცდელობა იმისა, რომ მოვალე დაიცვას იპოთეკის იმ ფარგლებით რაც რეალურად არის აღრიცხული და დაკანონებული საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწე-რით. თუმცა აღნიშნული მიდგომა არ არის გაზიარებული არც საკასაციო სასამართლოს და არც კანონმდებლის მიერ. ვფიქრობ ეს საქსებით მართებული და სამართლიანიცაა, რადგან სააპელაციო სასამართლოს შეფასება აშკარად არღვევს იპოთეკის სუბსტანციურობას, მის ჭეშ-მარიტ დანიშნულებასა და სამართლებრივ მნიშვნელობას. სულ სხვა შემთხვევა იქნებოდა, თუ მიშენება ხელშეკრულების დადების დროს არ იარსებებდა და მისი რეალური ფაქტობრივი მონაცემები განუსაზღვრელი იქნებოდა. ამ შემთხვევაში სსკ-ის 286-ე მუხლიდან გამომდინარე ეს მიშენება იპოთეკარიანი აღარ იქნებოდა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს მხედვე-

ლობიდან გამორჩა სწორედ ეს გარემოება, რომ ხელშეკრულების დადების დროს მიშენება რეალურად უკვე არსებობდა, განსაზღვრული იყო მისი ფაქტობრივი მონაცემები და მეტიც, ამ მიშენების გარეშე ბინა თავის რეალურ დანიშნულებას დაკარგავდა და დამოუკიდებელი სახით ვერ იარსებობდა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბინის მაგივრად გვენებოდა მხოლოდ სანახე-ვრო კედლებისაგან შემდგარი ფართი, რაც ბინის, როგორც საცხოვრებელი ფართის ცნებისაგან ძალიან შორს იქნებოდა. აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო არსებითად ცდება, იპოთეკის რეალური სამართლებრივი ფარგლების განსაზღვრისას.

## დასკვნა

დღეს მოქმედი იპოთეკის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების ანალიზ-ზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველმა კანონმდებელმა საიპოთეკო სამართალურ-თიერთობის დროს უფრო მეტად დაცვა კრედიტორის (იპოთეკარის) ინტერესები. ეს გამომდინარეობს სსკ-ის 286-ე; 300-ე; 301-ე მუხლებიდან. მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების პრობლემატიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა იპოთეკა-რის ინტერესების დაცვის კუთხით. ამ მხრივ, კანონმდებლის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს სსკ-ში არსებული დისპოზიციური ჩანაწე-რი, რომელიც იპოთეკარს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ გაატაროს პრევენციული ღონისძიება და შეუთანხმდეს მოვალეს, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ჩაითვლება თუ იპოთეკის საგნის ღირებულება სრულად არ დაფარავს მოთხოვნას.<sup>12</sup> აქედან გამომდინარე იპოთეკარებმა განსაკუთრებით კი ბანკებმა შესაძლოა ბოროტად გამოიყენონ კანონმდებლის მიერ შეთავაზებული დღეს მოქმედი იპოთეკის მარეგუ-ლირებელი ნორმები. თუმცა ჩვენს შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ასებითად მართალია და სრულიად მართებულად განმარტავს იპოთეკის ურთიერთობის საკა-ნონმდებლო ნორმებს. საკასაციო სასამართლოს შეფასების მიხედვით მთავარია დად-გინდეს ის, თუ რა სახის ნივთია სადაო მიშენება. როგორც აღვნიშნეთ ეს არის ბინის არსებითი შენადგენელი ნაწილი. ბინა, როგორც დამოუკიდებელი ხელშესახები ობიე-ქტი ვერ იარსებებს მიშენების გარეშე და პირიქით მიშენება ვერ იარსებებს დარეგის-ტრირებული 47 კვ.მ-ის გარეშე. აქედან გამომდინარე იპოთეკის რეალური შინაარსი, მისი სუბსტანციურობა მდგომარეობს იმაში რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება მოხდეს იმ საგნით რაც რეგისტრაციაუნარიანი და ხელშესახებია იპოთეკის ხელშეკრულების დადების დროს. საკასაციო სასამართლო ვალდებულია იფიქროს ქონებრივი სიკეთის დაბალანსებულ განაწილებაზე მხარეებს შორის. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, დას-კვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იპოთეკის სამართლებრივი ფარგლების გან-საზღვრისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ კრიტერიუმებით, რაც ზემოთ განვიხილეთ. ანუ, კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილისა და საკუთვნებლის რეალური შინაარსი, მისი მნიშვნელობა და სამართლებრი-ვი “სტატუსი” იპოთეკის ხელშეკრულებაში. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასმართლო საინტერესო პრაქტიკას აყალიბებს, რაც მნიშვნელოვანი და მისასალმებელია სამართ-ლებრივი ნორმების ხარვეზების შევსებასა და უკეთ ჩამოყალიბებაში.

12. გოგაშვილი ანა; სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: “იპოთეკარის ინტერესების დაცვა მოთხოვნის დაკმაყოფი-ლების პროცესში”. თბილისი; 2011; გვ51.

## არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებამოსილების ფარგლები

### 1. მფლობელობის ცნება

მფლობელობა, როგორც ვიცით, ერთ-ერთი სანივთო უფლებაა. რაც შეეხება მის ეტიმოლოგიას, ამ საკითხით ქართული სამართლის ისტორიკოსთაგან პირველად ივანე ჯავახიშვილი დაიწყერესდა. მფლობელობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო “ქონება,” “ჭერა,” “პყრობა”. “მფლობელობასაც” ვხვდებით ქართული სამართლის ისტორიის ძეგლებში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მფლობელობას აყალიბებს ცალკე სანივთო-სამართლებრივი ინსტიტუტის სახით, საკუთრების უფლების შინაარსში შემავალი მფლობელობის უფლებამოსილებისაგან დამოუკიდებლად. მფლობელობას დათმობილი აქვს სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნის სანივთო (ქონებრივი) სამართალი მე-2 კარი მთლიანად (სულ 15 მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი განასხვავებს ორი სახის მფლობელობას: 1) როგორც საკუთრების უფლების შინაარსის ერთ-ერთ ელემენტს (სსკ-ის 170-ე მუხლი); 2) როგორც დამოუკიდებელ, საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებელ, გამოცალკევებულ ინსტიტუტს.<sup>2</sup>

მფლობელობა არის “ფაქტობრივი” ძალაუფლება, “ბატონობა” ქონებაზე, როგორც წესი, ნივთზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი. მფლობელობის საგანი წარმოადგენს ნივთზე დადგენილი სანივთო უფლებაც, როდესაც უფლების განმხორციელებელი სუბიექტი რეალურად არ არის უფლებამოსილი პირი.

როგორც ვიცით, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის, სიმარტივის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად სუბიექტები მოქმედებენ კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპზე დაყრდნობით. ეს იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილენი, როდესაც ობიექტი მოძრავ ნივთს წარმოადგენს, ერთმანეთის კეთილსინდისიერებით უნდა შემოიფარგლონ, ვინაიდან მათ კონტრაპენტთა უფლებამოსილების შესამოწმებლად სხვა საშუალება არ გააჩნიათ. განსხვავებული წესი მოქმედებს უძრავ ნივთებთან მიმართებით. როგორც ვიცით, უძრავი ნივთის მესაკუთრე ან ამ ნივთზე სხვა უფლების მატარებელი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუ მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით ურთიერთობის მონაწილენი შეზღუდული არიან მხოლოდ კონტრაპენტთა პიროვნებით, მისი კეთილსინდისიერებით, უძრავი ნივთების შემთხვევაში ამ უკანასკნელის შემძენი მეტად დაცულია შეცდომის დაშვებისაგან. ყურადღება იმაზე უნდა გავამახვილოთ, რომ საჯარო რეესტრის მონაცემთა მიმართ სსკ-ის 312-ე მუხლით გათვალისწინებულია უტყუარობისა და სიზუსტის პრეზუმაცია, რაც მნიშვნელოვანი გამოვლინებაა სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებისა.

სსკ-ის 155-ე მუხლის პირველ ნაწილში კანონმდებელი მიუთითებს, რომ “მფლობელო-

1. თსუს იურიდიული ფაკულტეტის მე-4 სემესტრის სტუდენტი.

2. ჭეჭელაშვილი ზურაბ: სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2010 წელი, გვ. 66.

ბა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით”. ე. ი. ინდივიდის მფლობელად აღიარებისათვის ძირითად წინაპირობასთან ერთად (ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა) აუცილებელია ნების კომპონენტი. მფლობელს უნდა ჰქონდეს ნივთის ფლობის ნება.<sup>3</sup> სსკ-მა ერთგვარად გაიზიარა მფლობელობის რომაული სამართლებრივი კონსტრუქცია – *corpus*-ისა და *animus*-ის ერთდროული არსებობის მოთხოვნა. აქვე აღვნიშნოთ, რომ მფლობელობის შესახებ თხუთმეტივე მუხლი გერმანული სამართლის სისტემას ეფუძნება. მუხლების უმეტესობა გსკ-ის პირდაპირი რეცეფცირების შედეგად შეიქმნა.<sup>4</sup>

ამრიგად, მოქმედ ქართულ სამოქალაქო სამართალში მფლობელობა ისევე განიხილება, როგორც ეს გერმანული სამართლის ოჯახშია მიღბული. ამით იგი ემიჯნება რომანული სამართლის ქვეყნებს, რომელშიც მფლობელობა შედარებით განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული.<sup>5</sup>

ამგვარია მფლობელობის ცნება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში.

## 2. მფლობელობის სახეები

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით მფლობელად არ მიიჩნევა პირი, რომელიც სხვის სასარგებლოდ ახორციელებს ნივთზე ბატონობას. ე. ი. მფლობელია ის პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება ნივთზე ბატონობა.

ნივთი შეიძლება მხოლოდ პირდაპირი მფლობელის ბატონობაში იმყოფებოდეს ან, იმავდროულად, არაპირდაპირი მფლობელის ბატონობის ქვეშაც. შესაბამისად, შეგვიძლია განვასხვავოთ პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა. მნიშვნელოვანია, რომ მფლობელობითი კონფლიქტისას უპრატესობა პირდაპირ მფლობელს ენიჭება. ეს უკანასკნელი დაცულია თავად არაპირდაპირ მფლობელისგანაც.

როდესაც მფლობელობის სახეებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გამოვყოთ მართლზომიერი და არამართლზომიერი მფლობელობა. მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. უდავოა, რომ მართლზომიერ მფლობელებს წარმოადგენენ ნივთის მესაკუთრენი და პირები, რომელთა მფლობელობაც მესაკუთრის მფლობელობიდანაა ნაწარმოები. რაც შეეხება არამართლზომიერ მფლობელობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მფლობელობა სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული. ე. ი. მფლობელი, მართალია, ახორციელებს ფაქტობრივ ფლობას, მაგრამ ეს ხდება უკანონოდ. აღნიშნულ ვითარებაში ნივთი მართლზომიერი მფლობელის მფლობელობიდან გამოსულია მისი ნების საწინააღმდეგოდ (დაკარგა, მოპარეს). რასაკვირველია, სამართლებრივი თვალსაზრისით მფლობელობათა ეს სახეები განსხვავებულ შედეგს წარმოშობენ.

როგორც ვიცით, მფლობელობის კანონიერება თუ უკანონობა ობიექტური შეფასების საგანს წარმოადგენს. არსებობს სუბიექტური კრიტერიუმიც, რაც გულისხმობს მფლობელის დამოკიდებულებას ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლისადმი. აღნიშნული დამოკიდებულება გამოიხატება მფლობელის კეთილსინდისიერებასა თუ არაკეთილსინ-

3. კერძესელიძე დავით: კერძო სამართლის უზოგადესი ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამოიცემლობა, თბილისი 2009 წელი, გვ. 223.

4. ჭეჭელაშვილი ზურაბ: სანივთო სამართალი (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი 2010 წელი, გვ. 68.

5. ზოძე ბესარიონ: ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა “მეცნიერება,” თბილისი 2003 წელი, გვ. 58.

დიერებაში. აღვნიშნოთ, რომ სწორედ არამართლზომიერ მფლბელობასთან მიმართებით უნდა განვიხილოთ მფლობელის სუბიექტური დამოკიდებულება, ვინაიდან ეს უკანასკნელი განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს წარმოშობს კეთილსინდისიერი თუ არაკეთილ-სინდისიერი მფლობელის მიმართ. ეს ნიშნავს იმას, რომ განსხვავებულია ამ მფლობელთა უფლებამოსილებანიც.

### 3. ვინდიკაციური სარჩელი, როგორც საკუთრების, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ საკუთრების უფლების დაცვა ხდება ვინდიკაციური სარჩელით, ანუ მესაკუთრე, რომლის მფლობელობაშიც არ იმყოფება ნივთი, მიმართავს არამესაკუთრე ნივთის მფლობელს და ითხოვს მისგან საკუთარ ნივთს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სარჩელის საშუალებით ხდება ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის გამო-თხოვა იმ პირისგან, რომლის მფლობელობაშიც უკანონოდ იმყოფება ნივთი.

სასამართლოს გზით საკუთრების უფლების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივ სა-შუალებებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უძველეს სამართლებრივ მექანიზმს სწორედ ვინდიკაციური სარჩელი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს კანო-ნის ძალით საკუთრების უფლების დაცვას. აღნიშნული სარჩელით საკუთრების უფლების დაცვა საკამოდ გავრცელებული და აქტუალურია. ამის დასასაბუთებლად განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი.

აღსანიშნავია, რომ სანივთო უფლების დაცვის ამ საშუალებას მრავალი ქვეყნის კანონმ-დებლობა იცნობს, თუმცა თავდაპირველად იგი ძველი რომის ცივილურ სამართალში წარ-მოიშვა. რომაული სამართლის მიხედვით, „ვინდიკაციურ სარჩელზე უფლება მეასკუთრეს ენიჭებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე თავისითან აკავებდა მესაკუთრის კუთვნილ ნივთს და არ უბრუნებდა მას. მდენად, პირს საკუთრების უფლების დარღვევისას რეი ვინდიცატიო ენიჭებოდა“.⁶ ცნობილია ისიც, რომ სწორედ მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა მისი საკუთრების უფლების ნამდვილობა, მოპასუხეს მისი უფლების მტკიცების ტვირთი არ ჰქონდა. იმ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელე მოახერხებდა იმის დასაბუთებას, რომ სა-დავო ნივთი მას საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა, მოპასუხე (მფლობელი) ვალდებული იყო დაებრუნებინა ნივთი, მისი ნაყოფი, პასუხი უნდა ეგო იმ ზიანისათვის, რომელიც ნივთს მიადგა მისი ბრალით და, ამავდროულად, შეეძლო მოეთხოვა განეული ხარჯების ანაზღაურება, რა თქმა უნდა, იგულისხმება აუცილებელი ხარჯები. ეს იმას ნიშნავს რომ, თვითნებური, ფუჭი ხარჯები არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

როგორც ვთქვით, ვინდიკაციური სარჩელი, როგორც საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, გავრცელებულია მრავალი ქვეყანაში. რომის სამართლის გავლენით, რეი ვინდიცატიო-ს ითვალისწინებს ფრანგული სამართალიც. აღნიშნულ შე-მთხვევაშიც მესაკუთრეს შეეძლია მიმართოს სასამართლოს უკანონო მფლობელისაგან ნივთის დაბრუნების მოთხოვნით, თავის მხრივ კი, მფლობელს უფლება აქვს განაცხადოს უარი ნივთის დაბრუნებაზე, თუ მას გააჩნია ფლობის უფლება. როგორც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, ისე გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მფლობელისათვის ადგენს საკუთრების უფლების პრეზუმაციას. ეს უკანასკნელი შეიძლება უარყფილ იქნეს მესაკუ-თრის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შეძლებს მოპასუხის მხრივ ნივთის ფლობის არასამართლებრივი ხასიათის დასაბუთებას. ააქვე უნდა აღვნიშნოთ შემთხვევა, როდესაც მფლობელმა ნივთი მიიღო არა მესაკუთრისაგან, არამედ სხვა პირისაგან. ამ დროს პირ-

6. Wolf Manfred: sacherecht, 13. Auflage, München, 1996 წელი, გვ. 77.

ველხარისხოვანია ის ფაქტი, თუ როგორ მოქმედებდა მფლობელი ნივთის შეძენის დროს, იყო იგი კეთილსინდისიერი თუ არაკეთილსინდისიერი (იცოდა ან უნდა სცდნოდა, რომ ნივთის გამსხვისებელი არ იყო მისი მესაკუთრე ან მას არ ჰქონდა საკუთრების გადაცემის უფლება). უკანონით არაკეთილსინდისიერი მფლობლისაგან მესაკუთრეს ყველა შემთხვევაში აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება, ხოლო უკანონო კეთილსინდისიერი მფლობელის მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ შედარებით უკეთესია. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ მესაკუთრის უფლება დაიბრუნოს ნივთი გარკვეულწილად შეზღუდულია, ანუ მისი ნება არ უნდა ფიგურირებდეს ნივთის მფლობელობიდან გასვლისას, ნივთი უნდა იყოს მოპარული ან დაკარგული. ასეთ შემთხვევაში, როგორც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ადგენს, ყოფილ მფლობელს (მესაკუთრე) ნივთის გამოთხოვა შეუძლია 3 წლის განმავლობაში დაკარგვის ან მოპარვის დღიდან იმ პირისაგან, ვისთანაც მას აღმოაჩენს. ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ, აქვს უკუმოთხოვნის უფლება იმ პირისადმი, ვისგანაც მან ეს ნივთი მიიღო.<sup>7</sup>

რაც შეეხება გერმანიის სამოქალაქო სამართალს, აღვნიშნოთ, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ვინდიკაციურად მიიჩნევს სარჩელს, როდესაც ქონების არამფლობელი მესაკუთრე სარჩელით ითხოვს მფლობელი არამესაკუთრისაგან სადავო ნივთს. მოცემულ შემთხვევაშიც, მსგავსად საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობისა, მესაკუთრე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ნივთი მას ეკუთვნის, ანუ იგი მესაკუთრეა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზემოთქმული არ ათავისუფლებს მოპასუხეს ნივთზე მისი მფლობელობის სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებისაგან. შესაძლებელია, მოსარჩელემ მტკიცებულების სახით უნდა წარადგინოს ისიც, რომ მფლობელმა არაკეთილსინდისიერად მიიღო ნივთი. საერთო პრინციპის თანახმად, ნივთი შეიძლება იქნეს გამოთხოვილი მესაკუთრის მიერ მხოლოდ არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან.<sup>8</sup> რაც შეეხება კეთილსინდისიერ მფლობელს, მისი უფლებები კანონით დაცულია არამფლობელი მესაკუთრისაგან. კეთილსინდისიერად ითვლება მფლობელი, რომელიც უხეში დაუდევრობის გარეშე მოქმედებს, არ იცის, რომ ნივთის გამსხვისებელი არაა მისი მესაკუთრე.<sup>9</sup> მოძრავი ნივთი, რომელიც შეძენილია კეთილსინდისიერად, თუნდაც არაუფლებამოსილი პირისაგან, შემძენის საკუთრება ხდება და იგი არ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი მესაკუთრისაგან. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისიც:

1. როდესაც მესაკუთრე კარგავს ნივთზე მფლობელობას მისი ნების გარეშე (დაკარგა/მოპარეს);

2. როდესაც ვინდიკაციური სარჩელი ეხება ნივთს, რომელიც შეძენილია საჯარო ვაჭრობის დროს (აუქციონზე).

აღსანიშნავია ისიც, რომ მესაკუთრე უფლებამოსილია ნივთის დაბრუნებასთან ერთად მოითხოვოს ნივთისაგან მიღებული ნაყოფი და შემოსავალი, რომელიც შეიძინა მფლობელმა არამართლზომიერი მფლობელობისას, ასევე მოსარჩელეს შეუძლია, რომ მოპასუხისაგან მოითხოვოს ნივთისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი. თავის მხრივ, მფლობელს აქვს უფლება მოსთხოვოს მესაკუთრეს ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული აუცილებელი ხარჯები.

როგორც ვხედავთ, მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული გერმანიის კანონმდებლობაში ვინდიკაციური სარჩელისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ზემოთ განხილულ სახელმწიფოთა კანონმდებლობის მაგალითებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

7. ძნელაძე ნინო: ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და საკუთრების უფლების დაცვის სამართლებრივი პრინციპები, მართლმსაჯულება, №2, 2007 წელი, გვ. 82.

8. А.С. Комаров, Е.А. Васильев: Гражданское и торговое право зарубежных государств, т. I., стр. 373.

9. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 932-ე პარაგრაფი.

მფლობელობა, უფრო კონკრეტულად კი უკანონო მფლობელობიდან მესაკუთრის მიერ ნივთის გამოთხვა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ხასიათის მატარებელი ინსტიტუტია.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას ვინდიკაციურ სარჩელთან მიმართებით, ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება“. ე. ი. ვინდიკაციური სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს სამ პირობას:

1. მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე;
2. მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი;
3. მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

ამ პირობათა ერთობლიობა განაპირობებს იმას, რომ მესაკუთრეს უბრუნდება სადაც ნივთი, რომელიც მისი მფლობელობიდან იყო გამოსული და იმყოფებოდა არაკანონიერი მფლობელის ხელში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება ეკუთვნის როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთის მესაკუთრეს. ვინდიკაციაზე უფლების სუბიექტია მესაკუთრე, ხოლო ვალდებულების სუბიექტია არამართლზომიერი მფლობელი, რომელიც ფაქტობრივად ფლობს სადაც ნივთს მოთხოვნის წარდგენის მომენტისათვის.<sup>10</sup> როგორც პროფესორი ბესარიონ ზოიძე აღნიშნავს, „ვინდიკაციის ვითარებაში მესაკუთრეს შერჩენილი აქვს მხოლოდ ნივთზე საკუთრების უფლება, რომელიც თავის-თავად არამატერიალური უფლებაა და ვის ხელშიც არ უნდა იყოს საკუთრების ობიექტი, მესაკუთრეს ეს უფლება არ წარმოადგინება ვინდიცირების წესი მთლიანად დამოკიდებულია, თუ რა გზითაა გამოსული მესაკუთრის ხელიდან საკუთრების ობიექტი“.<sup>11</sup> მნიშვნელოვანია ნივთის მფლობელის კეთილსინდისიერების საკითხიც. უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონმდებლობა განსხვავებულად აწერილებს მოძრავი და უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობისას მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი მფლობელის ინტერესთა კონფლიქტს. როგორც აღვნიშნეთ, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოსამობად საჭიროა გარიგების დადება წერილობითი ფორმით და, ამავდროულად, ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.<sup>12</sup> უძრავი ნივთის შეძენისას შემძენმა გამსხვისებლის უფლება (არის თუ არა იგი ამ ნივთის მესაკუთრე) უნდა გაარკვიოს საჯარო რეესტრის საშუალებით, ხოლო მოძრავი ნივთების შეძენისას შემძენი მოქმედებს კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპების საფუძველზე, ვინაიდან ივარაუდება, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე.<sup>13</sup> ასეთ შემთხვევაში არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი, როგორც ამას სსკ-ის 163-ე მუხლი ამბობს, ვალდებულია დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს, ასევე, მას აქვს უფლება მოითხოვოს უფლებამოსილი პირისაგან გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, თუკი ნივთის ფლობისას მიღებული სარგებელი ამ ყოველივეს არ აანაზღაურებს. ალსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს ნივთის დაკავების უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ, არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან განსხვავებით, კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია არ დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს მანამ, სანამ ეს უკანასკნელი არ აანაზღაურებს ზემოთქმულ ხარჯებსა და გაუმჯობესებას.

რაც შეეხება არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებამოსილებასა და მოვალეობე-

10. მიქავა ლაურა: ვინდიკაციური სარჩელი, როგორც სანივთო უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალება, მართლმსაჯულება და კანონი, №1 (28), 2011 წელი, გვ. 79.

11. ზოიძე ბესარიონ: ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 2003, გვ. 97.

12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 183-ე მუხლი.

13. იქევ, 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

ბს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში უფლებამოსილი პირი არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან უპირობოდ იპრუნებს ნივთს. ეს უკანასკნელი ვალდებულია, რომ “დააბრუნოს როგორც ნივთი, ასევე სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი”.<sup>14</sup> როგორც ვთქვით, არაკეთილსინდისიერ მფლობელს არ გააჩნია ნივთის დაკავების უფლება. მან უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს იმ ნაყოფის ღირებულებაც, “რისი მიღებაც მეურნეობის სწორი წარმართვის შედეგად შესაძლებელი იყო, მაგრამ მან ბრალეულად ვერ მიიღო იგი”.<sup>15</sup> აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ არაკეთილსინდისიერ მფლობელს აქვს უფლებამოსილება მოითხოვოს უფლებამოსილი პირისაგან იმ ხარჯებისა და გაუმჯობესებათა ანაზღაურება, რომელიც მფლობელმა გასწია ნივთის მოვლა-პატრონობისათვის და, რომელმაც გამოიწვია ნივთის უკან დაპრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება, ნივთის ღირებულების გაზრდა.

#### 4. სასამართლო პრაქტიკა

ზემოთქმულის უკეთ გასაგებად უმჯობესი იქნება განვიხილოთ უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებამოსილების შესახებ.<sup>16</sup>

ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კასატორები არიან ივანე წ, მარიამ, ელენე და ვანო წ-ების კანონიერი წარმომადგენელი ხათუნი კ-ძე (მოპასუხეები), ხოლო მონინაალმდეგე მხარეს წარმოადგენს გურამ გ-ძე (მოსარჩელე). მოცემულ სუბიექტთა შორის სადაცო საგანს წარმოადგენს ნივთის გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება და ნივთის მფლობელობაში გადაცემა. ვითარებაში გასარკვევად უნდა ვთქვათ, რომ გურამ გ-ძემ რამაზ წ-სა და მისი საქმიანი პარტნიორებისაგან მურმან ბ-ძისა და დავით გ-შვილისაგან შეიძინა “ჰიგიენის სახლი”. აღნიშნული გარიგება კი დაიდო ზეპირი ფორმით. ნიშანდობლივია რომ, ეს ობიექტი მიეკუთვნება უძრავ ნივთთა კატეგორიას. სსკ-ის 183-ე მუხლის თანახმად, საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგება დადებულია წერილობითი ფორმით და, ამავდროულად, გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. მოცემული საქმიდან კი დგინდება, რომ აღნიშნული პირობები არ არის დაცული. ჩევნთვის ცნობილია ისიც, რომ ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია.<sup>17</sup> აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რამაზ წ-სა და გურამ გ-ძეს შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა. მიუხედავად ამისა, გურამ გ-ძეს ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი (“ჰიგიენის სახლი”) გადაეცა მფლობელობაში. ნათელია, რომ მოცემულ ვითარებაში გურამ გ-ძე გვევლინება ნივთის უკანონო მფლობელად, ვინაიდან იგი “ჰიგიენის სახლს” ფლობს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სადაცო საგანი სავალალო მდგომარეობაში იყო და ამის გამო გურამ გ-ძემ “ჰიგიენის სახლი” გაარემონტა. ამ მოვლენათა პარალელურად რამაზ წ გარდაიცვალა და მისი მემკვიდრე გახდა ამ უკანასკნელის მამა – ივანე წ, ხოლო საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 13 იანვრის განჩინებით ივანე წ-სთან ერთად მოპასუხებად ჩაებნენ გარდაცვლილი რამაზ წ-ის შვილები – მარიამ, ელენე და ვანო წ-ები. აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ გურამ გ-ძემ “ჰიგიენის სახლის” ღირებულება გადაუხა-

14. იქვე, 164-ე მუხლი.

15. ზომებ ბესარიონ: ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი 2003, გვ. 78.

16. საქმე №ას-884-1170-09 წერეთელი, 23 თებერვალი, 2010 წელი, ქ. თბილისი.

17. საერთოველოს სამოქალაქო კოდექსი, 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

და რამაზ წ-ს საქმიან პარტნიორებს - მურმან ბ-ძესა და დავით გ-შვილს, რაზედაც საქმის რაიონულ სასამართლოში განხლვისას მოპასუხებმა განაცხადეს შემდეგი - სასამართლოს 2007 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მურმან ბ-ძესა და დავით გ-შვილს სადავო უძრავი ნივთის გასხვისების უფლებამოსილება არ გააჩნდათ, შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება, რომ მან შენობა ზემოხსენებულ პირთაგან შეიძინა. მოცემულ ეტაპზე საყურადღებოა მოსარჩელის მოთხოვნა - ნივთის გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯების - 73631 ლარის ანაზღაურებისა და აღნიშნული თანხის სრულ გადახდამდე სადავო უძრავი ნივთის მოსარჩელის მფლობელობაში დატოვების შესახებ. რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა, კერძოდ, სარჩელის დაკმაყოფილება მოხდა ნივთის გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილება კი გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით როგორც გურამ გ-ძის (სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში), ისე მოპასუხეთა მიერ (სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში). ამის შედეგად ხდება ის, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარს არ აკმაყოფილებს და მათ გურამ გ-ძის სასარგებლოდ ეკისრებათ ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი წარმომადგენლისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია ექსპერტის დასკვნა იმის შესახებ, რომ სწორედ გურამ გ-ძის მიერ ჩატარებულმა რემონტმა გამოიწია “ჰიგიენის სახლის” ღირებულების გაზრდა და სწორედ ამ მოტივით გამიოტანა შესაბამისი გადაწყვეტილება. ერთმნიშვნელოვნად თანხმდება სააპელაციო სასამართლო გურამ გ-ძის, როგორც არაკეთილსინდისიერი მფლობელის, სტატუსზე.

აღსანიშნავია, რომ მოპასუხებმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება. კასატორთა მიერ წარმოდგენილი საფუძვლების შესაბამისად, გურამ გ-ძეს არავითარი უფლება არ გააჩნდა “ჰიგიენის სახლზე,” ვინაიდან მან აღნიშნული ქონება არაუფლებამოსილი პირისაგან შეიძინა. ამავდროულად, მოსარჩელემ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა უძრავ ნივთზე მისი უფლების არარსებობის შესახებ, გაარემონტა იგი. კასატორთა მითითებით, საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა უკანონოა, რადგანაც ექსპერტი შენობის დათვალერების გარეშე, სათანადო ორგანოს მიერ დაუმოწმებელი პროექტის შეფასებით შემოიფარგლა. მოპასუხენი აღნიშნავენ იმასაც, რომ გურამ გ-ძის მიერ სადავო ნივთის მითვისების შედეგად მათ განიცადეს ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. ამ ყოველივეს ემატება ისც, რომ ნაგებობა წარმოადგენდა “ჰიგიენის სახლს,” ხოლო გურამ გ-ძემ შეცვალა აღნიშნული პროფილით საქმიანობა, გახსნა სავაჭრო ცენტრი. ეს კი ქონების მართვის სამინისტროს მიმართვით მას აკრძალული ჰქონდა. ამდენად, სადავოა საკითხი იმის შესახებ, რემონტი იყო თუ არა ჩატარებული შენობის ღირებულების გაზრდის მიზნით. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს მოსაზრებას, მან კასატორთა საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გააუქმიერა და საქმე იმავე სასამართლოს დაუპრუნა ხელახლა განსახილველად. უზენაესი სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერ მფლობელს უფლება აქვს, მოითხოვოს ანაზღაურება ნივთზე განეული ხარჯებისა, რომელმაც უფლებამოსილი პირის გამდიდრება გამოიწვია. ამავდროულად, მითითებული მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია გარკვეული ნინაპირობების არსებობა. საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და ამ უკანასკნელმა საქმის ხელახლა განხილვისას სწორედ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რომლებიც თავდაპირველად “მხედველობიდან გამორჩა”.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, სსკ-ის 164-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს არამართლზომიერი არაკეთილსინდისიერი მფლობელის მოვალეობებს. ე. ი. უნდა დავადასტუროთ გურამ გ-ძის არაკეთილსინდისიერება ნივთის მფლობელობასთან მიმართებით. სსკ-ის 159-ე მუხლის თანახმად, “კე-თილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულ-მოდგინე შემოწმების საფუძველზე”. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ მოსარჩევე არ იყო მართლზომიერი და მან ნივთის შეძენის მომენტისათვის იცოდა, რომ მის მფლობელობაში ნივთი გადავიდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. გურამ გ-ძის არაკეთილსინდისიერი მფლობელობა სახეზეა და შეგვიძლია დავუბრუნდეთ სსკ-ის 164-ე მუხლს, რომელიც გვეუბნება, რომ “...ნივთზე განეული ხარჯები და გაუმჯობესებანი მას [სარაკეთილსინდისიერ მფლობელს] შეუძლია მხოლოდ მაშინ მოითხოვოს, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად”. როგორც ვხედავთ, გურამ გ-ძის სარჩელით გათვალისწინებული პირველი მოთხოვნის დასაქმაყოფილებლად (ნივთის გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება) მოსარჩელის განეული ხარჯები უნდა იყოს აუცილებელი, ნივთის ღირებულებას უნდა ზრდიდეს და უფლებამოსილი პირის გამდიდრებას უნდა იწვევდეს ნივთის დაბრუნების მომენტისათვის. ე. ი. აღნიშნული ნაგებობის გარემონტება უნდა ყოფილიყო აუცილებელი და დასადგენია, ემსახურებოდა თუ არა ეს ხარჯები სადაც ნივთის გაუმჯობესებას, თუ იგი გურამ გ-ძის, როგორც მენარმის, ინტერესებიდან გამომდინარე იქნა განეული. ცნობილია, რომ მოსარჩელებმ ნაგებობა გაარემონტა 2004 წელს, ხოლო მოპასუხეებს “ჰიგიენის სახლი” გადაეცათ 2008 წელს. სავსებით დასაბუთებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითება იმის შესახებ, რომ 2008 წლის მდგომარეობით ნივთის ღირებულების შეცვლა, შესაძლოა, გამოწველი იყოს არა გურამ გ-ძის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედაგად, არამედ ნივთის საპაზრო ღირებულების ცვლილებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა გაირკვეს 2004 წელს განეული სარემონტო სამუშაოების რეალური ღირებულება 2008 წლისათვის. ამასთანავე, ყურადღება უნდა მივაქციოთ უზენაესი სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადაც ნივთი წარმოადგენდა ე. წ. “ჰიგიენის სახლი”, სადაც განთავსებული იყო აბანო, სამღებრო, სადალაქე, ელექტრონელსაწყოთა შემკეთებელი საამქრო და საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიმართვით მოსარჩელეს აკრძალული ჰერნიდა შენობისათვის ჰროფილის შეცვლა, შესაბამისად, შენობის გაუმჯობესებად ვერ ჩაითვლება გურამ გ-ძის მიერ მასში არსებულ დაწესებულებათა დანგრევა და სავაჭრო ობიექტის გახსნა. უდავოა, რომ შენობის გამოთავისუფლების შემდეგ კასატორებს მოუხდებათმისი პირვანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად დამატებითი ხარჯის განევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1) გურამ გ-ძის მიერ ნივთის გარემონტება არ წარმოადგენდა აუცილებელობას, შესაბამისად, ხარჯები იყო არამართლზომიერი, 2) “ჰიგიენის სახლის” მესაკუთრისათვის დაბრუნების დროს მისი ღირებულება და მდგომარეობა არ იწვევს მესაკუთრის გამდიდრებას. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ, შესაძლებელია, გურამ გ-ძის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების მიუხედავად, კასატორებს არ წარმოეშვათ არაკეთილსინდისიერი მფლობელისათვის ხარჯების ანაზღაურების მოვალეობა.

როგორც აღვნიშნეთ, მოსარჩელეს ჰერნიდა მეორე მოთხოვნაც - განეული ხარჯების სრულ გადახდამდე სადაც უძრავი ნივთის მის მფლობელობაში დატოვება. თითოეულმა ინსტაციამ, სავსებით სამართლიანად, არ დააკმაყოფილა გურამ გ-ძის სარჩელი ე. წ. ნივთის დაკავშირების უფლების მინიჭების ნაწილში, რადგან სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი არაკეთილსინდისიერ მფლობელს ასეთ უფლებას არ ანიჭებს. მნიშვნელოვანია,

რომ სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გურამ გ-ძის მიერ “ჰიგიენის სახლის” მართლზომიერად ფლობის თაობაზე. მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა სადაც ნივთის დაკავების უფლების მინიჭების შესახებ დადებით შეფასებას იმსახურებს. ამავდროულად, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს. უზენაესმა სასამართლომ მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება არ გაიზიარა, მეტიც მის მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით გურამ გ-ძე ნამდვილად იყო არაკეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც უპირობოდ უნდა დაეპრუნებინა სადაც ნივთი, ხოლო სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, თუ რამდენად აუცილებელი იყო მოსარჩელის მიერ განეული ხარჯები, გამოიწვია თუ არა გურამ გ-ძის ჩატარებულმა სარემონტო სამუშაოებმა მესაკუთრის გამდიდრება, ნივთის ლირებულების გაზრდა. ამდენად, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული მოსაზრებანი საკავებით მართებულად მიმართა და, შესაბამისად, აღნიშნულ ნაშრომში განვითრებული მსჯელობა სწორედ საკასაციო სასამართლოს პოზიციას ემთხვევა.

## დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებამოსილებანი გაცილებით მცირეა, ვიდრე მოვალეობანი. გავამახვილოთ ყურადღება იმ ძირითად ვალდებულებებზე, რომელთა შესრულებაც არაკეთილსინდისიერ მფლობელს ეკისრება უფლებამოსილი პირის მიმართ. ესენია:

1. ნივთის უპირობოდ დაბრუნების მოვალეობა;
2. ნივთის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლისა და ნაყოფის დაბრუნება;
3. ანაზღაურება ნაყოფისა, რომელიც მფლობელმა ბრალეულად ვერ მიიღო.

რაც შეეხება უფლებამოსილებას არაკეთილსინდისიერი მფლობელისა, ვინაიდან აღნიშული ნაშრომის განხილვის საგანს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს, უნდა ვთქვათ, რომ ერთადერთი, რისი უფლებაც მას სსკ-ის 164-ე მუხლის შესაბამისად რჩება, არის იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების მოთხოვნის უფლება, რომელიც ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის მესაკუთრის გამდიდრებას იწვევს. საყურადღებოა ისიც, რომ არაკეთილსინდისიერი მფლობელი არ სარგებლობს ნივთის დაკავების უფლებით, ანუ მან უფლებამოსილ პირს მოთხოვნისთანავე უნდა დაუპრუნოს სადაც საგანი. აღნიშნული დებულებების სისწორეში, ვფიქრობ, პრაქტიკის (უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტლება) განხილვამაც დაგვარწმუნა. უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის არსის გაცნობისა და ლრმა ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება, რომელიც სსკ-ის ნორმებით მტკიცედ, არგუმენტირებულად არის დასაბუთებული, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს არაკეთილსინდისიერი მფლობელის უფლებამოსილებასა და ვადლებულებას. მიმართა, რომ სავსებით მისალებია ამგვარი დამოკიდებულება კანონმდებლისა და სასამართლო ხელისუფლებისა არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ. ნათელია ისიც, რომ ამ უკანასკნელის უფლებამოსილებათა სიმწირე სწორედ მისი არაკეთილსინდისიერებით არის გამოწვეული. დაბოლოს, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმას, რომ სწორედ მფლობელის მიერ ნივთის არამართლზომიერად ფლობას დამატებული არაკეთილსინდისიერება იწვევს მისი სამართლებრივი დაცვის გარანტიებისა და უფლებამოსილებათა ნაკლებობას, რაც განაპირობებს მის განსხვავებას კეთილსინდისიერი მფლობელის მდგომარეობისაგან.

თორნიკე დარჯანია<sup>1</sup>

## უზრუნველყოფილი ცესია და მოვალის გარანტია

### 1. შემთხვევის აღწერა<sup>2</sup>

შპს „ნიალისეულმა“, რომლის საქმიანობასაც სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება წარმოადგენდა, მიმართა ფიზიკურ პირ გიორგი მესხს სესხის გაცემის თხოვნით. შპს „ნიალისეულს“ აღნიშნული თანხა სჭირდებოდა მდინარე ყვირილას კარიერზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე უფლების (ლიცენზიის) მისაღებად.

2007 წლის 1 სექტემბერს გამსესხებელ გიორგი მესხსა და მსესხებელ შპს „ნიალისეულს“ შორის დაიდო სასყიდლიანი სესხის ხელშეკრულება, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად სესხი უნდა გაცემულიყო თუ ეტაპად: 2007 წლის 14 სექტემბრიდან – 3400 ლარის ოდენობით, ხოლო 2007 წლის 8 ოქტომბრიდან – 16185 ლარის ოდენობით. სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2008 წლის 8 ოქტომბერი, ხოლო საპროცენტო სარგებელი შეთანხმებულ იქნა წლიური 20 %-ის ოდენობით.

სესხის უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში შპს „ნიალისეული“ დაკარგავდა უფლებას კარიერზე და იგი გადავიდოდა მსესხებელ გიორგი მესხის მფლობელობაში.

გიორგი მესხმა შპს „ნიალისეულის“ ანგარიშზე 2007 წლის 14 სექტემბერს გადარიცხა 3400 ლარი, ხოლო 2007 წლის 8 ოქტომბერს – 16185 ლარი.

2007 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის N 153 ბრძანებით შპს „ნიალისეულის“ სახელზე, მდინარე ყვირილაზე არსებული ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით გაიცა წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 5 წლის ვადით.

2008 წლის 8 ოქტომბერს შპს „ნიალისეულმა“ გიორგი მესხს სესხი არ დაუბრუნა. გიორგი მესხი ითხოვს, რომ შპს „ნიალისეულის“ უფლება კარიერზე გადაეცეს მას მფლობელობაში.

### 2. პრობლემატიკა

ზემოაღნიშნული შემთხვევიდან ცალსახად ჩანს, რომ გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის მიცემული თანხა არ არის დაბრუნებული. შესაბამისად, ეს არც არის სადაო და ქვემოთ ამაზე არ ვიმსჯელებთ. მაშინ, როდესაც ერთი მხარის მიერ მეორე მხარის ვალდებულება არ სრულდება, წინა პლანზე იწევს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების არსებობის და ამ გზით მოთხოვნის დაკამაყოფილების საკითხი. როგორც შემთხვევის აღწერილობიდან ჩანს, მხარეთა მიერ შეთანხმებულ იქნა, რომ სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, შპს „ნიალისეულის“ მიერ სამომავლოდ მოსაპოვებელი უფლება კარიერზე წიაღისეულის მოპოვებას-თან დაკავშირებით, გიორგი მესხის მფლობელობაში გადავიდოდა. შესაბამისად, იბადება

1. GIZ - ის სამართლის ექსპერტი; თსუს მაგისტრანტი, კიოლნის უნივერსიტეტის მაგისტრი (LL.M)

2. შემთხვევა უზენაესი სასამართლოს 19/10/2010-ის გადაწყვეტილებიდან საქმეზე N ას-379-352-2010. კონფიდენციალურობის მიზნით მხარეთა დასახელები შეცვლილია.

კითხვა, მოთხოვნის უზრუნველყოფის რომელი საშუალება იქნა მხარეთა მიერ შეთანხმებული? სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონოდა მოვალის გარანტიას, რაც უზენაესი სასამართლოს მიერ გადაკვალიფიცირდა უზრუნველყოფილ ცესიად, რომელსაც ლიტერატურაში სხვაგვარად ფიდუციარულ მოთხოვნის დათმობასაც უწოდებენ. უზრუნველყოფილი ცესია (ფიდუციარული მოთხოვნის დათმობა) წარმოადგენს მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტის ქვეშ შემავალ უზრუნველყოფის სახეს, რომელზეც სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის მოთხოვნები ვრცელდება. მისი არსის უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტის სრული მიმოხილვა. რაც შეეხება მოვალის გარანტიას, იგი რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსის 424-ე მუხლში და წარმოადგენს პიროვნული უზრუნველყოფის სახეს, რომლის დროსაც, „მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს“. იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ ამ ინსტიტუტების არსი, მიზანშენონილია მათი მიმოხილვა და შედარებით—სამართლებრივი კუთხით გაანალიზება.

### 3. მოთხოვნის დათმობა – კრედიტორთა მდგომარეობის ცვლილება

#### 3.1. მოთხოვნის დათმობის არსი

სტანდარტულ შემთხვევაში, კრედიტორი მოთხოვნას ინარჩუნებს მის ვადამოსულობამდე და შემდგომ მოვალისგან ითხოვს მის შესრულებას. თუმცა, შესაძლებელია მოთხოვნის მფლობელთა ცვლილება ვადამოსულობამდე მოხდეს და სახელდობრ იმგვარად, რომ კრედიტორმა მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს.

თანამედროვე ეკონომიკურ სამყაროში მოთხოვნები რომ სამართლებრივი ბრუნვის საგნებად შეიძლება იქნეს განხილული, ამაზე კამათი აღარც მიმდინარეობს. ეს მტკიცებულება განსაკუთრებით გავრცელებული მოთხოვნათა ნასყიდობებით, ასევე, მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებული მოთხოვნების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებად გამოყენების შემთხვევებით. შესაბამისად, უზრუნველყოფის სახით გამოყენებული მოთხოვნა განიხილება პასუხისმგებლობის ოპიექტად და მისი ჩართვა შესაძლებელია გაკოტრების მასაში.

#### 3.2. კრედიტორთა მდგომარეობის ცვლილების სახეები

კრედიტორთა ცვლილება შესაძლებელია სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით მოხდეს. ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა გარიგებით მესამე პირზე მოთხოვნის გადაცემა (მოთხოვნის დათმობა). ეს რეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე და მის მომდევნო ნორმებში. ხშირ შემთხვევებში, კანონი თვითონვე ითვალისწინებს მოთხოვნის გადასვლას ერთი კრედიტორიდან მეორეზე (კანონისმიერი მოთხოვნის დათმობა). ასე მაგალითად, თუ მზღვეველი დამზღვევს აუნაზღაურებს მესამე პირის მიერ მიყენებულ ზიანს, სკ-ის 832-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დამზღვევის მოთხოვნა მესამე პირის მიმართ მზღვეველზე გადადის. კანონით გათვალისწინებული (კანონისმიერი) მოთხოვნის გადასვლისთვის (დათმობისთვის), როგორც წესი, 199-ე მუხლი შესაბამისად გამოიყენება. კრედიტორთა ცვლილება გამონაკლისი შემთხვევის სახით შესაძლებელია სახელმწიფო სუვერენული აქტითაც მოხდეს (შდრ. სკ-ის 207-ე მუხლი). მოთხოვნის დათმობის ნაცვლად ხშირად სინონიმად გამოიყენება სიტყვა „ცესია“ (ლათინურიდან *cedere*). კანონისმიერი მოთხოვნის გადასვლის შემთხვევებისთვის, ასევე, გამოიყენება ტერმინი „კანონისმიერი ცესია“ ან „*cession legis*“. მსგავსი წარმოშობისაა ძველი (მოთხოვნის დამთმობი) კრედიტორის აღმნიშვნელი ტერმინი „ცედენტი“ და ახალი (მოთხოვნის შემძენი) კრედიტორის – „ცესიონერი“.

### 3.3. მოთხოვნის დათმობის სტრუქტურა

სკ—ის 199—ე და მისი მომდევნო ნორმები ესება უშუალოდ მოთხოვნათა დათმობას, მაშა-სადამე, იმ მოთხოვნების დათმობას, რომელიც კრედიტორს ერთი კონკრეტული მოვალის მიმართ გააჩნია. თუმცა, კრედიტორს შესაძლოა, ასევე, სხვა სახის უფლებები გააჩნდეს. მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრებიდან გამომდინარე უფლება, საწარმოში წილები და ა.შ. როგორც წესი, ასეთი მოთხოვნების დათმობებისთვის მოქმედებს სკ—ის 199—ე მუხ-ლი და მისი მომდევნო ნორმები, თუ სხვა სპეციალური რეგულირება არ არის მოცემული (შდრ. იხილეთ „მენარმეთა შესახებ კანონის“ 43—ე მუხლი).

მოთხოვნის დათმობა ხორციელდება 199—ე მუხლის მიხედვით ახალ და ძველ კრედიტორს შორის დადებული ხელშეკრულებით. დათმობით ახალი კრედიტორი ხდება მოთხოვნის მე-საკუთრე, მაშინ, როდესაც ძველი კრედიტორი მოთხოვნას კარგავს. მაშასადამე, ახალი კრე-დიტორი იკავებს ძველი კრედიტორის ადგილს (იხ. სკ—ის 199—ე მუხლის მე—2 ნაწილი).

### 3.4. მოთხოვნის დათმობა - აბსტრაქტული გარიგება

მოთხოვნის დათმობა ასახავს უფლების უშუალო გადაცემას და შესაბამისად წარმო-ადგენს განკარგვას. დათმობის განკარგვითი გარიგების ხასიათი ერთგვარ მსგავსებას იჩენს ნივთის გადაცემის წესებისადმი. ორივე შემთხვევაში ქონებრივი ღირებულებითი პოზიცია – საკუთრება ნივთზე ან მოთხოვნაზე – ერთი პირიდან მეორეზე გადადის. მაშინ, როდესაც ნივთები სხეულებრივი საგნებია, მოთხოვნა უსხეულო უფლებაა მიმართული მოვალისადმი. სისტემური თვალსაზრისით დგინდება, რომ მოთხოვნის დათმობა სხვა მრავალ განკარგვით გარიგებებთან ერთად სამოქალაქო კოდექსის სანივთო სამართლის წიგნშია დარეგულირე-ბული და არა ვალდებულებითში, როგორც ეს სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშია, მათ შო-რის გრმანის სამოქალაქო კოდექსში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა კოდექსის შემუშავებისას გაიზიარეს გერმანულ კოდექსში მოთხოვნის დათმობის სისტემურ მდებარეობასთან დაკავშირებით გაჩაღებული დისკუსია და გადადგეს თამამი ნაბიჯი მისი სანივთო სამართლში რეგულირების სახით<sup>3</sup>. ამით მათ უნებლიერ აღიარეს გერმანულ სა-მართალში დამკვიდრებული აბსტრაქციის პრინციპი, რომელიც კაუზალურ და აბსტრაქ-ტურ გარიგებებს ერთმანეთისგან ყოფს და ასხვავებს, შესაბამისად, მათი ურთიერთდამო-კიდებულობის სხვა წესრიგს გვთავაზობს<sup>4</sup>. აღნიშნული, ჩემი აზრით, საკმაოდ საკამათოა, თუმცა, ამ სტატიის ფარგლებში ამ საკითხს ვერ განვიხილავთ, იგი ფართო კვლევის საგა-ნია. შესაბამისად, სტატია ამ ეტაპზე იზიარებს ქართულ ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ მოთხოვნებზე საკუთრების შეძენა გერმანული აბსტრაქციის პრინციპის მიხედვით ხდება.

მოთხოვნის დათმობა, როგორც განკარგვითი გარიგება აბსტრაქტულია და დამოუკიდე-ბელი მის დამფუძნებელ ვალდებულებით—სამართლებრივ გარიგებასთან (მაგ. მოთხოვნის ნასყიდობა) მიმართებაში. მაშასადამე, გრმანის სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული დაყოფისა და აბსტრაქციის პრინციპები მოთხოვნის გადაცემასთან მიმართებაშიც მოქმე-დებს. აბსტრაქციის პრინციპის თანახმად, კაუზალური ძირითადი გარიგება (მაგ. ნასყი-დობა, ჩუქება, დავალება ან ვალდებულების უზრუნველყოფა), როგორც წესი, მოთხოვნის დათმობის გარიგებისგან დამოუკიდებელია. შესაბამისად, ძირითადი გარიგების ნაკლოვა-ნება დათმობის ნამდვილობაზე არ მოქმედებს. თუმცა, მხარეებს შეუძლიათ მოთხოვნის დათმობა ხელშეკრულების ნამდვილობის პირობაზე დამოუკიდებული გახადონ. გრმანის

3. Larenz, Schuldrecht I, § 33 I 3, კრიტიკა სისტემატურ მდებარეობასთან დაკავშირებით.

4. იხ. ჭეჭელაშვილი, „მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება“, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, გვ. 40; ზოდე, ქართული სანივთო სამართალი, 2003, მე—2 გამოც. 192—193 გვ.

უმაღლესი ფედერალური სასამართლო მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფილი ცესის დროს, მისი ნამდვილობისთვის, აუცილებელია უზრუნველყოფილი მოთხოვნის არსებობა<sup>5</sup>. მაშინ, როდესაც მოთხოვნის დათმობა ნამდვილია, ხოლო კაუზალური გარიგება არანამდვილი, ძველ კრედიტორს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე მოთხოვნა გააჩნია; ვინაიდან, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოთხოვნის შეძენა ქმნის უსაფუძვლო გამდიდრების შემადგენლობას, რომელიც მოთხოვნის უკან გადაცემის სახით უნდა დაუბრუნდეს ძველ კრედიტორს.

მნიშვნელოვანია, ინსტიტუციონალური თვალსაზრისით მოთხოვნის დათმობა გაიმიჯნოს მოთხოვნის განხორციელების და მისი ამოღების უფლებამოსილების მინიჭებისაგან. მაშინ, როდესაც ახალი კრედიტორი მოთხოვნის დათმობის შედეგად მოთხოვნის მესაკუთრე ხდება, მოთხოვნის განხორციელების და მისი ამოღების უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში, მოთხოვნის მფლობელობის კუთხით ცვლილება არ გვაქვს. კრედიტორი რჩება მოთხოვნის მფლობელად და მესამე პირს აძლევს უფლებას მოთხოვნა საკუთარი სახელით, თუმცა, მისთვის განახორციელოს და შესრულება მიიღოს (ამოიღოს). ასეთი სახის მოთხოვნის განხორციელება და ამოღება შესაძლოა მაშინ იყოს გონივრული, როდესაც კრედიტორს მოთხოვნის განხორციელებისას არ სურს წინა პლანზე გამოსვლა. თუკი ცალკეულ შემთხვევაში სადაოა, მხარეები რაზე შეთანხმდნენ, მოთხოვნის ამოღების უფლებამოსილების მინიჭებასა თუ მოთხოვნის დათმობაზე, მაშინ, ეს უნდა დადგინდეს განმარტების გზით.

### 3.5. მოთხოვნის დათმობის წინაპირობები

#### ა) გარიგება

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოთხოვნის დათმობა ხორციელდება სკ-ის 199-ე მუხლის თანახმად გაფორმებული (განკარგვითი) ხელშეკრულებით. მაშასადამე, ძველი და ახალი კრედიტორი უნდა შეთანხმდნენ, რომ მოთხოვნა უნდა გადავიდეს ერთიდან მეორეზე. მოვალის თანაქმედება, ამ შემთხვევაში, არარელევანტურია. არც მოვალემ უნდა განაცხადოს თანხმობა დათმობაზე და თავის მხრივ არც კრედიტორს ევალება მისთვის დათმობის შესახებ შეტყობინება. შესაბამისად, ნამდვილი მოთხოვნის დათმობა შესაძლებელია ისე განხორციელდეს, რომ მოვალემ მის შესახებ ვერაფერი შეიტყოს<sup>6</sup>. სწორედ აქ დგება მოვალის დაცვის საჭიროება, რომელსაც სკ-ის მე-200-ე, 201-ე და 202-ე მუხლები ითვალისწინებენ. ეს ნორმები მოთხოვნის დათმობის სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რომელთა მეშვეობითაც მოვალის ინტერესების განსაკუთრებული დაცვა ხდება.

მაშინ, როდესაც მოთხოვნის დათმობა უზრუნველყოფის მიზნებისთვის გამოიყენება, პრაქტიკული თვალსაზრისით ძველი (მოთხოვნის დამთმობი) კრედიტორის ინტერესში უნდა იყოს, რომ მოვალემ ამის შესახებ არ შეიტყოს, ვინაიდან მოვალეს შეეძლებოდა დათმობაზე ინფორმაციის მიღებით კრედიტორის (თავისი ბიზნეს პარტნიორის) ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უარყოფითი დასკვნები გაეკეთებინა, რისი თავიდან აცილებაც ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტის ინტერესებშია. უზრუნველყოფილი ცესია (ფიდუციარული მოთხოვნის დათმობა) ხშირ შემთხვევაში ისეთი სახით თანხმდება მხარეთა შორის, რომ ძველი კრედიტორი თავის საკრედიტო დაწესებულებას მოთხოვნას უთმობს და იმავდროულად, იგი ამ უკანასკნელისგან მოთხოვნის ამოღების და შესრულების მიღების უფლებამოსილებას იღებს იმ მიზნით, რომ მოვალემ დათმობის შესახებ არ გაიგოს (ე.წ. „ჩუმი (ცესია<sup>7</sup>)“). ვადამოსულობის დადგომისას ძველ კრედიტორს შეუძლია საკუთარი სახელით განახორციელოს მოთხოვნა.

5. BGH NJW 1982, 275.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N ას-189-523-05, 13.10.2005.

7. BGHZ 26, 185 (191f.); Staudinger/Busche (2005) § 398-ის შესავალი 28-ე ველი.

აქედან გამომდინარე, მოვალე ვერ იგებს, რომ სხვა პირი არის მოთხოვნის მფლობელი.

მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება გარიგების შესახებ ზოგადი ნორმები (სკ-ის 50-ე და მომდევნო მუხლები). როგორც წესი, მოთხოვნის დათმობა ფორმის დაცვის გარეშეც შესაძლებელია დაიდოს და ასევე იმისგან დამოუკიდებლად, დასათმობი მოთხოვნის წარმოშობა ფორმის დაცვას მიიჩნევდა სავალდებულოდ თუ არა<sup>8</sup>. ამგვარად, შესაძლებელია სკ-ის 183-ე მუხლის საფუძველზე სავალდებულო ფორმით დადებული მინის ნაკვეთის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნა ფორმის დაუცველად იქნეს დათმობილი. თუმცა, შესაძლებელია, ცალკეული ნორმებიდან ფორმის დაცვის სავალდებულობა გამომდინარებდეს. ასეთია, მაგალითად, სკ-ის 289<sup>4</sup>-ის 1-ლი ნაწილის მიხედვით იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის წერილობითი ფორმის დაცვით გაფორმების სავალდებულობა.

იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დათმობა კანონისმიერ აკრძალვას ენინააღმდეგება, სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად იგი არის ბათილი. ამ დროს ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ შემდეგი ორი შემთხვევა: კანონი მოთხოვნის დათმობას სრულად გამორიცხავს, თუ მოთხოვნის დათმობა ზოგადად შესაძლებელია, თუმცა რაიმე მიზეზის გამო აკრძალული. მხოლოდ ეს უკანასკნელი შემთხვევა იწვევს მოთხოვნის დათმობის ბათილობას სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით. მსგავსი შემთხვევა<sup>9</sup> გვექნებოდა მაშინ, როდესაც ექიმი "მ" კლინიკის განტვირთვის მიზნით თავის მოთხოვნებს პაციენტების მიმართ საფინანსო განყოფილებას დაუთმობდა იმ მიზნით, რომ მათ შეედგინათ ანგარიშები და თანხა ამოელოთ მას შემდეგ, რაც ექიმი პაციენტებს უმკურნალებდა და მათგან ჰონორარის მიღების მოთხოვნა წარმოეშობოდა. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მოთხოვნის ასეთი დათმობა ბათილად ცნო, ვინაიდან მიიჩნია, რომ მოთხოვნის დათმობას მურნალობის კონფიდენციალური ინფორმაციაც მიჰყებოდა და ეს ყველაფერი ექიმის საექიმო დუმილის ვალდებულებასთან (ქართული კანონმდებლობაც ითვალისწინებს ანალოგიურ დანაწესს – იხ. პაციენტის უფლებების შესახებ კანონის 27-ე მუხლი) შეუსაბამობაში მოდიოდა. შესაბამისად, აქ სახეზე იქნებოდა მოთხოვნის დათმობა, რომელიც ამკრძალავ ნორმას ენინააღმდეგება. პაციენტის მიმართ მოთხოვნის უფლება ისევ ექიმ "მ" –ს დარჩებოდა.

– იხ. პაციენტის უფლებების შესახებ კანონის 27-ე მუხლი) შეუსაბამობაში მოდიოდა. შესაბამისად, აქ სახეზე იქნებოდა მოთხოვნის დათმობა, რომელიც ამკრძალავ ნორმას ენინააღმდეგება. პაციენტის მიმართ მოთხოვნის უფლება ისევ ექიმ "მ" –ს დარჩებოდა.

## ბ) ცედენტი - მოთხოვნის მფლობელი

მოთხოვნის დათმობის წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ ცედენტი მოთხოვნის მესაკუთრე უნდა იყოს. ეს გულისხმობს, რომ მოთხოვნა, როგორც ნამდვილი უნდა არსებობდეს და ძველ კრედიტორს ეკუთვნოდეს (და არა მესამე პირს). იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ არსებობს ან ცედენტი არ არის მისი მესაკუთრე (მფლობელი), ახალი კრედიტორი ვერ შეიძენს მას. ნივთებისგან განსხვავებით მოთხოვნებთან მიმართებაში არ მოქმედებს (როგორც წესი) კეთილსინდისიერი შეძენის ინსტიტუტი. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია კეთილსინდისიერი შეძენაც იყოს მოცემული, განსაკუთრებით ფასიანი ქალალდების შემთხვევაში და ზოგადად, ისეთი უფლებების შეძენისას, რომელთა არსებობაც სამართლებრივი დოკუმენტით (მაგ. მოწმობა) დასტურდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ცედენტი არ არის მოთხოვნის მესაკუთრე, მაშინ მოთხოვნის დათმობა მაინც შეიძლება ნამდ-

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N ას-400-380-2011, 11.01.2012.

9. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებიდან (BGHZ 116, 268; BGH NJW 1993, 2371).

ვილი გახდეს სკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს<sup>10</sup>.

### გ) მოთხოვნის განსაზღვრულობა

სამართლებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე, მოთხოვნის დათმობის ყველა შემთხვევისას უნდა დგინდებოდეს, თუ რომელი მოთხოვნის დათმობა ხდება. სწორედ ამიტომ მოქმედებს მოთხოვნათა დათმობის შემთხვევებისთვის ე.ნ. განსაზღვრულობის პრინციპი: დათმობილი მოთხოვნები მხარეთა მიერ ისე ზუსტად უნდა იყოს აღწერილი, რომ შესაძლებელი იყოს მათი ინდივიდუალურობის დადგენა (განსაზღვრა). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განსაზღვრულობის პრინციპს სამომავლო მოთხოვნების დათმობისას. მათ შემთხვევაში არაუგვიანეს მათი წარმოშობისა უნდა დადგინდეს, მოიაზრებიან ისინი მოთხოვნის დათმობაში თუ არა<sup>11</sup>.

ძირითად შემთხვევებში, შესაძლებელია, ასევე, სამომავლო მოთხოვნების დათმობა მათ წარმოშობამდე, თუ ისინი საკმარისად განსაზღვრულია. თუმცა, დათმობა ნამდვილი ხდება მხოლოდ მათი წარმოშობიდან<sup>12</sup>.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოთხოვნათა განსაზღვრულობას სრული ცესიის დროს, როდესაც ძველი კრედიტორი თავის ყველა (ხშირად სამომავლო) მოთხოვნას თმობს. ამ დროს, როგორც წესი, მოთხოვნათა ერთობლიობის აღნიშვნა გარკვეული კრებითი მინიშნებით ხდება. ეს ზოგადი მინიშნება უნდა იძლეოდეს იმის დადგენის შესაძლებლობას, თუ რომელი კონკრეტული მოთხოვნა მოიაზრება მასში და რომელი არა. აქვე უნდა ვახსენოთ, გერმანიაში უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკა სრული ცესიის დროს უზრუნველყოფის გადამეტების შემთხვევებთან დაკავშირებით, რაც მოთხოვნის დამთმობის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ბოჭვას იწვევს და შესაბამისად ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამობის გამო ბათილად იქნა აღიარებული. ამ საკითხს დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით.

### დ) მოთხოვნის გადაცემადობა

ზოგადი თვალსაზრისით, ყველა მოთხოვნა დათმობადია, თუმცა, კანონი ითვალისწინებს ასევე გამონაკლისებს, რომელთა მიხედვითაც მოთხოვნის გადაცემა დაუშვებელია. თუ მოთხოვნა არ არის გადაცემადი, შესაბამისად, დათმობის ხელშეკრულებაც არანამდვილი იქნება. ამდენად, კრედიტორთა ცვლილება არ გვექნება სახეზე. კაუზალური გარიგების ბედი ამ დროს ზოგადი ნორმების მიხედვით წყდება. ყველა შემთხვევაში, დათმობის კანონისმიერი გამორიცხვისას, კაუზალური გარიგება თავიდანვე შეუძლებელი ქმედების განხორციელებაზე მიმართული. იგი ნამდვილია, თუმცა, ცედენტს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო შესრულების ვალდებულება არ ეკისრება.

არსებობს მოთხოვნის გადაცემის გამორიცხვის ორი ძირითადი კატეგორია: კანონისმიერი და გარიგებით. სამოქალაქო კოდექსი შეიცავს მოთხოვნის დათმობის გამომრიცხავ სპეციალურ ნორმებს. ამის მაგალითად შევიძლია სკ-ის 253-ე მუხლი მოვიყვანოთ, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია პირადი სერვიტუტის სხვა პირისათვის გადაცემა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისთვის უცნობია, თუმცა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 400 ითვალისწინებს ისეთი მოთხოვნების დათმობის დაუშვებლობას, რომლებიც დაყადაღებას არ ექვემდებარებიან. დაუყადაღებელი მოთხოვნების ჩამონათვალს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 850 და მისი მომდევნო პარაგრა-

10. MünchKomm-Roth § 398-ის 27-ე ველი.

11. BGHZ 7, 365; BGH NJW 1985, 800 (802).

12. BGHZ 30, 238 (239f.); BGH NJW 1985, 800 (802).

ფები. ასეთი რეგულირების მიზანია, უზრუნველყოს კრედიტორის საარსებო მინიმუმი<sup>13</sup>. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოსავლის (ხელფასის) განსაზღვრული ოდენობით დაუყადაღებლობის დანაწესი, ასევე საპენსიო მოთხოვნის დაყადაღების დაუშვებლობა და ა.შ. საქართველოს სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ კანონის 45-ე მუხლი შეიცავს იმ ნივთების ჩამონათვალს, რომელიც მოვალეს არ შეიძლება დაუყადაღდეს. ამავე მუხლი მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით არ შეიძლება დაყადაღდეს პირის საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ მდგარი შემოსავალი/ქონება, მათ შორის, მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, მიზანშენონილი იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც დარეგულირებულიყო გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 400-ის მსგავსი რეგულირება.

მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია იმდენად, რამდენადც ეს ვალდებულების არსს ენინააღდეგება (სკ-ის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი აღტერნატივა). ეს შეეხება, უპირველეს ყოვლისა, შემთხვევებს, როდესაც მოთხოვნის დათმობა ვალდებულების შინაარსის ცვლილებას იწვევს. ასევე, აქვე მოიაზრება ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ მოთხოვნები. იმ მოთხოვნების დათმობა, რომლებიც მიბმულია რაიმე მიზანზე, შესაძლებელია მხოლოდ ამ მიზნის გათვალისწინებით<sup>14</sup>.

მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდანაც გამომდინარეობდეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის პიროვნებასთან დაკავშირებული (უკიდურესად პირადი) მოთხოვნების შემთხვევა. ასეთ მოთხოვნებს მიეკუთვნება არამარტო საოჯახო სამართლიდან გამომდინარე, მაგალითად, მშობელთა და შვილთა ურთიერთზრუნვის ვალდებულებები, არამედ, ასევე, ისეთი სახელშეკრულებო მოთხოვნები, რომელთა დათმობის დროსაც ნარმომადგენლობით პრობლემებს ვაწყდებით (მაგ. ექიმის მიერ ოპერაციის ჩატარება, ადვოკატის კონსულტაცია და ა.შ.). მოთხოვნის დათმობის ასეთი სახით დაუშვებლობა რომელი სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს, სკ-ის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი აღტერნატივიდან, თუ პიროვნებასთან დაკავშირებული მოთხოვნის სამართლებრივი ბუნებიდან, უმნიშვნელოა.

პრობლემურია რეგულაციური უფლებების დათმობის საკითხი. გერმანიაში არსებობს ერთიანი მიდგომა, რომ დამოუკიდებელი რეგულაციური უფლებები (მაგ. ქართულ სამართალში ასეთი იქნებოდა გამოსყიდვის უფლება სკ-ის 509-ე მუხლის მიხედვით) დამოუკიდებლად შეიძლება იქნეს დათმობილი<sup>15</sup>. იგივე წესი შეიძლება გავავრცელოთ ორმხრივი ხელშეკრულების დროს ხელშეკრულების შეწყვეტისა და გასვლის უფლებების მიმართ, თუ ისინი განსაზღვრულ მოთხოვნაზე იმპერატიულად არ არიან მიბმულნი. ამისგან განსხვავებით, შეცილების უფლება მიიჩნევა არადათმობადად, ვინაიდან იგი უკიდურესად პირადი უფლებაა.

ბოლო შემთხვევა, როდესაც მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია, არის, თუ თავდაპირველი კრედიტორი და მოვალე ამაზე შეთანხმდებიან (სკ-ის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 აღტერნატივა). მსგავსი აკრძალვის (*pactum de non cedento*) შედეგია ის, რომ მოთხოვნა თავიდანვე იმ თვისობრიობით ნარმომაბა, რომ იგი გადაცემას არ ექვემდებარება. შესაბამისად, ასეთი მოთხოვნის დათმობა აპსოლუტურად ნებისმიერი პირის წინაშე არანამდვილია. დათმობის აკრძალვა მოვალეს იცავს აკონტროლოს კრედიტორთა ცვლილება. 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება შეიცავს კრედიტორისა და მოვალის ასეთი მოთხოვნის დათმობის შესახებ შეთანხმების გაფორმების წინაპირობას. კერძოდ, მოცემული უნდა იყოს მოვალის პატივსადები მიზეზი, კრედიტორმა და მოვალემ რომ შეძლონ დათმობის აკრძალვაზე შეთანხმება. ამის შეთანხმება შესაძლებელია მკაფიოდ ან კონკლუდენტურად და

13. Larenz, Schuldrecht I, § 34 II 4, Esser/Schmidt, Schuldrecht I/2, § 37 I 2e.

14. BGH, WM 1978, 553; BGH NJW 1995, 323.

15. BGH, NJW 2003, 1858 (1859).

ასევე, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით. სკ-ის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 ალტერნატივის საფუძველზე არანამდვილი დათმობა შესაძლებელია გახდეს ნამდვილი, თუ მოვალე მოვინანებით დათმობაზე თავის თანხმობას განაცხადებს. თუმცა, სადაოა, რა მომენტიდან ხდება მოთხოვნის დათმობა ნამდვილი, მისი გაფორმების მომენტიდან თუ **ex nunc**, ანუ მოწონების მომენტიდან. ამ შემთხვევაში გერმანიაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იზიარებს **ex nunc** მოქმედების დადგომას იმ არგუმენტით, რომ მოწონება წარმოადგენს მოთხოვნის დათმობის სახელშეკრულებო აკრძალვის გაუქმებას<sup>16</sup>.

### 3.6. მოთხოვნის დათმობის შედეგები

მოთხოვნის დათმობის შედეგად მოთხოვნის მფლობელი მესამე პირი (ცესიონერი) ხდება (სკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ძველ კრედიტორს აღარ შეუძლია დათმობილი მოთხოვნა კვლავ განკარგოს და ის ხელმეორედ დათმოს, ვინაიდან იგი უკვე ამ მოთხოვნის მფლობელი აღარ არის. შესაბამისად, მრავალჯერადი დათმობის შემთხვევებში მოქმედებს ე.წ. პრიორიტეტულობის პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ პირველი დათმობა ითვლება ნამდვილად, ხოლო შემდგომ ყველა დანარჩენი სამართლებრივი შედეგის მომტანი ველარ იქნება (სკ-ის 202-ე მუხლის 1-ლი ნინადადება). იმ შემთხვევაში, თუ რამოდენიმე პირს შორის ვერ დაინდება რიგითობა, მაშინ უპირატესობა ენიჭება იმას, ვის შესახებაც მოვალე პირველი შეიტყობს (სკ-ის 202-ე მუხლის მე-2 ნინადადება). ნამდვილი დათმობის შემდგომ, როგორც წესი, ძველ კრედიტორს უფლება აღარ აქვს, მოთხოვნა განახორციელოს და შესრულება მიიღოს. სხვა წესი მოქმედებს, თუ ცესიონერი მას ამის უფლებას საგანგებოდ მიანიჭებს.

სკ-ის 201-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს მოთხოვნის დათმობის შედეგად ახალ მფლობელზე მოთხოვნასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის საშუალებებისა და სხვა უფლებების გადასვლას. აქ, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება ისეთი უზრუნველყოფის საშუალებებისა და უფლებების გადასვლა, რომელთაც აქცესორული ბუნება გააჩნიათ და მყარად არიან მოთხოვნასთან დაკავშირებული (ცნებისთვის იხ. სკ-ის 153-ე მუხლი). გერმანული სამოქალაქო კოდექსი § 401-ის სახით<sup>17</sup> ითვალისწინებს მხოლოდ აქცესორული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების გადასვლას. არააქცესორული უზრუნველყოფის საშუალები გერმანულ § 401-ში არ მოიაზრება. ქართული ნორმა არ აკონკრეტებს, თუ რა სახის უზრუნველყოფის საშუალებები მოიაზრება სკ-ის 201-ე მუხლში. თუმცა, გერმანულ კანონმდებლობასთან ანალოგიის გავლების გზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკ-ის 201-ე მუხლში არააქცესორული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები (მაგ. საპანკო გარანტია) ნაკლებად უნდა მოიაზრებოდეს, ვინაიდან მათ მოთხოვნასთან მჭიდრო კავშირი არ გააჩნიათ და მათი გადაცემა მოთხოვნისგან დამოუკიდებლად უნდა განხორციელდეს.

ცედენტისთვის მოთხოვნის დათმობა განსაზღვრულ დამატებით ვალდებულებებს წარმოშობს. მან ცესიონერს უნდა მიაწოდოს მოთხოვნის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც მოთხოვნის არსებობას ადასტურებს (სკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი). 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს მოთხოვნის დათმობის შესახებ ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტის გადაცემის ვალდებულებას. აღნიშნული ემსახურება ცესიონერისთვის სამართლებრივი უსაფრთხოების შექმნას. დოკუმენტის გაცემის ხარჯები ცესიონერს ეკისრება.

16. BGHZ 70, 299 (303); 108, 172 (176f.).

17. "დათმობილ მოთხოვნასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის მის უზრუნველსაყოფად არსებული იპოთეკები, საზღვაო ხომალდის იპოთეკები ან გირავნების უფლებები ისევე, როგორც მოთხოვნის საუზრუნველყოფიდ დადგენილი თავდებობიდან გამომდინარე უფლებები".

### 3.7. მოთხოვნის დათმობის განსაკუთრებული მოდელები

სკ-ის 199-ე მუხლი და მისი მომდევნო მუხლები მოთხოვნის დათმობის კლასიკურ შემთხვევას ეხება, თუმცა, შესაძლებელია მოთხოვნის დათმობის უკან სულ სხვა ეკონომიკური მიზნები იდგეს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვინიშნოთ, რომ თვითონ მოთხოვნა ეკონომიკურ ღირებულებას წარმოადგენს. ამის გამო შესაძლებელია მისი დაინტერესებულ პირებზე გაყიდვა (მოთხოვნის გაყიდვა), ასევე, შესაძლებელია, იგი იქნას გამოყენებული, როგორც კრედიტორების მიმართ გადახდის საშუალება. ხოლო ბოლო პერიოდში მოთხოვნამ, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნის დათმობით ცესიონერის გამოყენებით შესრულების ამოღებაც კი გახდა შესაძლებელი. ეს უკანასკნელი ე.წ. საინკასო საქმიანობის ფორმით არის ცნობილი.

#### ა) უზრუნველყოფილი ცესია (ფიდუაციარული მოთხოვნის დათმობა)

უზრუნველყოფილი ცესიის დროს დათმობილი მოთხოვნა ემსახურება რაიმე სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფას. იმ შემთხვევაში, თუ ცედენტი (უზრუნველყოფის გამცემი) არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ცესიონერის (უზრუნველყოფის მიმღების) მიმართ, ამ უკანასკნელს უფლება ექნება დათმობილი მოთხოვნით დაკმაყოფილდეს. ამ დროს დათმობილი მოხვევნა დაიკავებს შესრულების ადგილს, ცესიონერი თავის მოთხოვნას დაიკმაყოფილებს ცედენტის დათმობილი მოთხოვნის რეალიზაციით და ამონაგებს დაუბრუნებს მას. ამ წესის მიხედვით ახდენენ საკრედიტო ინსტიტუტები თავიანთი სასესხო მოთხოვნების მოთხოვნის დათმობით უზრუნველყოფას. კანონი არ შეიცავს რაიმე დანაწესს უზრუნველყოფილი ცესიის შესახებ. მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შესაძლებლობას ვხვდებით მხოლოდ გირავნობის შესახებ ნორმებში (სკ-ის 254-ე მუხლის 1-ლი, მე-4<sup>1</sup>, მე-5 ნაწილები). მოთხოვნის დათმობისაგან განსხვავებით, მოთხოვნის დაგირავება მოითხოვს წერილობითი ფორმით დადებას და მის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში (სკ-ის 259-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუმცა, როგორც წესი, უზრუნველყოფის გამცემს ასეთი საჯაროობის თავიდან აცილება სურს, რაც უზრუნველყოფილი ცესით უფრო მეტად არის გარანტირებული. აქვე უნდა ითქვას, რომ უზრუნველყოფილი ცესია გირავნობისგან განსხვავებით არაა ცესორული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, რაც მის მოქნილობაზე მეტყველებს.

უზრუნველყოფილი ცესიის შედეგად უზრუნველყოფის მიმღები (მაგ. ბანეკი) მოთხოვნის მფლობელი (მესაკუთრე) ხდება. უზრუნველყოფის გამცემსა და მიმღებს შორის შიდა ურთიერთობა, (უფლებები და ვალდებულებები) ვალდებულებით—სამართლებრივი შეთანხმებით, ე.წ. უზრუნველყოფის შესახებ დათქმით რეგულირდება. მაგალითად, ეს დათქმა არეგულირებს, თუ რა პირობების დადგომის შემთხვევაში შეძლებს უზრუნველყოფის მიმღები მოთხოვნის განხორციელებას და შესრულების მიღებას. ამ დათქმაშივე შეიძლება დადგინდეს, რომ მოთხოვნა უზრუნველყოფის მიზნის მოსპობისას (მაგ. უზრუნველყოფილი ცესიის სესხის სრულად უკან დაბრუნებისას) ავტომატურად ისევ უზრუნველყოფის გამცემის მფლობელობაში დაბრუნდება. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმებიდან მოთხოვნის უკან დაბრუნების შესახებ არაფერი დგინდება, როგორც წესი, საჭიროა ცესიონერის მიერ მოთხოვნის უკან დაბრუნების თაობაზე მკაფიო წების გამოვლენა. უზრუნველყოფის ხელშეკრულებაში განსაზღვრული უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომამდე (მაგ. კრედიტის გადაუხდელობა) ივარაუდება, რომ ცედენტს თავისი დათმობილი მოთხოვნის განხორციელება და სახელშეკრულებო უფლებების გამოყენება შეუძლია (მაგ. გაფრთხილება, ვადის მიცემა). გერმანიაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფილი ცესიის ხელშეკრულება დავის შემთხვევაში გადასაზღვრობს უკან დაბრუნების შეძლებას და მიმღების მოსპობისას გამოვლენა. უზრუნველყოფის განსაზღვრული უზრუნველყოფილი შემთხვევის დადგომამდე (მაგ. კრედიტის გადაუხდელობა) ივარაუდება, რომ ცედენტს თავისი დათმობილი მოთხოვნის განხორციელება და სახელშეკრულებო უფლებების გამოყენება შეუძლია (მაგ. გაფრთხილება, ვადის მიცემა). გერმანიაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს, რომ უზრუნველყოფილი ცესიის ხელშეკრულება დავის შემთხვევაში გადასაზღვრობს უკან დაბრუნების შეძლებას და მიმღების მოსპობისას გამოვლენა.

ხვევაში ისე უნდა განიმარტოს, რომ მოთხოვნის დათმობა დადებულია უზრუნველყოფილი მოთხოვნის სამომავლო წარმოშობის პირობით (მაგალითად სესხის მოთხოვნის), ხოლო მისი შეწყვეტა - უზრუნველყოფილი მოთხოვნის გაუქმებით<sup>18</sup>.

მხარეთა მიერ უზრუნველყოფის შესახებ დათქმა წარმოადგენს უზრუნველყოფილი ცესის დამფუძნებელ კაუზალურ გარიგებას. ვინაიდან მოთხოვნის დათმობა როგორც განკარგვა, ასტრაქტულია, შეთანხმების ნაკლი არ ახდენს ზემოქმედებას მოთხოვნის დათმობის ნამდვილობაზე.

უზრუნველყოფილი ცესია სხვადასხვა მიზეზის გამო შესაძლოა ზნეობრივ ნორმებთან შეუსაბამობის გამო ბათილი იყოს. განსაკუთრებით პრობლემური შესაძლოა აღმოჩნდეს მოთხოვნათა შაბლონური დათმობები, რომელთა მიხედვითაც მხარე თავის მოთხოვნებს სრულად თმობს (მაგ. „ვთმობ ფირმა „X“-თან ბიზნეს ურთიერთობაში არსებულ ყველა მოთხოვნას“ ან „ვთმობ 50 000 ლარამდე ყველა მოთხოვნას“). ასეთი სრული ცესისას არებობს უზრუნველყოფის გადამეტების საფრთხე. გერმანიაში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა ასეთი შემთხვევებისთვის მოითხოვს უზრუნველყოფის მიმღებისგან მოთხოვნათა დათმობის ხელშეკრულებაში გონივრული ზღვრის შესახებ დათქმის გაკეთებას და დისკრეციისგან დამოუკიდებელ მოთხოვნათა „გათავისუფლების“ შესაძლებლობას, რადგან უზრუნველყოფის გამცემმა თავისი ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელება შეძლოს და მოთხოვნათა სრული დათმობით არ მოხდეს მისი ეკონომიკური საქმიანობის „შებოჭვა“.

### ბ) საინკასო ცესია

საინკასო ცესის დროს მოთხოვნა გადაეცემა ახალ კრედიტორს, რათა ამ უკანასკნელმა მოთხოვნა მოვალის მიმართ განახორციელოს და შესრულება ამოილოს. მოთხოვნის შემძენი ასეთ შემთხვევებში ხშირად საინკასო ბიუროა, რომელიც სპეციალური განხრით მოთხოვნათა ამოღების კუთხით მუშაობს. მოთხოვნის დათმობით ცესიონერი მოთხოვნის სრული მფლობელი ხდება. მას შეუძლია მოთხოვნა თავისი სახელით განახორციელოს და სასამართლოშიც კი იჩივლოს მის ამოსაღებად. ეს უკანასკნელი ნიშანი (საპროცესო უფლებების მინიჭება) წარმოადგენს განმასხვავებელ ნიშანს ამოღების იმ უბრალო უფლებამოსილების მინიჭებისაგან, რომლის თანახმადაც უფლებამოსილი პირი არ არის მოთხოვნის მფლობელი.

## 4. მოვალის გარანტია

სკ-ის 424-ე მუხლში მოცემულია მოვალის გარანტია საკმაოდ ბუნდოვანი რეგულირება. მსგავს ნორმას ვერ ვხვდებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსში და სხვა კოდექსებშიც ის ასეთი ფორმულირებით არ არის მოცემული. სისტემური თვალსაზრისით იგი განთავსებულია მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებების კარში, შესაბამისად იგი არ წარმოადგენს ისეთი ტიპის უზრუნველყოფას, რომელიც ვალდებულების დარღვევისას უზრუნველყოფილ მოთხოვნას ჩანაცვლებდა. გარდა ამისა, იგი წარმოადგენს პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მოვალეს თავად უწევს ქმედების განხორციელება. ნირმა გამოყოფს მოვალის გარანტიის ორ შემადგენლობას. პირველი შემადგენლობის მიხედვით ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოვალემ რაიმე „უპირობო ქმედება“ უნდა განახორციელოს, ხოლო, მეორე შემადგენლობის მიხედვით, მოვალემ უნდა განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც ხელშეკრულების საგანს ცდება. პირველ შემადგენლობაში მოიაზრება უპირველეს ყოვლისა ნივთის თვისობრიობაზე აღებული გარანტიები, რომელთა დარღვევაც მოვალის პასუხისმ-

18. BGH NJW 1982, 275; NJW 1986, 977.

გებლობას უპირობოდ აყენებს. მეორე შემადგენლობაში მოიაზრება შემთხვევები, როდესაც მოვალე კისრულობს ხელშეკრულების საგნისაგან განსხვავებულ ქმედების განხორციელებას: მსესხებელი (რომელიც დურგალია) გამსესხებლისაგან სესხულობს 1000 ლარს, გარანტიად იგი ჰპირდება გამსესხებელს 2000 ლარიან მაგიდის დამზადებას თუ სესხს ვერ დააბრუნებს<sup>19</sup>. ამ შემთხვევაში შეიძლება მაგიდის დამზადება სესხის შესრულების ჩანაცვლებადაც მიგვეჩნია.

## დასკვნა

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს შემთხვევას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ სესხი არ დაბრუნდებოდა „შპს „ნიალისეული“ დაკარგავდა უფლებას კარიერზე და იგი გადავიდოდა მსესხებელ გიორგი მესხის მფლობელობაში“. ხელშეკრულების ამ დებულებიდან ცალსახად ვერ დგინდება, მოთხოვნის უზრუნველყოფის რა სახეზე შეთანხმდნენ მხარეები. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი უზრუნველყოფილი ცესისა და მოვალის გარანტიის წინაპირობების გათვალისწინებითა და ხელშეკრულების განმარტების გზით უნდა ვიმსჯელოთ, თუ რომელი მათგანის წინაპირობები კმაყოფილდება მხარეთა მიერ შეთანხმებული ხელშეკრულების პუნქტით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოვალის გარანტია დარეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 424-ე მუხლში და მის წინაპირობებს წარმოადგენს შემდეგი: მოვალე კისრულობს რაიმე უპირობო მოქმედების შესრულებას ან ისეთი მოქმედების, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს. წორმის წინაპირობებიდან ცალსახად ჩანს, რომ საქმე გვაქვს პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ ვალდებულება დაირღვევა (სესხი არ დაბრუნდება) მოვალე თვითონ განახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელმაც შეიძლება შესრულება ჩაანაცვლოს ან არ ჩაანაცვლოს. ამიტომ ამ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად არ არის მოვალის გარანტიის წინაპირობები სახეზე, ვინაიდან მხარეები არც რაიმე უპირობო მოქმედების შესრულებაზე შეთანხმებულან და არც ისეთ მოქმედებაზე, რომელიც ხელშეკრულების საგანს სცილდება.

მხარეთა მიერ მოთხოვნის დაგირავებაც ცალსახად გამოირიცხება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოთხოვნის დაგირავების წინაპირობა - საჯარო რეესტრში რეგისტრაცია - არ არის მოცემული.

მხარეთა მიერ შეიძლება შეთანხმებული ყოფილიყო უზრუნველყოფილი ცესია (ფიდუციარული მოხვნის დათმობა). უზრუნველყოფილი ცესის წინაპირობები როგორც ზემოთ განვიხილეთ შემდეგია: 1. უზრუნველყოფილი ცესის შესახებ შეთანხმება, რაც გულისხმობს: მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ცედენტი ცესიონერს გადასცემს თავის მოთხოვნას, რის შედეგადაც ცესიონერი ხდება მოთხოვნის მფლობელი (მესაკუთრე!); უზრუნველყოფილი ცესის სახელშეკრულებო დათქმაში განისაზღვრება თუ როდის შეუძლია ცესიონერს მოთხოვნის განხორციელება და შესრულების მიღება და როდის არის იგი ვალდებული ისევ უკან დაუბრუნოს მოთხოვნა ცედენტს მფლობელობაში; 2. მოთხოვნა, რომლის დათმობაც ხდება უზრუნველყოფის მიზნით, უნდა იყოს გადაცემადი; 3. მოთხოვნა უნდა ეკუთვნოდეს ცედენტს; 4. დათმობილი მოთხოვნა უნდა იყოს განსაზღვრული.

ცედენტის მიერ მოთხოვნის მფლობელობისა და განსაზღვრულობის წინაპირობები შესრულებულია. „შპს „ნიალისეულმა“ ლიცენზია მოიპოვა 2007 წლის 19 ოქტომბერს და ლიცენზიაც ხელშეკრულების დადების მომენტში საკმარისად განსაზღვრული იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი შეძენა მოგვიანებით მოხდა (სამომავლო მოთხოვნის დათ-

19. ზოიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2001, წიგნი მე-3, გვ. 505.

მობა). პრობლემური შეიძლება იყოს მოთხოვნის გადაცემადობა, თუმცა, „ლიცენზიები-სა და ნებართვების შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი ლიცენზიის სრულ ან ნაწილობრივ დათმობას შესაძლებლად მიიჩნევს.

პრობლემას ვაწყდებით ყველაზე მთავარი წინაპირობის უზრუნველყოფილი ცესის სახელშეკრულებო დათქმასთან დაკავშირებით. შემთხვევის ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ ხელშეკრულების მხარეებს ხელშეკრულების დადების მომენტში საერთოდ არ ჰქონდათ გამიზნული ის, რომ გიორგი მესხზე დათმობილიყო მოთხოვნა, ანუ ის გამხდარიყო მოთხოვნის მფლობელი თავიდანვე იმ პირობით, რომ თუ „შპს „წიაღისეული“ სესხს არ დააბრუნებდა, იგი მოთხოვნის რეალიზაციას მოახდენდა, დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნას და ამონაგებს უკან დაუბრუნებდა „შპს „წიაღისეულს“. უფრო მეტიც, მხარეთა შეთანხმება ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ გიორგი მესხს სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ლიზნებიაზე უფლების უპირობოდ მიღება სურდა და არა მისით დაკმაყოფილება ან უკან გადმოცემა. მხარეთა მიერ იმპერატიულად იქნა განსაზღვრული – „არ გადამიხდი, - ლიცენზია ჩემი გახდება“. აქვე გაურკვეველია ძირითადი ვალდებულების ბედიც, ანაცვლებს კი ლიცენზიაზე უფლების გადაცემა გიორგი მესხისადმი სესხის დაბრუნების ვალდებულებას, ეს მხარეთა შეთანხმებიდან არ ჩანს. ნორმის ასეთი იმპერატიული დანაწესი უფრო ნაკლებად წააგავს უზრუნველყოფილი ცესის დათმობის ბუნებას, რომელიც „მინდობილ“ ურთიერთობას აფუძნებს, მარტივად რომ ვთქვათ: უზრუნველყოფის მიზნით ცესიონერი (გიორგი მესხი) იღებს მფლობელობაში მოთხოვნას, ცედენტი თუ შეასრულებს ვალდებულებას, მას მოთხოვნა დაუბრუნდება ავტომატურად ან ცესიონერი გადასცემს მას (გააჩნია შეთანხმებას). იმ შემთხვევაში, თუ ცედენტი („შპს „წიაღისეული“) არ შეასრულებს ვალდებულებას, ცესიონერი უკვე მოთხოვნის მფლობელია, იგი მოახდენს ამ მოთხოვნის რეალიზაციას (შესრულებას მიიღებს, აუქციონზე გაყიდის უფლებას და ა.შ.), დაიმაყოფილებს მოთხოვნას და ამონაგებს დაუბრუნებს ცედენტს, ვინაიდან შესაძლოა რეალიზებული ქონება გაცილებით მეტი ლირებულების იყოს, ვიდრე ცედენტის ვალი ცესიონერის მიმართ და ამან ცესიონერის უსაფუძვლოდ გამდიდრება გამოიწვიოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თუ „შპს „წიაღისეული“ ლიცენზიას გიორგი მესხს დაუთმობდა, იგი ამით დაკარგავდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესაძლებლობას. ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა, თუ გიორგი მესხი და ის უზრუნველყოფილი ცესის დათქმის ფარგლებში შეთანხმებოდნენ, რომ „შპს „წიაღისეული“ უფლების განხორციელების და შესრულების ამოღების უფლებამოსილებას შეინარჩუნებდა.

ამრიგად, მხარეთა შეთანხმების გაანალიზებით ვასკვნით, რომ მხარეებს ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის გაფორმება ნაკლებად წარმოედგინათ, არამედ შეთანხმდნენ, რომ გადაუხდელობა გამოიწვევდა ლიცენზიაზე უფლების ერთიდან მეორის საკუთრებაში გადასვლას.

ასეთი სახის ურთიერთობა ყველაზე მეტად წააგავს პირგასამტებლოს სამართლებრივ ბუნებას (სკ-ის 417-ე მუხლი), სადაც მხარეებმა ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში არა ფულადი თანხა განსაზღვრეს, როგორც ამას სკ-ის 417-ე მუხლი მოითხოვს, არამედ ლიცენზიაზე უფლების გადაცემა. ამ კუთხით განხილვისას ვაწყდებით შემდეგ პრობლემას: თუ მხარეთა შეთანხმებას პირგასამტებლოს სამართლებრივი ბუნება გააჩნია, მაშინ რა ბედი ეწევა ძირითად ვალდებულებას? ჩაანაცვლებს ლიცენზიაზე უფლების გადაცემა სესხის მოთხოვნას? პირგასამტებლო მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებაა და იგი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისას მას არ ანაცვლებს, არამედ იგი ემსახურება მიზანს, მოვალე „აიძულოს“ დროულად შეასრულოს ვალდებულება.

თუმცა, შესაძლებელია, ზედა აბზაცის იდეა განვავრცოთ და ვივარაუდოთ, რომ მხარეებს ლიცენზიაზე უფლების გადაცემით სესხის მოთხოვნის შეწყვეტაც სურდათ. ლიცენ-

ზიაზე უფლებას უნდა დაეკავებინა სესხის დაპრუნების ვალდებულების ადგილი. ანუ ეს კონკრეტულად ის შემთხვევა იქნებოდა, როდესაც „სესხი“ გადაუხდელობის შემთხვევაში ლიცენზიის შეძენის ხელშეკრულებაში „გადაიზრდებოდა“ (სასესხო თანხა როგორც ნასყიდობის ფასი). ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში ამის შეთანხმებაც შესაძლებელი იქნებოდა. ეს ერთმნიშვნელოვნად ხელშეკრულების განმარტების საკითხია, რომელიც პროცესუალურად (მხარეთა დაკითხვით) უნდა დადგინდეს და მისი განმარტება მხოლოდ ხელშეკრულების ამ ტექსტის გამოყენებით შეუძლებელია.

დავუბრუნდეთ ისევ უზრუნველყოფილი ცესის წინაპირობებს. თუ ხელშეკრულების ნორმის განმარტებით დადგინდებოდა, რომ მხარეთა შეთანხმება მართლაც სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფას და ამისათვის მოთხოვნის დათმობას ისახავდა მიზნად, მაშინ ეს მხოლოდ გადადებული პირობით იქნებოდა შესაძლებელი. ანუ ჩავთვალოთ, რომ მხარეებმა მოთხოვნის დათმობის მომენტად განსაზღვრეს ის მომენტი, როდესაც უშუალოდ დაირღვეოდა ვალდებულება. ეს სკანი 90-ე მუხლის თანახმად დასაშვებია, თუმცა, გვექნებოდა შემდეგი სიტუაცია: 2007 წლის 1 სექტემბერს გაფორმდა ხელშეკრულება; სესხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 2008 წლის 8 ოქტომბერი; 2008 წლის 8 ოქტომბერს სესხის დაბრუნება გახდა ვადამოსული; „შპს „ნიალისეულმა“ არ დააპრუნა სესხი და შეთანხმებული პროცენტი; პირობითად ვალდებულების დარღვევის დროდ განისაზღვრა 2008 წლის 8 ოქტომბერი და შესაბამისად, ამ დროს წარმოეშვა „შპს „ნიალისეულს“ გიორგი მესხისადმი ლიცენზიის გადაცემის ვალდებულება. ერთი შეხედვით ასეთი კონსტრუქცია შესაძლებელი იქნებოდა, თუმცა არალოგიკური. 2007 წლის 1 სექტემბრიდან 2008 წლის 8 ოქტომბრამდე „შპს „ნიალისეული“ რჩება ლიცენზიის მფლობელი (მესაჟურნალი), რაც მას უფლებას აძლევს მოთხოვნა თუნდაც სხვას დაუთმოს. ამის საწინააღმდეგო შესაგებელს გიორგი მესხი ვერ წარუდგენდა მას. შესაბამისად, მოთხოვნის ასეთი სახით უზრუნველყოფას აზრი ეკარგება. რაღა უზრუნველყოფა გვექნება, თუკი უზრუნველყოფის საშუალება (მოთხოვნა) ისევ გასხვისებადია და მას დატვირთული უფლება არ გადაჰყება? გარდა ამისა, ვანყდებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრაქტიკულ პრობლემას. რა მოხდებოდა თუ 01.09.2007-სა და 08.09.2008 შორის პერიოდში გაკოტრების წარმოება დაიწყებოდა „შპს „ნიალისეულის“ მიმართ? ამ დროს ლიცენზიას შეიტანდნენ გაკოტრების მასაში და გიორგი მესხი, შესაძლოა, რიგითობით ბოლო კრედიტორი აღმოჩენილიყო სხვა კრედიტორთა შორის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ 01.09.2007-ს ხელშეკრულების დადებისას, „შპს „ნიალისეული“ გიორგი მესხზე დათმობდა მოთხოვნას, „შპს „ნიალისეული“ რომც გაკოტრებულიყო, გიორგი მესხს შეეძლებოდა ლიცენზიაზე უფლება გაკოტრების მასიდან გამოეთიშა, ვინაიდან იგი იქნებოდა მოთხოვნის მფლობელი და არა „შპს „ნიალისეული“.“

მაშასადამე, უზრუნველყოფილი ცესის ასეთი კუთხით განხილვაც არაპერსპექტიულია. ეს ვერ ჩაითვლება მისი ბუნების შესაბამისად, რომელიც მის პრაქტიკულობას, მხარეთა სამართლებრივ უსაფრთხოებას და მოქნილობას ისახავს მიზნად. სამართლებრივი კვალიფიკაციის კუთხით უფრო უნდა გვეფიქრა მხარეთა მიერ ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში შეთანხმებულ უზრუნველყოფის ატიპურ შემთხვევაზე.

## ქეთევან მესხიშვილი

რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით  
მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს  
სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით  
მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან  
დაკავშირებით „სამოქალაქო წარმოების თავისებურებათა  
მატერიალურ-პროცესუალური ანალიზი“

ორგანიზებული დანაშაული კრიმინალური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული  
და საშიში სახეობაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლი-  
ტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებზე. იგი სერიოზულ საფრთხეს წარმოად-  
გენს საზოგადოებისათვის. თანამედროვე სამყაროში ორგანიზებული დანაშაული სულ  
უფრო და უფრო ტრანსნაციონალურ ხასიათს იღებს, კერძოდ, სხვადასხვა კრიმინალური  
გაერთიანების საქმიანობის სფეროები სცილდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს ფარ-  
გლებს. შესაბამისად, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში სამართლებრივი  
კუთხით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა სახის სამართლებრივ ბერკეტს,  
როგორც სისხლისამართლებრივს, ასევე სამოქალაქოს<sup>1</sup>.

ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლამ საქართველოში განსაკუთრებუ-  
ლად აქტიური ხასიათი 2005-2006 წლებში მიიღო. სწორედ აღნიშნულ ეტაპზე განხორ-  
ციელდა ყველა საკანონმდებლო ცვლილება, რითაც მოხდა პოლიტიკური პროცესების სამართლებრივი რეგლამენტაცია ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში.  
აღნიშნული მიზნით, 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი „ორგანიზებული  
დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, ხოლო ამავე დღეს საქართველოს სისხლის სამართ-  
ლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც მოხდა ქურდული სამყაროს წევრობისა და  
კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაცია<sup>2</sup>.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ სამოქალაქო სამართლებრივ მექანიზმს  
წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **XLIV<sup>1</sup>** თავით გათვალისწი-  
ნებული წარმოება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის,  
ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართვე-  
ლოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრ-  
დებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანია საზოგადოებაში ე.წ.  
ეკონომიკური სამართლიანობის აღდგენა, ორგანიზებული დანაშაულის ჩამდენი პირე-  
ბისათვის ქონების ჩამორთმევა, მისი ნამდვილი მესაკუთრისათვის დაბრუნება ან ასეთის  
არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოსათვის გადაცემა.

1. დ. მესხიშვილი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული  
დანაშაულის წინააღმდეგ“, მართლმსაჯულება და კანონი, №1(28)11, 2011.

2. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე“, №2355, 2005 წლის  
20 დეკემბერი, თბილისი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით<sup>3</sup> განისაზღვრა ქონებრივი უფლებების შეზღუდვის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესი და პირობები, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ კანონიერი ქურდისა და ქურდული სამყაროს წევრისათვის ქონების ჩამორთმევას, არამედ თანამდებობის პირისათვის, ადამიანით მოვაჭრისათვის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობისათვის და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირისათვის ქონების ჩამორთმევას. საინტერესოა, იმ საკითხის გარკვევა, თუ რა ნიშნით მოხდა ზემოჩამოთვლილ დანაშაულობათა სისტემატიზაცია. აღსანიშნავია, რომ მითითებულ დანაშაულობებს განსაკუთრებული ზეგავლენა აქვს ქვეყნის განვითარებაზე, საზოგადოების მსოფლიმედველობის ჩამოყალიბებაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი სიმძიმე, მაშტაბები და ეკონომიკური შედეგები სახელმწიფოსათვის. ჩამოთვლილი დანაშაულობანი იმ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთან საბრძოლველად გარკვეული სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები იქნა შემუშავებული, რათა ეფექტურად განხორციელდეს აღნიშნულ დანაშაულებთან ბრძოლა და დანაშაულის მატერიალური შედეგების აღმოფხვრა.

ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებასთან მიმართებით, საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკის განხილვა და განზოგადება. საკანონმდებლო ცვლილების ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია მის პრაქტიკაში განხორციელებასა და დანერგვაზე. ამდენად, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოიყენება აღნიშნული საკანონმდებლო ნორმები სასამართლო პრაქტიკაში, რა პრობლემები არსებობს ნორმათშეფარდების პროცესში და როგორ არის აღნიშნული საკითხები მოწესრიგებული ერთიანი სასამართლო პრაქტიკით. ამასთან, მიზანშეწონილია, ქონების ჩამორთმევის საკითხი გაანალიზებულ იქნეს როგორც ვიწრო სამართლებრივ ჩარჩოში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმებზე დაყრდნობით, ასევე გლობალურ ქრილში, როგორც ღონისძიება, მიმართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და როგორც ერთ-ერთი ბერკეტი აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან. ამდენად, საკუთრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საკუთრების უფლებას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, მშვიდობიანად ისარგებლოს თავისი საკუთრებით. არ შეიძლება, ვინმეს ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საჯარო ინტერე-

3. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე“, №2355, 2005 წლის 12 დეკემბერი, თბილისი.

სისათვის და კანონითა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით გათვალისწინებული პირობებით, თუმცა, ზემოხსენებული დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს ისეთი კანონები, რომელთაც იგი საჭიროდ თვლის, რათა გა-აკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად ან უზრუნველ-ყოს გადასახადების, შენატანების ან ჯარიმების გადახდის მოკრება<sup>4</sup>.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქ-მის პირველი მუხლი, აღიარებს რა საკუთრების უფლების ხელშეუვალობას, ამასთან, ითვალისწინებს ამავე უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას და სახელმწიფოს უტოვე-ბს უფლებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ, რათა უზრუნველყოს საკუთრების უფლების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბა-მისად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაცული უნდა იყოს საჯარო და კერძო ინტერესის ბალანსი იმგვარად, რომ დაუშვებლად არ იქნეს ხელყოფილი კერძო პირების უფლებები. ბალანსის დაცვის მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების უფლების შეზღუდვის ფარგლებს და იმ საჭიროებას, რამაც აღნიშნული უფლების შეზღუ-დვა განაპირობა. მოცემულ შემთხვევაში, საკუთრების უფლების შეზღუდვა განპირობე-ბულია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საჭიროებითა და აღნიშნული ღონისძიებე-ბის გატარების გარდაუვალობით. აღნიშნული პრინციპი ნათლად არის ასახული საქმეში რაიმონდო იტალიის წინააღმდეგ (Raimondo v. Italy)<sup>5</sup>, სადაც მითითებულია შემდეგი: „სა-სამართლო სრულად აცნობიერებს იმ სიძნელეებს, რომელიც დაკავშირებულია მაფიის წინააღმდეგ ბრძოლასთან. მაფიის უკანონო საქმიანობის შედეგად, როგორიცაა ნარკო-ტიკებით ვაჭრობა, ნარკოტიკების საერთაშორისო გადაზიდვა, აღნიშნულ ორგანიზაციას გააჩნია დიდი კაპიტალბრუნვა, რომელიც, ძირითადად, ინვესტირებულია უძრავ ქონებაში. ქონების ჩამორთმევა, რომელიც შეაჩერებს საეჭვო კაპიტალის ბრუნვას, წარმოადგენს ეფექტურ და საჭირო ზომას ხსენებული ბოროტმოქმედების წინააღმდეგ“.

სახელმწიფო (საქართველომ), თავის მხრივ, სწორედ აღნიშნული უფლება გამოიყ-ნა, როდესაც საკანონმდებლო წესით დაარეგულირა იმ დანაშაულის ჩამდენი პირებისათ-ვის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით ქონების ჩამორთმევა, რომელ დანაშაულთა შედეგები ეკონომიკური თვალსაზრისით, განუსაზღვრელ ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და კერძო პირების ინტერესებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის მი-ხედვით, ქონების ჩამორთმევის თაობაზე სარჩელის აღვრის უფლება აქვს პროკურორს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის განმავლობაში<sup>6</sup>. მნიშვნელოვანია იმ საკი-თხის გარკვევა, თუ რა მოიაზრება განაჩენის კანონიერ ძალად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტში. აღნიშნულ საკითხ-თან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. საქართველოში ბოლო პერიოდში და-მკვიდრებული უახლესი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით განმარტებულ იქნა შემდეგი:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სა-სამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ქონების ჩამორთმე-

4. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი, 1952 წლის 20 მარტი, თარგმანი კორექტირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 9 ივნისის №N 3251 – დადგენილებით.

5. [http://cmisckp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbk&action=html&highlight=Raimondo&session\\_id=93531956&skin=hudoc-en](http://cmisckp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbk&action=html&highlight=Raimondo&session_id=93531956&skin=hudoc-en).

6. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, №3035, 04.05.2010.

ვისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელს აღძრავს პროკურორი სა-სამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ათი წლის ვადაში. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი შესაძლებელია, აღიძრას ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშეწყობასთან დაკავშირებული პირის მიმართ.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ძეველი და ამავე კოდექსის 309<sup>20</sup> მუხლის მე-2 ნაწილის ახალი რედაქციის შინაარსობრივი და ლოგიკური ანალიზიდან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს ზიანის მიყენების ფაქტის დადასტურებისას უდავო მტკიცებულებითი ძალა გააჩნია, ანუ, პრეიუდიციული დანიშნულება შენარჩუნებულია, თუ სასამართლო საქმეს მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანმდევი შედეგების თაობაზე იხილავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს განსხვავებული მოსაზრება, კერძოდ, იქამდე, სანამ საქმეზე არ იქნება გასული გასაჩივრების ვადა ან სანამ საქმე არ მოივლის სამივე ინსტანციას, დაუშვებელია განაჩენი მიჩნეულ იქნას კანონიერ ძალაში შესულად და საფუძვლად დაედოს ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცონბასა და ჩამორთმევას, ვინაიდან, სხვა შემთხვევაში, განაჩენი ძალაშია მხოლოდ პირის მსჯავრდების ნაწილში, განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კი გამხდარია სადაცოდ და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის თანახმად, პირს უფლება აქვს მისი სისხლის სამართლებრივი ბრალდების საქმე განხილულ იქნეს მინიმუმ ორ სა-სამართლო ინსტანციაში. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს პრაქტიკით განიმარტა, რომ სისხლის სამართალწარმოების პარალელურად სამოქალაქო სამართალწარმოების წარმართვა არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს საქმის სისხლის სამართლის წარმოების წესით მინიმუმ ორ ინსტანციაში განხილვის უფლების შეზღუდვად, ვინაიდან ქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოება არ აპროლებს განაჩენის გასაჩივრებას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. გარდა ამისა, სამოქალაქო წესით საქმის განხილვა ცალკე წარმოებაა და აღნიშნული წესით მიღებული გადაწყვეტილებაც ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანმდევი შედეგების სამოქალაქო წესით განხილვა სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შესაძლებელი და აღნიშნული არ გულისხმობს განაჩენის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლების შეზღუდვას ან სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოებისათვის რაიმე დაბრკოლების შექმნას?

სასამართლოს განმარტებით, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>21</sup>-ე მუხლში მითითებული განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს არა იმგვარ კანონიერ ძალას, რომელიც გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება, არამედ კანონიერ ძალას სწორედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის კონტექსტში. შესაბამისად, ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის თაობაზე სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას პროკურორი იძენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის საჯაროდ გამოცხადებისთანავე. აღნიშნული მსჯელობის სამართლებრივი არ-გუმენტაციის მიზნებისათვის სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო წესით საქმის

7. თბილისის სააპელაციო სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 მარტის განჩინება №2ბ/1032-11.

განხილვა ცალკე სამართალწარმოებაა და აღნიშნული წესით მიღებული გადაწყვეტილებაც ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარება. ქონების დაუსაბუთებლად ცნობა, თავისი არსით, წარმოადგენს სახელმწიფოსათვის ან/და კერძო პირებისათვის დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, თუმცა, განსხვავებით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სხვა საქმეებისაგან, აღნიშნული კატეგორიის დავებზე აუცილებელია, რომ მინიმუმ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მაინც იყოს განაჩენი გამოტანილი და საჯაროდ გამოცხადებული. ამგვარი დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2</sup>-ე მუხლის ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ ქონების დაუსაბუთებლად ცნობასთან და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურორი სარჩელის აღვრის უფლებას იძნეს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე. ამდენად, სასამართლო პრაქტიკით არ იქნა გაზიარებული არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დაუშვებელია იმ განაჩენზე დაყრდნობით ქონების დაუსაბუთებლად მიჩნევა და ჩამორთმევა, რომელი განაჩენიც საბოლოო არ არის და ჯერ კიდევ გასაჩივრებას ექვემდებარება. აღნიშნული პიზიციის საპირისპიროდ, სასამართლო პრაქტიკით განმარტებულ იქნა, რომ სისხლის სამართლის საქმის ინსტანციური წესით მიმდინარეობის პარალელურად სამოქალაქო საქმის განხილვა დანაშაულით მიყენებული ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებით სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მიზნით არის გამართლებული, მითუმეტეს, რომ ამით არ ილახება მხარის არც მატერიალური და არც საპროცესო უფლება. აღსანიშნავია, რომ ქონების დაუსაბუთებლად ცნობა და ჩამორთმევა ასევე სამი ინსტანციის მიერ იხილება და შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე ესა თუ ის ცვლილება მხედველობაში მიიღება. ამასთან, კიდეც, რომ თეორიულად იქნეს დაშვებული შესაძლებლობა იმისა, რომ ქონების დაუსაბუთებლად ცნობა და ჩამორთმევა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უფრო სწრაფად ამოწურავს სამ ინსტანციას, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული განაჩენი, ამ შემთხვევაშიც არსებობს საპროცესო სამართლებრივი მექანიზმი იმისა, რომ აღნიშნულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო<sup>3</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ცვლილების პრაქტიკაში დანერგვის შედეგად, განმარტებულ იქნა, რომ ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიჩნევის თაობაზე სამოქალაქო საქმის წარმოება შესაძლებელია მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლო გამოიტანს განაჩენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულობებისათვის პირთა მსჯავრდების თაობაზე და აღნიშნული სახით ნორმის განმარტება, პირველ რიგში, განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, ვინაიდან, ქონება, რომელიც უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია, შეიძლება გასხვისებულ იქნას და აღნიშნული საფუძვლით შემდგომი ეკონომიკური სამართლიანობის აღდგენა შემძენის კეთილსინდისიერების გამო დაბრკოლდეს.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის პრაქტიკულ ანალიზს უკავშირდება, წარმოადგენს მტკიცების ტვირთის განაწილება სამოქალაქო პროცესში. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხი მეტი სიცხადით არის ასახული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და შესაბამისად, ნაკლებ გაუგებრობებს ქმნის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით აღნიშნული კატეგორიის დავების განხილვის დროს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უკანონო ქონება არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 მარტის განჩინება №ას-235-227-2012.

შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც რეკეტულ დაჯგუფებას, რეკეტირს, თანამდებობის პირს, ქურდული სამყაროს წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვს კანონის მოთხოვნათა დარღვევით;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსაბუთებელი ქონება არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები რეკეტულ დაჯგუფებას, რეკეტირს, თანამდებობის პირს, ქურდული სამყაროს წევრს, ადამიანით მოვაჭრეს, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებულ პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს რეკეტირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ათი წლის ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>3</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების უკანონობის შესახებ, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია, სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>3</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილი აღგნეს მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს, რომლის შესაბამისადაც, ქონების უკანონობა მოსარჩელე - პროკურორმა უნდა ამტკიცოს. თუ ის არ წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს ქონების უკანონობის დასასაბუთებლად, სარჩელი ქონების უკანონობ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდება. განსხვავებულ სამართლებრივ დანაწესს შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქონების დაუსაბუთებლად ცნობასთან მიმართებით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მოპასუხეს აწევს. ქონების დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს კანონიერ ძალაში შესვლი განაჩენი, რომლითაც დადასტურდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება და მიუთითოს მოპასუხის, ქონების დაუსაბუთებლობის თაობაზე, რაც, თავის მხრივ, დაუდასტურებელი ეჭვია, ხოლო აღნიშნული ეჭვის გაქარწყლების ვალდებულება ანუ დაუსაბუთებლად დასახელებული ქონების წარმომავლობის მართლზომიერების მტკიცების ვალდებულება მოპასუხეს ეკისრება. შესაბამისად, უსაფუძვლოა იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა კრიტიკა, რომელი გადაწყვეტილებების საფუძველზეც ქონება დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი იმ ნორმატიულ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მოპასუხემ ვერ შეძლო ქონების შეძენის ლეგიტიმური წყაროს დასაბუთება.

აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, კერძოდ, ქონების დასაბუთების მტკიცების რეჟიმში რა სახის ქონება ექცევა. შესაძლებელია თუ არა აღნიშნულ რეჟიმში იმ ქონების მოქცევა, რომელიც დანაშაულის ჩადენამდებარების და რა სახის მტკიცებულება უნდა იქნას წარდგენილი ქონების დასაბუთებულად მტკიცების მიზნებისათვის. აღნიშნულ საკითხებს სასამართლო პრაქტიკით, ამ ეტაპზე შემდეგი ფორმით გაეცა პასუხი:

ქონების მართლზომიერად შეძენის დასაბუთებაში იგულისხმება არა მხოლოდ ქონების შეძენასთან დაკავშირებული კანონისმიერი პროცედურების დაცვა, არამედ ქონების შეძენისათვის საჭირო სახსრების მართლზომიერების დასაბუთება. აღნიშნული განპირობებულია თვით იმ დანაშაულის სპეციფიკით, გავრცელების ფორმებით, საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების მასშტაბებით, რომლისთვისაც მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავისა, თუ დაკავშირებული პირის ქონების შეძენის მართლზომიერება ეჭვქვეშ დგება. კანონის აღნიშნული ნორმის მიზანი კი გარდა დაუსაბუთებელი ქონების დაგროვებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა, მდგომარეობს ამგვარი კატეგორიის დანაშაულების ჩადენის პრევენციაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქონების დასაბუთებულად ან დაუსაბუთებლად ცნობას არ უკავშირებს ქონების შეძენის თარიღს, არამედ ქონების შეძენის დროისათვის ან აღნიშნულ დრომდე გონივრულ ვადებში მართლზომიერი, ლეგალური შემოსავლის არსებობის ფაქტს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა სპეციფიკით, რომლებიც უფრო მეტად არის ორიენტირებული უკანონო შემოსავლის დაგროვებაზე, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა არამართლზომიერი ქმედებები. შესაბამისად, სწორედ აღნიშნული საფუძვლით არის გამართლებული მითითებული დანაშაულობებისათვის მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავისა თუ დაკავშირებული პირის ქონების მდგომარეობის ეჭვქვეშ დაყენება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაუსაბუთებელი ქონება არის ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობს, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია. აღნიშნული მუხლის ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდება საკმარისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველია იმისათვის, რომ პირის მთელი ქონების მართლზომიერება ეჭვქვეშ დადგეს ისევდაისევ მითითებულ დანაშაულობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისად, აღნიშნულ დანაშაულობებზე კანონიერ ძალაში შესული გააჩნია შედეგად მოქმედებს პრეზუმაცია იმისა, რომ მსჯავრდებული პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან/და დაკავშირებული პირის ქონება დაუსაბუთებელია და რომ აღნიშნული ქონება შეძენილია სწორედ უკანონო შემოსავლებზე დაყრდნობით. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული პრეზუმაციაა და, მტკიცებულებების არსებობის პირობებში, გაქარწყლებას ექვემდებარება, შესაბამისად, თუ მსჯავრდებული პირი, მისი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი, თუ დაკავშირებული პირი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ მას ქონება შეძენილი აქვს არა მსჯავრდებული პირის უკანონო შემოსავლების მეშვეობით, არამედ სხვა კანონიერი შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით, ამგვარი ქონება დაუსაბუთებლად არ მიიჩნევა.

ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მხოლოდ შემოსავლის არსებობა არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ქონება მიჩნეულ იქნეს დასაბუთებულად, აუცილებელია, რომ შემოსავალი საკმარისი და დროში თავსებადი იყოს ქონების შეძენასთან.

აუცილებელია, გონიერი თანაფარდობის დაცვა შემოსავლის შეფასებასა და აღნიშნულ შემოსავალზე დაყრდნობით ქონების დასაბუთებულად მიჩნევას შორის. შემოსავლის არსებობით მხოლოდ მაშინ დასაბუთდება ქონების შეძენის ფაქტი, თუ შემოსავალი აღემატება ქონების ღირებულებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შემოსავალი იმდენად უნდა აღემატებოდეს ქონების ღირებულებას, რამდენადც აღნიშნული სხვაობით (ქონების ღირებულებასა და შემოსავალს შორის) მოგვარებადია ყველა ყოფით/საყოფაცხოვრებო მოთხოვნილება, ამასთან, მხედველობაში მიიღება, ცხოვრების წესი, შემოსავლისა, თუ გასავლის ოდენობა, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის მიზნებისათვის აუცილებელი სახსრები და ა.შ.<sup>9</sup>

ამდენად, ქონების დასაბუთებულად ცნობის მიზნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქონების წარმომავლობის, შემოსავლის პირველწყაროს ლეგიტიმურობის დასაბუთებას, მაგალითისათვის, ქონება ლეგალური შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით შეძენილად ვერ მიიჩნევა, თუ დასაბუთება ემყარება ისეთ ფაქტებს, როგორიცაა, ქონების გასხვისების გზით შემოსავლის მიღება, სადაზღვევო პრემია, საბანკო ანაბარზე ვანთავსებული თანხა, იპოთეკური სესხით მიღებული თანხა და ა. შ. თუ არ დადასტურდება გასხვისებული ქონების შესაძენად საჭირო ფულადი სახსრების მოპოვების მართლზომიერება, სადაზღვევო შენატანის წარმომავლობის მართლზომიერება, საბანკო ანაბარზე შეტანილი ფულადი სახსრების წარმომავლობის ლეგიტიმურობა, იმ ქონების შეძენისათვის საჭირო ფულადი სახსრების წარმომავლობის მართლზომიერება, რომელიც სესხის მიღებისა და ამავე სესხის უზრუნველყოფის საგანი გახდა და ა. შ. საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტით მივიღებთ იმგვარ სურათს, რომ ქონება, რომლის შეძენის მართლზომიერება ვერ დასტურდება, დაუსაბუთებელია, ხოლო ამავე ქონების სამოქალაქო ბრუნვის (გაყიდვა, გაცვლა, გირავნობა, იპოთეკა და ა. შ.) შედეგად მიღებული შემოსავალი - დასაბუთებული.

ამდენად, დაუსაბუთებელია არა მხოლოდ ის ქონება, რომლის კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს, არამედ ის ქონებაც, რომელიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით. ქონების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავალი დასაბუთებულ შემოსავლად რომ იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, რომ დასტურდებოდეს აღნიშნული ქონების შეძენის დროისათვის შემძენის ლეგალური, მართლზომიერი შემოსავლების არსებობის ფაქტი<sup>10</sup>.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ქონების დაუსაბუთებლად ცნობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ თანხის ბრუნვა არ წარმოადგენს თანხის წარმომავლობის ამსახველ მტკიცებულებას, შესაბამისად, რა ოდენობით თანხის ბრუნვის დამადასტურებელი მტკიცებულებაც არ უნდა იქნეს მოპასუხის მიერ წარმოადგენილი, აღნიშნულით შეუძლებელია დადასტურდეს შემოსავლის მართლზომიერება, ვინაიდან თანხის ბრუნვით არ დასტურდება მითითებული თანხების, როგორც ლეგალური, მართლზომიერი საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრების წარმომავლობა, ამიტომ აღნიშნული მტკიცებულებები ქონების დასაბუთებულად მიჩნევის მიზნებისათვის მხედველობაში არ მიიღება.

არაერთგვაროვანი განმარტების საგანია საკითხი იმის თაობაზე, თუ ვის უნდა ჩამოერთვას არამართლზომიერი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი თუ შეძენილი ქონება, იმ შემთხვევაში, თუ იგი მესამე პირებს გადაეცათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ასევე სასამართლოს შემდეგი განმარტება, კერძოდ, დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა, თავისი არსითა და დანიშნულებით, წარმოადგენს სახელმწიფოსათვის, თუ კერძო პირებისათვის მიყენებული

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 მარტის განჩინება №ას-235-227-2012.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 მარტის განჩინება №ას-235-227-2012.

ზიანის ანაზღაურებას. შესაბამისად, დაუსაბუთებელი თანხისა, თუ ქონების არსებობის ფაქტი, თუნდაც, აღნიშნული მესამე პირებს ჰქონდეთ საკუთრებაში გადაცემული, იმ პირისათვის ჩამორთმევას ექვემდებარება ნატურითა, თუ ფულადი ანაზღაურების სახით, ვისთვისაც ეს ქონება დაუსაბუთებელი იყო, ანუ ვინც, დაუსაბუთებელი ქონება, თუ ფულადი სახსრები დაგროვა და არა მას, ვისაც აღნიშნული ქონება, თუ ფულადი სახსრები გადაცა. ქონების დასაბუთებულობა, თუ დაუსაბუთებლობა დიდწილად სუბიექტური კრიტერიუმით არის განპირობებული. დაუსაბუთებელი ქონება სხვა მესამე პირის ხელში აბსოლუტურად დასაბუთებული შეიძლება აღმოჩნდეს, ვინაიდან მან, შეიძლება კეთილსინდისიერად, საკუთარ მართლზომიერ სახსრებზე დაყრდნობით შეიძინოს ან სხვა სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ქონებრივი სიკეთე. დაუსაბუთებელი ქონება, თუ ფულადი სახსრები შეიძლება უკანონო საქმიანობის წარმოების მიზნებისათვის გადაცეს მესამე პირს, აღნიშნულიც ასევე იმ პირისათვის ჩამორთმევას ან ანაზღაურების დაკისრებას ექვემდებარება, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დაგროვა ქონება და შემდეგ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის მიზნით გადასცა სხვას. მითითებულ სამართალურიერთობაში ამოსავალი პრინციპია ის, რომ ქონება, თუ ფულადი სახსრები იმას უნდა ჩამოერთვას, ვინც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ანდა არამართლზომიერ შემოსავლებზე დაყრდნობით მოიპოვა იგი<sup>11</sup>.

რადგან საკითხი შეეხო ქონების მესამე პირებისათვის გადაცემას, მნიშვნელოვანია იმ საკითხების მატერიალური თუ პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზი, თუ როგორ ხდება იმ მესამე პირთა დაცვა, რომლებიც უკანონო თუ დაუსაბუთებელი ქონების მართლზომიერი და კეთილსინდისიერი შემძენები არიან და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით იმიჯნებიან აღნიშნული პირები იმ პირებისაგან, რომელთაც ნათესაური თუ სხვა საქმიანი კავშირი გააჩინათ დანაშაულის ჩამდენ პირებთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შესაძნად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. თუმცა, სასამართლო პრაქტიკით დადგენილ იქნა, რომ თუ სხვა მტკიცებულებებით დასტურდება ქონების ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, ამასთან, არსებობს ამავე ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, არ არის აუცილებელი საჯარო რეესტრის ჩანაწერი ქონების მესაკუთრის დადგენისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, ქონების საჯარო რეესტრში აღრიცხვისაგან თავის არიდება სწორედ იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ ქონება არ იქნას მიჩნეული უკანონოდ და დაუსაბუთებლად. ამდენად, დასაშვებია ქურდული სამყაროს წევრისათვის იმ ქონების ჩამორთმევა, რომლის თაობაზე დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება და უცყუარი მტკიცებულებებით დასტურდება მისით ფლობისა და სარგებლობის ფაქტი, თუმცა, იგი საკუთრების უფლებით აღრიცხული არ არის საჯარო რეესტრში. ამასთან, აღსანიშნავია კიდევ ერთი სამართლებრივი „ხრიკი“, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ქონების „დაკანონების“ მიზნით, კერძოდ, უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებაზე ჩუქების ან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის შედეგადაც ქონება კვლავ მჩუქებლის ან გამყიდველის მფლობელობასა და სარგებლობაში რჩება. მოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ ხდება დასაჩუქრებული პირის ან მყიდველის კეთილსინდისიერების საკითხის გარკვევა და აღნიშნული ქონება კიდეც რომ დასაჩუქრებულის ან მყიდველის საკუთრებად აღირიცხოს საჯარო რეესტრში, გარიგება, როგორც მოჩვენებითი, მაინც ბათილად მიიჩნევა და ქონება ჩამორთმევას ექვემდებარება. ამდენად, ცალსახაა, რომ უკანონო და დაუსაბუთებელ ქონებასთან მიმართებით საჯარო რეესტრის ჩანაწერის სისწორის პრეზუმუფიცია არ მოქმე-

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 მარტის განჩინება №ას-235-227-2012.

დებს, თუ არსებობს სხვა უტყუარი მტკიცებულებები, რომლითაც ჩანაწერის უზუსტობა დასტურდება. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა შემდეგი: „საჯარო რეესტრში რეგისტრაციით ხდება მესაკუთრის აღრიცხვა, საჯარო რეესტრში მესამე პირებისათვის აუცილებელი ინფორმაციის განთავსება. უძრავ ნივთზე სანივთო უფლების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ნივთის გამსხვისებელსა და მყიდველს შორის და-დებული ხელშეკრულება. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პირი უფლებამოსილი ხდება მოითხოვოს საჯარო რეესტრში მისი უფლების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია არ წარმოადგენს ხელშეკრულების ფორმას. შესაბამისად, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლად, მოცემულ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულება ითვლება“<sup>12</sup>.

ამდენად, საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობას ფიქციად აქცევს ის ფაქტი, თუ ქონება საჯარო რეესტრში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირის ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის სახელზე ირიცხება და ამასთან, არსებობს მტკიცებულებები, რომ ქონება რეალურად არ განკარგულა და კვლავ გამსხვისებლის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელობასა და სარგებლობაშია.

სხვაგვარი ფაქტობრივი ვითარებაა სახეზე, როდესაც საპროცესო კოდექსის 356<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულმა სუბიექტმა ქონება გაასხვისა და შემძენი გამსხვისებლის არც ნათესავი და არც დაკავშირებული პირია. ასეთ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს ქონების შემძენის კეთილსინდისიერების საკითხი. ამასთან, კეთილსინდისიერების შეფასების კრიტერიუმია შემძენის სუბიექტური დამოკიდებულება იმ ფაქტის მიმართ, თუ რამდენად იცოდა შემძენმა, რომ ქონება, რეალურად, გამსხვისებლის საკუთრება არ იყო, ან მართალია, გამსხვისებლის საკუთრება იყო, თუმცა, საკუთრების უფლება გამსხვისებელს არაკანონიერი გზით ანდა უკანონო შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით ჰქონდა მოპოვებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ რეესტრის ჩანაწერი სწორია, თუმცა, შემძენს საკუთრების უფლება მოპოვებული აქვს დაუსაბუთებელი, უკანონო შემოსავლის წყაროზე დაყრდნობით, ასეთ შემთხვევაში, შემძენი დაცულია, ვინაიდან შემძენს არაკეთილსინდისერად აქცევს მხოლოდ იმ ფაქტის ცოდნა, რომ გამსხვისებელი არ არის მესაკუთრე ან კიდევ ხელშეკრულება არ იდება გამსხვისებლის ნამდვილი ნების საფუძველზე. ის შემოსავლის წყარო, თუ რის საფუძველზე შეიძინა ქონება გამსხვისებელმა, ობიექტურად, გონივრული წინდახედულობის ფარგლებში, არ წარმოადგენს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის ცოდნა ან არცოდნა ზეგავლენას მოახდენს შემძენის კეთილსინდისიერებაზე ან კიდევ კეთილსინდისიერ შემძენთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობაზე. სასამართლო პრატიკით, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით იქნა მიჩნეული მართლზომიერად ქონების ჩამორთმევა უკანონობის ან დაუსაბუთებლობის მოტივით მხოლოდ ერთი ინსტანციის მიერ გამოტანილი და მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279<sup>1</sup>-ე მუხლის კონტექსტში, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, რათა არ მოხდეს აღნიშნული ქონების შემდგომი განკარგვა, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქონების შემძენი, თუ 356<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული პირის ნათესავი ან დაკავშირებული პირი არ არის, არ მიჩნევა არაკეთილსინდისიერ შემძენად და შესაბამისად, შეუძლებელი ხდება დაუსაბუთებელი ქონების ან დაუსაბუთებელი ქონების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა.

თუ გამსხვისებელი არ არის ქონების რეალური მესაკუთრე, თუმცა, იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შემძენის კეთილსინდისიერება მოწმდება ქვე-მოთ მოცემულ პრინციპებზე დაყრდნობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კო-

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განჩინება №ას-238-571-07.

დექსის 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძებზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად კი, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერი შემძენის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა გამონვეულია საჯარო რეესტრის სპეციფიკური დანიშნულებით სამოქალაქო ბრუნვის მექანიზმში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორედ, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვისებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტო. აღნიშნული ფორმულირებით კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვის სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოება — გამსხვისებლის საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაცია, ანუ შემძენის კეთილსინდისიერება ეფუძნება ობიექტურ ფაქტორს, საჯარო რეესტრის მონაცემებს. კანონის ეს დანაწესი განპირობებულია თვით კანონის მიერ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების მიმართ დადგენილი უტყუარობის პრეზუმაციით. აღნიშნული ნორმის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ როდესაც საქმე ეხება უძრავი ქონების შეძენას, შემძენს, თავის უფლების დასამტკიცებლად შეუძლია დაეყრდნოს რეესტრში რეგისტრირებული ფაქტების სისწორის ვარაუდს. თუნდაც, სინამდვილეში უსწორო იყოს რეესტრის მონაცემები, ამ მდგომარეობას არაარსებითად აქცევს შემძენის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, რაც საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის ან რეესტრის ჩანაწერის მიმართ საჩივრის შეტანის არცოდნაში გამოიხატება. ერთადერთი, რაც რეესტრის უტყუარობის ფიქციასა და შესაბამისად, ნივთის შეძენის ნამდვილობაზე ახდენს ზეგავლენას, შემძენის არაკეთილსინდისიერებაა. ზემოთ დასახელებული ნორმები შეიცავს არაკეთილსინდისიერების იურიდიული შედეგის განმსაზღვრელ ელემენტს შემძენმა იცის, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე ან იცის, რომ რეესტრის ჩანაწერის მიმართ შეტანილია საჩივარი. ამდენად, შემძენის ინტერესების დამცავი ნორმის გამოყენებისას უნდა შემონმდეს არამარტო საჯარო რეესტრის მონაცემები, ასევე, უტყუარად უნდა დადგინდეს, რომ შემძენმა ნივთის შეძენამდე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უზუსტობის ან საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიმართ საჩივრის შეტანის თაობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლებით მხარეთა შორის გადანაწილებულია მტკიცების ტვირთი. რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმაცია შემძენს უადვილებს უფლების კანონიერების მტკიცების პროცესს. რეესტრის მონაცემთა უსწორობა და შემძენისათვის ამ ფაქტის ცოდნა მოდავე მხარემ უნდა ამტკიცოს. ამასთან, სასამართლო პრაქტიკით განიმარტა, რომ თუკი მხარე სადავოდ ხდის შემძენის კეთილსინდისიერებას, სასამართლოს არ შეუძლია თავისი დასკვნა ნივთის შეძენის კანონიერებაზე დაეყრდნოს მხოლოდ საჯარო რეესტრის ჩანაწერს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ჩანაწერის სისწორე, ქონების სადავოობა და გამოიკვლიოს, რა იცოდა შემძენმა ჩანაწერის ხარვეზიანობისას, თუ ქონების სადავოობის თაობაზე. ამ უკანასკნელი საკითხების გამორკვევისას სა-

სამართლომ უნდა გაითვალისწინოს შემძენის შესაძლებლობანი რეესტრის არასწორი ჩანაწერის ცოდნასთან ან ქონების სადავოობასთან მიმართებით, ანუ უნდა გაირკვეს, შემძენს გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შეეძლო და უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ ჩანაწერი არასწორი იყო ან აღნიშნული ჩანაწერის გაუქმების საფუძვლები არსებობდა<sup>13</sup>.

ხშირ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ გარიგება მოჩვენებითია ანუ იმ განზრახვის გარეშეა დადებული, რომ მას შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). სასამართლო პრაქტიკით არაერთგზის განიმარტა, რომ გარიგების მოჩვენებითად მიჩნევის მიზნებისათვის, საქმის მასალებით უტყუარად უნდა დასტურდებოდეს, მოჩვენებითი გარიგების დროს გამოვლენილი ნების თავისებურებები, რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მხარეთა განზრახვაში, თავიდან აიცილონ გარიგების სამართლებრივი შედეგები. ამასთან, უნდა არსებობდეს ორივე მხარის ერთობლივად, საერთო მიზნითა და განზრახვით მოქმედების დამადასტურებელი მტკიცებულებები, საიდანაც ნათლად დგინდება ერთობლივი მოქმედების მოტივი. მოჩვენებითი გარიგება სამართლებრივი სიმულაციაა, რომელიც კანონსანინაალმდეგო მიზანს ემსახურება. გარიგების მოჩვენებითად მიჩნევისათვის კი დადასტურებული უნდა იყოს, რომ ორივე მხარე აღნიშნული მიზნით მოქმედებს.<sup>14</sup> აღსანიშნავია, რომ ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის დროს ნათესავისა და დაკავშირებული პირის სახელზე ქონების აღრიცხვა სწორედ ის სამართლებრივი სიმულაციაა, რომელიც აღნიშნულ გარიგებას არარად აქცევს და სწორედ აღნიშნული ფაქტი განაპირობებს იმ სამართლებრივი დანაწესის საფუძველს, რომ აღნიშნულ პირების სახელზე აღრიცხული ქონება უპირობოდ ჩამორთმევას ექვემდებარება.

სასამართლო პრაქტიკაში ქონების ჩამორთმევის კანონიერების საკითხის განხილვისას სასამართლო ხშირად აპელირებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისეუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე, რომელიც საკუთრების უფლების უზრუნველყოფას ეხება და განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას არ ხელყოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკუთრების უფლება და ასევე შექმნას გარანტიები აღნიშნული უფლების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. სასამართლოებმა მსგავს კატეგორიის საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში არაერთგზის განმარტეს შემდეგი:

„წინარე დებულება ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად,

13. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 თებერვლის განჩინება №ას-1764-1744-2011.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის განჩინება №ას-203-622-06.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინება №ას-274-604-07.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 12 თებერვლის განჩინება №ას-691-1021-07.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 აპრილის განჩინება №ას-1148-1293-08.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის განჩინება №ას-676-1006-07.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განჩინება №ას-238-571-07.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება №ას-980-1243-05.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 28 მარტის განჩინება №ას-1066-1308-05.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინება №ას-533-786-08.

იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის განჩინება №ას-203-622-06.

14. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 30 მარტის განჩინება №ას-1836-1809-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 22 მარტის განჩინება №ას-124-119-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 15 მარტის № ას-11-11-2012.

საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ქონება ხვდება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. მოხდა ქონების ხელყოფა, ვინაიდან ხდება ქონების ჩამორთმევა და მისი სახელმწიფოსთვის გადაცემა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ხელყოფა ანუ ჩამორთმევა საჯარო ინტერესებს ემსახურება, ვინაიდან დადგენილია, რომ სადავო ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. ხელყოფა პროპორციულია, ვინაიდან ვერანაირი სხვა ჩარევა, გარდა ჩამორთმევისა, ვერ უზრუნველყოფდა საერთო ინტერესის დაცვას. ეს ხელყოფა შეესაბამება კანონის გასაგები ფორმით არსებობის პრინციპსაც, ვინაიდან „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV1 თავი, არაორაზროვნად და გასაგებად ითვალისწინებს დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ კრძალავს ქონების ჩამორთმევას, თუ ა) მიზანი არის საზოგადოებრივი ინტერესი, ბ) გამოყენებული ზომა არის მართლზომიერი (ემყარება კანონს და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს, გ) გამოყენებული ზომა მიზნის მიღწევის პროპორციულია, ანუ პირისა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის თანაფარდობა დაცულია<sup>15</sup>.

ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობა განავითარა თავის გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მან აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებები ანაზღაურების თაობაზე შეეხება კანონიერი გზით შეძენილ ქონებას, რომლის საკუთრების უფლება დავას არ იწვევს და ვერ გავრცელდება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, რადგან ამ შემთხვევაში ითვლება, რომ სწორედ საკუთრების უფლებაა დავის საგანი და მისი არსებობა ეჭვის ქვეშა დაყენებული. ამიტომაც არ შეიძლება ჩამორთმევის კონსტიტუციურობის შემოწმება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მესამე პუნქტთან მიმართებით“<sup>16</sup>.

ქონების ჩამორთმევის კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხს შეეხო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებით განხილულ საქმეებზე და განმარტა შემდეგი: „სასამართლო აცნობიერებს რა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სირთულეს, მიიჩნევს, რომ ქონება, რომელიც დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგადა შეძენილი, ამგვარი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით და სამართლიანი ბალანსის დაცვის ფარგლებში, ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან ჩამორთმევას. კონფისკაცია წარმოადგენს ეფექტურ ღონისძიებას ამგვარ ავთვისებიან წარმონაქმნათან ბრძოლის საქმეში“<sup>17</sup>.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა სამართლებრივ სახელმწიფოში მრავალეტაპიანია. აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის მნიშვნელობა იმდენად მასშტაბურ ხსიათს ატარებს, რომ მასში აქტიურად არის ჩართული ხელისუფლების სამივე შტო. უნდა ითქვას, რომ განუსაზღვრელია აღმასრულებელი ხელისუფლების როლი აღ-

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის განჩინება №ას-238-571-07.

16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის განჩინება №2/5/309-310-311.

17. Case of Raimondo vs Italy, Application №1295/87, 22.02.1994.

ნიშნულ საქმეში, განსაკუთრებით ხაზგასასმელია სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარებული ეფექტური ღონისძიებები, თუმცა ზემოაღნერილმა კვლევამ ცხადყო, რომ დღეს არსებული შედეგი მიღწეულ იქნა ხელისუფლების სამივე შტოს კოორდინირებული მოქმედების შედეგად, კერძოდ, საუბარია იმ საკანონმდებლო ნორმებზე, რომლებიც მიღებულ იქნა საკანონმდებლო ორგანოს მიერ და ნიშანდობლივია ასევე სასამართლოს საქმიანობაც, რომელმაც ადექვატური ინტერპრეტაცია მისცა კანონის ნორმებს და სიხლისსამართლებრივი თუ სამოქალაქო სამართლებრივი კუთხით მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საქართველოში 2003 წლამდე ესოდენ მომძლავრებულ დანაშაულებრივ სინდიკატს<sup>18</sup>.

18. მესხიშვილი დ. „ქურდული სამყაროს წევრობა — დასჯადობა სტატუსისთვის თუ ქმედებისთვის“, თემიდა, №4, 2010.

## ქეთევან მესხიშვილი

# მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელების სასამართლოს წესით განხილვის ზოგიერთი თავისებურების პრაქტიკული ანალიზი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, გამოიკვეთა საკითხთა ის წრე, რომელიც მოცემულ ეტაპზე, არა სასამართლოს მიერ გამოცემული აქტის ფორმატში, არამედ უფრო ფართო თეორიულ-პრაქტიკულ ჭრილში, განხილვას საჭიროებს. ამას ემატება სასამართლო პრაქტიკაში არსებული რამდენიმე პრობლემატური საკითხი, რომელთა თაობაზე ერთიანი პოზიცია, რა თქმა უნდა, შეჯერებულია, თუმცა, დამატებით განსჯას საჭიროებს საკითხის სირთულიდან, თავისებურებიდან და აქტუალობიდან გამომდინარე. შესაბამისად, წინამდებარე კვლევაში მიმოხილული იქნება სასამართლო პრაქტიკისათვის რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა, ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დელიქტის განხილვასთან დაკავშირებული ცვლილებები; ბ) დელიქტის განხილვის რამდენიმე პროცესუალური ასპექტი და გ) დელიქტის განხილვის ყველაზე აქტუალური მატერიალურ სამართლებრივი პრობლემატიკა. აღნიშნული საკითხების კვლევის პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე და შემდგომ მისი გამოყენების დანიშნულების გათვალისწინებით, განხილულ იქნება სასამართლო პრაქტიკა, კერძოდ, რამდენიმე განჩინება და გადაწყვეტილება, რომელშიც ასახულია მითითებული საკითხების ფაქტობრივ სამართლებრივი ასპექტები.

## ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დელიქტის განხილვასთან დაკავშირებული ცვლილებები;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2010 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V კარს, რომელიც საქმეთა გამარტივებულ წარმოებას ეთმობა, დაემატა XXIIV<sup>3</sup> თავი, სახელწოდებით ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. ამდენად, აღნიშნულ თავში მოცემული საკანონმდებლო რეგულაციების, როგორც სისტემური, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი ახსნა-განმარტების შედეგად დგინდება, რომ ცალკეულ დელიქტთან დაკავშირებული დავები გამარტივებული წესით განიხილება და შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის რეგულირების რეუიმში ექცევა. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან 2010 წლის 15 დეკემბრის ცვლილებები შეეხო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის შინაარსს, ამიტომ დელიქტით მიყენებული ზია-

ნის ანაზღაურების შესახებ სარჩელები, როგორც გამარტივებული წესით განსახილველი დავები, რომელიც აღმოჩნდა ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისთა ნუსხაში, მაგისტრატი მოსამართლის განსჯადია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება 2000 ლარს არ აღემატება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2010 წლის 15 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი წარმოებისაგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIX<sup>3</sup> თავით გათვალისწინებული წესები გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, ანუ როდესაც დანაშაულის ჩადენის შედეგად პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დასტურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე აღარ იკვლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დადასტურებულად ითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. აღნიშნული დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული აქტით. მითითებული მუხლის ფორმულირებით, დანაშაულის მიყენების ფაქტი პრეიუდიციის რანგშია აყვანილი ანუ მიჩნეულია ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს<sup>1</sup>. რაც შეეხება ოდენობას, აღნიშნული განიხილება თუ არა დადასტურებულად და სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს თუ არა ზიანის ოდენობით, როგორც დადასტურებული ფაქტით, აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც განპირობებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოცემული ორი მუხლის კონკურენციით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. თუ

1. პრეიუდიცია — (ფრანგ. პრეჯუდიციელ) წინასწარ დადგენილი, დადასტურებული ფაქტი, რომელსაც შემდგომი მტკიცება აღარ სჭირდება, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1989, გვ. 404.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს მიყენებული ზიანის გაანგარი-შებას, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს შეიძლება ასევე დაერთოს უფლება-მოსილი პირის/ორგანოს მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნება მიყენებული ზიანის ოდენობა.

მოცემულ შემთხვევაში, ნორმები განხილულ უნდა იქნეს სისტემური, ლოგიკუ-რი და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად. საქართველოს სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 309<sup>17</sup>-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელზე დასართავ მტკიცებულებათა წრეს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, სარჩელი უნდა შეიცავდეს ზიანის ოდენო-ბის ამსახველ მტკიცებულებას, აღნიშნულს შეიძლება მოიცავდეს თვით განაჩენი ან კიდევ, შესაძლებელია, მითითებული მტკიცებულების დამოუკიდებლად შექმნა და სარჩელზე დართვა. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლს, აღნიშნული ნორმა ადგენს დელიქტით მიყენებული ზიანის თაობაზე წარდგენილი სარჩელის განხილვის წესს. მითითებული მუხლი იმპერატიულად ად-გენს ასევე, თუ რა უნდა ჩაითვალოს დადასტურებულად ანუ ე.ნ. პრეიუდიციად. მი-თითებული მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში ნათლად და მკაფიოდ იკითხება: ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო დად-გენილად მიიჩნევს ზიანის მიყენების ფაქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეიუდიციუ-ლი<sup>2</sup> მნიშვნელობა მხოლოდ ზიანის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს გააჩნია, რაც შეეხება ზიანის ოდენობას, აღნიშნული ფაქტი სასამართლოსათვის წარმოდგენილი ზემოხსენებული მტკიცებულების საფუძველზე a priori (წინასწარ დადასტურებუ-ლი, შემდგომი კვლევის გარეშე)<sup>3</sup> დადასტურებულად არ ითვლება და სასამართლო მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად აფასებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მეტად თვალსაჩინოა, თუ რითი განსხ-ვავდება დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე გამარტივებული წარმოება ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოებისაგან. მართალია, საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ პასუხს აღნიშნულ საკითხთან დაკავში-რებით არ იძლევა, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რა-საც დღეს მდგომარეობით სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს.

რაც შეეხება არსებითი ხასიათის სხვაობას დელიქტით მიყენებული ზიანის გამარ-ტივებული და ჩვეულებრივი წესით განხილვას შორის, აღნიშნულთან მიმართებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ როგორც ზემოთ უკვე არაერთგზის აღინიშნა, გამარტივებული წესით საქმის განხილვის დროს სახეზეა კანონიერ ძალაში არსებუ-ლი განაჩენი, რომლითაც უტყუარად დასტურდება ზიანის ფაქტი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. შესაბამისად, სასამართლო აღარ იკვლევს აღნიშნულ საკითხებს და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გა-რეშე დადასტურებულად მიიჩნევს მათ. სასამართლო კვლევისა და შეფასების საგა-ნია მხოლოდ ზიანის ოდენობა, რომლის დამატასტურებელი მტკიცებულებაც მოსარ-ჩელებ უნდა წარადგინოს. ჩვეულებრივი სასარჩელო წესით დელიქტის განხილვის დროს კი მხარეები სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

2. იბ. შენიშვნა 90.

3. <http://dictionary.reference.com/browse/a+priori>.

102-ე და 103-ე მუხლების შესაბამისად წარუდგენენ, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ასევე ზიანის ფაქტის, მიზეზობრივი კავშირისა და ზიანის ოდენობის ამსახველ მტკიცებულებებს, ხოლო სასამართლო წარმოდგენილ მტკიცებულებებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე შესაბამისად აფასებს. მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა წესით უნდა იქნეს განხილული დანაშაულით მიყენებული ზიანის თაობაზე წარმოდგენილი სარჩელი. აღსანიშნავია, რომ მითითებული საკითხი კოდექსით პირდაპირ მოწესრიგებული არ არის, თუმცა, საპროცესო ნორმათა ერთობლივი ანალიზი იძლევა გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, კერძოდ, აღნიშნული საკითხი წყდება სარჩელის შეტანის ეტაპზე, ვინაიდან განაჩენის არსებობის პირობებში, განაჩენის საქმეზე არ დართვა ფორმალური ხარვეზია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის კონტექსტში. გარდა ამისა, ამავე ეტაპზე წყდება ბაჟის საკითხიც, რაც მოცემულ ეტაპზე კომპლექსურ ანალიზს საჭიროებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასამართლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე მხოლოდ მაშინ თავისუფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ მას დანაშაულის შედეგად მიადგა ზიანი. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მიხედვით კი, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით<sup>4</sup>. იგივე დებულებას შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი. ამდენად, თუ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, შესაბამისად, არ არსებობს დანაშაულის ჩადენისა და დანაშაულის შედეგად ზიანის მიყენების პრეიუდიცია, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს საქმის გამარტივებული წესით განხილვისა და ბაჟისაგან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ფორმულირება, რომელიც მოსარჩელეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის თაობაზე სარჩელის წარდგენის შემთხვევაში კი არ ათავისუფლებს ბაჟისაგან, არამედ მხოლოდ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე. საპროცესო სამართლის ნორმის ამგვარი ფორმულირებით მოსარჩელის ბაჟისაგან გასათავისუფლებლად უნდა არსებობდეს შემდეგი კუმულატიური პირობები: 1. დანაშაული დადასტურებული უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით; 2. მოთხოვნა მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას უნდა ეხებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულით მიყენებულ მორალურ ზიანთან დაკავშირებული მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟისაგან არ თავისუფლდება. შესაბამისად, იმისათვის, რომ დანაშაულით მიყენებული ზიანის თაობაზე სასამართლომ საქმე გამარტივებული წესით განიხილოს, ასეთ შემთხვევაში სარჩელს უნდა ერთვოდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, როგორც სასჯელის, ასევე ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში. სწორედ ასეთ შემთხვევაში, განიხილება სარჩელი დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე გამარტივებული წესით და სწორედ ამგვარი სარჩელი თავისუფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. თუმცა, აქვე მიზანშენონილია, აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივნისი, №2287, თბილისი, საქართველო.

განხორციელებული ცვლილებებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, სამოქალაქო სამართალნარმოების წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საგულისხმოა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების თანმდევი შედეგების სამოქალაქო წესით განხილვა სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზეა შესაძლებელი და აღნიშნული არამცდარამც არ გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი განაჩენის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლების შეზღუდვას ან სისხლის სამართლის საქმის სამართალნარმოებისათვის რაიმე დაბრკოლების შექმნას, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს სამოქალაქო წესით განმხილველ სასამართლოს. ეს უკანასკნელი საქმეს განიხილავს ჩვეულებრივი სა-სარჩელო წესით, ყოველგვარი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და აღნიშნული ქმედებით გამოწვეული ზიანის თაობაზე არსებული პრეიუდიციის გარეშე. აღსანიშნავია, რომ მითითებული კატეგორიის სარჩელები ბაჟის გადახდისაგან არ თავისუფლდება, ვინაიდან საქმე ეხება არა დანაშაულით, არამედ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ მოთხოვნას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს იმ აზრთა სხვადასხვაობის თაობაზე, რომელიც არსებობს მითითებული კატეგორიის დავების ბაჟისაგან გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვასიტყვითი განმარტება, წარმოადგენს ნორმის ვიწრო განმარტებას და ენინააღმდეგება კანონმდებლის ნებას, გაათავისუფლოს მოსარჩელე ყოველი მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედების შედეგად მიყენებული ზინის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელზე ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

### **ბ) დელიქტის განხილვის რამდენიმე პროცესუალური ასპექტი**

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ სარჩელებთან ერთად კომპლექსურად, კერძოდ, პრაქტიკაში ხშირად დგას საკითხი, სასარჩელო მოთხოვნა, თავისი არსით, წარმოადგენს თუ არა დანაშაულით მიყენებულ ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას, ვინაიდან ძალიან ხშირად, მოსარჩელები სარჩელის საფუძვლად მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე აპელირებენ. როგორც ზემოთ უკვე არაერთგზის აღინიშნა, მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა — არ არსებობის ფაქტი სასამართლოს შესაფასებელია და აღნიშნული საქმის არსებითად განხილვის შედეგად უნდა გადაწყდეს. შესაბამისად, ამგვარი მოთხოვნა ბაჟის გადახდისაგან არ თავისუფლდება. რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულით მიყენებულ ზიანს, ხშირ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ფულადი ანაზღაურებაა, თუმცა, არცთუ იშვიათად, მოთხოვნა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისკენაც არის მიმართული, მაგალითისათვის, თუ დოკუმენტების გაყალბების გზით დაზარალებულმა ბინა დაკარგა, ხშირ შემთხვევაში, იგი ითხოვს არა ფულად კომპენსაციას მსჯავრდებულისაგან, არამედ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას — ბინის დაბრუნებას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ბინა გასხვისებულია თუ არა მესამე პირებზე. თუ ბინა მესამე პირზეა გასხვისებული, ასეთ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებულია ასევე უძრავი ქონების არამართლზომიერად განკარგვის თაობაზე დადებული გარიგების ბათოლობა.

საკითხი დგება ასე, უძრავი ქონების დაბრუნების თაობაზე წარდგენილი მოთხოვნები განხილულ უნდა იქნეს თუ არა ზიანის ანაზღაურების კონტექსტში და სარჩელი გა-თავისუფლებულ უნდა იქნეს თუ არა ბაჟისაგან. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით პრაქტიკაში, ბოლო პერიოდში, შემუშავებულ იქნა ერთიანი პოზიცია, რომლის შესა-ბამისადაც, აღნიშნული კატეგორიის დავები, თუ, რა თქმა უნდა, საქმეში მოიპოვება კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, მიიჩნევა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანა-ზღაურების თაობაზე წარდგენილ სარჩელებად. ერთ-ერთ საქმეზე სააპელაციო სა-სამართლო, რომელიც სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე წარდგენილ კერძო საჩივრებთან დაკავშირებით, საბოლოო ინსტანციის სასამართლოა, დაეყრდნო მატე-რიალური სამართლის ნორმებს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 326-ე, 408-ე, 409-ე მუხლებს და განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულით მიყენებული ზიანი, დაზარალებული უფლებამოსილია ზიანის ანაზღაუ-რება მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის გზით, ხოლო იმ შემთხვევა-ში, თუ შეუძლებელი იქნება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, დაზარალებულს უფლება ექნება მოითხოვოს ზიანის ფულადი კომპენსაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უძრავ ქონებაზე მისი საკუთრების უფლების აღდგენის თაო-ბაზე სხვა არაფერია, თუ არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირვანდელი მდგო-მარეობის აღდგენის გზით ანუ ნატურით, ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების ბა-თილობის თაობაზე წარმოდგენილ მოთხოვნას, აღნიშნული წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს, ვინაიდან შეუძლებელი იქნება ბინაზე მისი საკუთრების უფლების აღდ-გენა ნასყიდობის ხელშეკრულების გაბათილების გარეშე. სწორედ ამიტომ, მოსარჩე-ლის მიერ წარმოდგენილი სარჩელი ემსახურება მისთვის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, პირვანდელი მდგომარეობის ნატურით აღდგენას, შესაბამი-სად, მისი მოთხოვნა ექცევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის რეგულირების რეჟიმში, ხოლო იმ შე-მთხვევაში, თუ მოსარჩელე აღნიშნული გზით ვერ დაიკმაყოფილებს თავის უფლებას, მას ზიანის ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება რჩება, რაც ასევე თავისუ-ფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან იმავე საკანონმდებლო რეგულაციაზე დაყრდნობით<sup>5</sup>. ამდენად, პალატამ დასკვნის სახით მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა გზით ითხოვს დაზარალებული შელახული უფლების აღდგენას, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით, თუ ზიანის ფულადი კომპენსაციით, ორივე შემთხვევაში, სახეზეა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწი-ლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან თავისუფლდე-ბა<sup>6</sup>. აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი რეგულირება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც განაჩენში, მართალია, მხარე დაზარალებულად არის მითითებული, თუმცა, სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნა მიმართულია არა უშუალოდ დანაშაულით მიყენებული, არამედ აღნიშნულ დანაშაულთან მჭიდროდ დაკავშირებული სამართა-ლურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებისაკენ. მაგალითისათვის, რო-დესაც მინდობილმა პირმა ბოროტად გამოიყენა მიმნდობის უფლებამოსილება, მას ისეთ გარიგებებზე მოაწერინა ხელი, რომლითაც მიმნდობს ის ვალდებულებები წარ-მოეშვა, რაც მას გაცნობიერებული არ ჰქონდა. ასეთ შემთხვევაში, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა წარმოადგენს მოთხოვნის საფუძველს, ვინაიდან ამგვა-რი კატეგორიის დავებში მოთხოვნის საფუძველი, ხშირ შემთხვევაში, სამოქალაქო

5. იხ. სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის განჩინება №28/473-12.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის განჩინება №28/473-12.

სამართლებრივი რისკია და არა დანაშაული. ამ უკანასკნელი შემთხვევის ნათელი მაგალითია, მოსარჩელის მოთხოვნა მის მიერ გაცემული მინდობილობისა და მინდობილობის საფუძველზე დადებული გარიგებების ბათილობა, იმ მოტივით, რომ იგი ვერ აცნობიერებდა აღნიშნულ გარიგებათა სამართლებრივ შედეგებს, ან სხვა რამეს პირდებოდა მინდობილი პირი და ა. შ. მოცემულ შემთხვევაში, მინდობილობებისა და გარიგებების ბათილობა არ წარმოადგენს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ მოთხოვნას და შესაბამისად, აღნიშნული არ ექცევა არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIV თავითა და არც ამავე კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით რეგულირების რეზიმში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სარჩელების პროცესუალურ ანალიზს ეხება, არის დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა. ხშირ შემთხვევებში, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ სარჩელი შეტანილი უნდა ყოფილიყო დამნაშავის საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მისამართის მიხედვით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნული კატეგორიის კერძო საჩივრებზე, სააპელაციო სასამართლომ, როგორც ბოლო ინსტანციის სასამართლომ არაერთგზის განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილი აკონკრეტებს ამავე კოდექსის მე-15 მუხლის ზოგად ჩანაწერს მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან მიმართებით და ამბობს, რომ სარჩელში მითითებული უნდა იყოს მოპასუხის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). მას შემდეგ რაც საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობამ ფიზიკურ პირთათვის რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონის შესაძლებლობა დაუშვა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობამ მხარეთა ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის სარჩელის ერთ-ერთ სავალდებულო რეკვიზიტად სწორედ მოპასუხის ძირითადი მისამართი ანუ ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი მიიჩნია. მხარის ადგილსამყოფელის თაობაზე ინფორმაციის არსებობის საჭიროება არ შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც ფორმალური რეკვიზიტი და იგი უნდა იძლეოდეს მხარესთან სასამართლოს დაკავშირების რეალურ შესაძლებლობას. ამდენად, როდესაც საპროცესო ნორმა მხარის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით ადგენს გარკვეულ წესს, იგულისხმება მხარის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, სადაც იგი იმყოფება კონკრეტული საპროცესო მოქმედების განხორციელებისას. რაც შეეხება რეგისტრაციის მისამართს, აღნიშნული შეიძლება მითითებულ იქნეს ალტერნატიულ მისამართად, ასეთის არსებობისა და მოსარჩელის მიერ ამგვარი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში. მოსარჩელის მიერ მოპასუხის რეგისტრაციის მისამართი ძირითად მისამართად შეიძლება მხოლოდ მაშინ იქნეს მითითებული, როდესაც მოსარჩელისათვის უცნობია მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის შედეგად განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის კონტექსტში საერთო განსჯადობა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გულისხმობს განსჯადობას მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით, თუ რა თქმა უნდა, მოსარჩელისათვის მოპასუხის ადგილსამყოფელი ცნობილია. ამავე მუხლის

კონტექსტში, განსჯად სასამართლოდ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლო მოპასუხის რეგისტრაციის მისამართის მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელისათვის უცნობია მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელი აღძრულია დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და მსჯავრდებული მოთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მის მიერ თავისუფლების აღკვეთის სახით დადგენილი სასჯელის მოხდა წარმოებს იმგვარად, რომ მას ერთმევა შესაძლებლობა, სასჯელის მოხდის პერიოდში გააჩნდეს სხვა საცხოვრებელი ადგილი, ამიტომ სასჯელაღსრულების დაწესებულების მისამართი უნდა ჩაითვალოს მოპასუხის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილად. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, სარჩელი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიმართ წარდგენილ უნდა იქნეს სასჯელაღსრულების დაწესებულების მისამართის მიხედვით<sup>7</sup>.

## გ) დელიქტის განხილვის ყველაზე აქტუალური მატერიალურ სამართლებრივი პრობლემატიკა

თუ გადავხედავთ ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ სარჩელებს, თვალსაჩინო გახდება, რომ ხშირ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნით მხარე ითხოვს როგორც მორალური, ასევე მატერიალური ზიანის ანაზღაურებას. სასამართლო პრაქტიკა დანაშაულის შედეგად გარდაცვლილი პირისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების პრეცედენტს არ უშვებდა შემდეგი მოტივაციით: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას უშვებს კანონით ზუსტად გათვალისწინებულ შემთხვევებში. ნორმა, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის შედეგად გარდაცვლილი პირის ახლობლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, მატერიალურ სამართალში არ არსებობს. როგორც ცნობილია, სასამართლო პრაქტიკა, თავისი არსით, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად ვითარდება და შესაბამისად, ცვლილებებსაც განიცდის. დღეის მდგომარეობით, სასამართლო პრაქტიკით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 413-ე მუხლები განიმარტა იმგვარად, რომ დანაშაულით მიყენებული მორალური ზიანის დადასტურების პირობებში, სასამართლო უშვებს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, თუმცა, აღნიშნული პირდაპირპორციულად დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად ადასტურებს მოსარჩელე დანაშაულის შედეგად მიყენებული სულიერი, თუ ფიზიკური ტანჯვით გამოწვეულ ჯანმრთელობის დაზიანებას, რათა აღნიშნული ფაქტობრივი ვითარების სუბსუმირება მოხდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლთან, რომლის შესაბამისადაც, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. აღნიშნული კატეგორიის დავებზე სასამართლომ განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია, სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი და ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება სასამართლოს

7. თბილისის საპელაციო სასამართლოს 2011 წლის 14ნოემბრის განჩინება №2ბ/4473-10.

შეხედულებით. სასამართლო მორალური ზიანის არსებობის ფაქტის დადასტურების მიზნებისათვის ეყრდნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ მტკიცებულებებს, რომელიც მიღებული სულიერი თუ ფიზიკური ტანჯვის შედეგია. ამავე დროს სასამართლო ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ითვალისწინებს ზიანის მიმყენებელი პირის ეკონომიკურ ქმედუნარიანობასაც<sup>8</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თეორიაში გამოთქმული მოსაზრებები, როგორც აღნიშნული მოთხოვნის მატერიალურ საფუძვლებთან, ასევე საპროცესო სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. თეორიაში ჩამოყალიბებული მოსაზრების მიხედვით, ზიანი შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, მატერიალური, ხელშესახები, ობიექტურად არსებული და, მეორე მხრივ, მორალური, რომელიც გაიგივებულია სულიერ განცდასა და ფიზიკურ ტანჯვასთან. პირს ზიანი დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძლვის ბრალი. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როცა ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანია და ამდენად, ანგარიშგასაწევი. მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რომელიც გამოწვეულია მოქმედებით (უმოქმედობით) და რომელიც ხელყოფს მოქალაქის კანონით გათვალისწინებულ არამატერიალურ სიკეთეს. მორალური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად, ანუ როგორც ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას, ისე მისგან დამოუკიდებლად. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება ხდება ფულადი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა ეფუძნებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხს. შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიღების უფლების ქონების პირთა განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს პიროვნებისათვის ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის მიყენება. მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანი სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. როგორიცაა ახლობელი ადამიანის (მეუღლის, შვილის დედის, მამის, დის, ძმის) გარდაცვალება, მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმუცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგო დადასტურებამდე ივარაუდება, რომ აღნიშნულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. აღნიშნული ტკივილის მატერიალური მაჩვენებლის შეფასება კი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, გარდაცვლილსა და დაზარალებულს შორის ურთიერთობა, დანაშაულის სიმძიმე, ბრალეულობის ხარისხი, დაზარალებული სულიერი მდგომარეობა. მხედველობაშია მისაღები ასევე დაზარალებულის და თვით სამართალდამრღვევის მატერიალური მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს მორალური ზიანის, როგორც სამართლებრივი კატეგორიის, მიზანს, შეუმსუბუქოს დაზარალებულს სულიერი მდგომარეობა.

8. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-868-817-2010, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-100-96-2012.

მორალური ზიანის ანაზღაურებისას მისი ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს შეხედულების მიხედვით. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია, სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი და ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება სასამართლოს შეხედულებით. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია, რომლის მიზანია დაზიარალებულის საზოგადოების თვალში მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. კომპენსაცია მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად<sup>9</sup>.

მორალური ზიანის ანაზღაურების პრევენციული ფუნქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სამართალდარღვევის განმეორების საშიშროება ზიანის მიმყენებლის მიერ, ამასთან, ანაზღაურება უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი.

თეორიაში გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით, მორალური ზიანი, როგორც ზიანის დამოკიდებელი კატეგორია, უნდა ანაზღაურდებოდეს და აღნიშნული არ უნდა იყოს დამოკიდებული მოსარჩელის მიერ მტკიცებულებების წარმოდგენაზე იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ შეერყა მას ჯანმრთელობა მიყენებული სულიერი ტანჯვიდან გამომდინარე, უფრო მეტიც, მორალური ზიანის თაობაზე წარდგენილ სარჩელებთან დაკავშირებით, უნდა არსებობდეს პრეზუმაცია იმისა, რომ დანაშაულით მოსარჩელეს მორალური ზიანი მიადგა, ხოლო მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, რომ აღნიშნული დანაშაულით მოსარჩელე სულიერ ტანჯვას ვერ მიიღებდა<sup>10</sup>.

ამ მიმართებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლომ არაერთ საქმეზე (*Oğur v. Turkey*<sup>11</sup>; *Velikova v. Bulgaria*<sup>12</sup>) განმარტა, რომ სულიერი ანდა ფსიქიკური ტანჯვა, გამოწვეული მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად პირის გარდაცვალებით, ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, სულიერი თუ ფსიქიკური ტანჯვის ფულადი კომპენსაციის ოდენობა პირობით ხასიათს ატარებს. მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, დანაშაულის ხარისხი, დანაშაულის სახეობა, გარდაცვლილი პირისა და იმ პირის კავშირი, რომელიც პირის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, ასევე საცხოვრებელი პირობები, დამნაშავისა და დაზარალებული პირის ფინანსური მდგომარეობა და ა. შ. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, პირის გარდაცვალებით ახლობლისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება დამოკიდებული არ არის, სულიერი ტანჯვით გამოწვეულ ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხზე, როგორც ეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია რეგლამენტირებული<sup>13</sup>.

ამდენად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კანონმდებლის უფლებამოსილებაა ნორმის შექმნა, ხოლო ნორმათ შეფარდების პროცესის ყველაზე ეფექტურად განმახორციე-

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-868-817-2010.

10. Астахов П. Возмещение Морального Вреда. Москва. 2008. стр.19-20.

11. <http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=Ogur&sessionid=93528317&skin=hudoc-en>.

12. <http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=Velikova&sessionid=93528317&skin=hudoc-en>.

13. გერმანია, რუსეთი.

ლებელი ორგანო სასამართლოა. სასამართლო სამართალწარმოების პროცესში ნორმა შეიძლება არაერთგვაროვნად იქნეს გაგებული და გამოყენებული და ამაში გამოიხატება სწორედ სამოსამართლო შემოქმედების თავისუფლება, თუმცა, ტენდენცია იმისა, რომ სასამართლო სისტემაში ნორმა ერთგვაროვნად იქნეს დამკვიდრებული და გამოყენებული ემსახურება მხარეთა უფლებების იდენტურად, თანაბარზომიერად დაცვის პრინციპს, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა მაღალი სამართლებრივი განვითარების მქონე სახელმწიფოში, რათა მსგავს მოთხოვნებზე, მსგავსი საფუძვლებით სხვადასხვა სახის სამართალწარმოება არ გაიმართოს და ხვადასხვა მატერიალურ სამართლებრივი შედეგი არ დადგეს და ამით მხარეებს არ გაუჩნდეთ უსამართლობის განცდა.

## რუბრიკა – მოწვეული პროფესორი **ზურაბ ძლიერიშვილი**

საცრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება  
(სასამართლო პრაქტიკის კომენტარი)

### **შესავალი**

საქართველოში საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კერძოსამართლებრივი ურ-თიერთობების ჩამოყალიბებას. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება (მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს, ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან), სადაც გამოიხატება მანამდე არსებული სამართლებრივი სისტემისათვის უცხო ფორმით ახსნილი კერძო სამართლის არსი.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა სატრანს-პორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, რომელ-საც არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. საკითხის შესწავლა მოხდება მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა სისტემატიკური, ლოგიკური, შედარებითი კვლევის მეთოდები, აგრეთვე საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლა - განზოგადების საფუძველზე.

საკითხის განხილვა უშუალოდ მოხდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2010 წლის 9 ნოემბერს საქმეზე №ას-494-463-2010 მიღებული განჩინების ანალიზის საფუძველზე, კერძოდ:

**გასაჩივრებული განჩინება** – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სა-ქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინება

**კასატორის მოთხოვნა** – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

**დავის საგანი** – დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანა-ზღაურება

### **1. აღწერილობითი ნაწილი:**

გ.მ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ.ბ-ის მიმართ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული მორალური ზიანის – 100000 ლარისა და მატერიალური ზიანის – 1724 ლარის ოდენობის მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის 24 იანვარს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, რაც დადასტურებულია საგამოძიებო მასალებით, მოსარჩელეს დაეჯახა ავტომანქანა, რომელსაც მოპასუხე მართავდა, რის შედეადაც გ.მ-ძემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. აღნიშნულის გამო, მას დაუდგინდა პირველი ჯგუფის ინვალიდობა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ მიღებული და-ზიანებები მისი ბრალით გამოწვეული არ არის, ამასთან, მან უკვე გადაუხადა გ.მ-ძეს საკომპენსაციო თანხა და მოსარჩელემ წერილობით განაცხადა, რომ მის მიმართ პრეტენზია აღარ ექნებოდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ.მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით გ.მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩი-ვრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით, საქმის მომზადების ეტაპზე მოსარჩელემ სარჩელის მოთხოვნა დააზუსტა და არაქონებრივ ზიანთან ერთად მოითხოვა მატერიალური ზიანის ანაზღაურებაც მიუღებელი ხელფასის სახით, რაც 2003 წლის 24 იანვრიდან 2009 წლის სექტემბრის ჩათვლით შეადგენდა 1724 ლარს. შრომის წიგნაკით გიორგი მ-ძის სამუშაოდან განთავისუფლების თარიღი არ ფიქსირდება. პალატამ განმარტა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სასამართლო შებოჭილია არა მარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებში, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა ვერ უზრუნველყო სამუშაოდან განთავისუფლების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც საფუძვლად დაედებოდა მიუღებელი შემოსავლის მოთხოვნას. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას სათანადოდ არ შეფასებულა საქმეში არსებული დათვალიერების ოქმის სქემა და 2003 წლის 12 თებერვლის №27 ცნობა. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, 106-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმეზე სადაცვო გარემოებები, რომ, ბ.ბ-ის ქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, 2003 წლის 24 იანვარს მომხდარ ავტოავარიასთან დაკავშირებით ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის მიერ 2007 წლის 16 თებერვალს მიღებულ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული დადგენილება გ.მ-ძემ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, თუმცა იგი სასამართლოს 2007 წლის 14 მარტის დადგენილებითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2007 წლის 30 მარტის დადგენილებით არ გაუქმებულა. ამ დადგენილების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველია ბ.ბ-ის ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობა. აღნიშნული დადგენილების, ასევე შსს ქ.თბილისის სასამართლო საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ექსპერტ-კრიმინალისტთა 2003 წლის 12 თებერვლის დასკვნის გამოკვლევის შედეგად სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით 2003 წლის 24 იანვარს მომხდარი ავტოავარიის თავიდან აცილება ბ.ბ-ილს არ შეეძლო და „ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოების“ შესახებ კანონის მოთხოვნები არ დაურღვევია. პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, მიუღებელი შემოსავლის სახით მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს, რის გამოც გ.მ-

ძის სარჩელი ამ ნაწილში მართებულად არ დაკმაყოფილდა. პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999-ე მუხლებით პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობების ერთობლიობა, კერძოდ, თუ არსებობს ზიანი, იგი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. სასამართლომ ბ.ბ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების ჩადენა ვერ დაადგინა, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობა – ზიანის მიმყენებლის ქმედების ბრალეული ხასიათი არ დგინდება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ.მ-ებმ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილვად.

საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შედეგად 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით მიიჩნია, რომ გ.მ-ის საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად დაუბრუნებს საქმეს, თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არასრულად გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არსებით გავლენას ახდენენ საქმის შედეგზე, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში სადაცოს არ წარმოადგენს, რომ 2003 წლის 24 იანვარს მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გ.მ-ებს დაეჯახა რა ავტომანქანა, რომელსაც ბ.ბ-ლი მართავდა, გ.მ-ებმ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. სააპელაციო სასამართლომ გ.მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ ბ.ბ-ლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედების ჩადენა ვერ დადგინდა, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობა, ზიანის მიმყენებლის ქმედების ბრალეული ხასიათი არ დგინდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო სამუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო სამუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა გ.მ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ ბ.ბ-ლის მიერ ბრალეული მოქმედების ჩადენა ვერ დადგინდა, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობა, ზიანის მიმყენებლის ქმედების ბრალეული ხასიათი თითქოსდა არ დგინდება. საკასაციო სასამართლოს აზრით, ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობის – პირის ბრალეულობის არსებობა მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი არ არის. ამასთან, სატრანსპორტო

საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უტყუარად უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის გამომრიცხავ გარემოებათა არარსებობა.

## 2. კომენტარი

გ.მ-ის მოთხოვნა ბ.ბ-ლის მიმართ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული მატერიალური (მიუღებელი შემოსავალი) და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 992-ე, 999-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე და 413-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესებიდან.

## 3. მოთხოვნის წარმოშობა:

დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია სსკ-ის 992-ე მუხლი.<sup>1</sup> აღნიშნული ნორმა ადგენს იმ ოთხ ძირითად პირობას<sup>2</sup>, რომელთა არსებობაც სავალდებულოა ზოგადად დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. ეს პირობებია: ა) ზიანი; ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი; დ) ზიანის მიმყენებლის ბრალი.

## 4. ზიანი

ვალდებულების დარღვევა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, რომელიც იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, დადგომის საფუძველია. იურიდიული პასუხისმგებლობა ზოგადად გამოიხატება სამართალდამრღვევის მიმართ განსაზღვრული უარყოფითი შედეგების დადგომით, კერძოდ – ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვით.<sup>3</sup> სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმათაგან ზიანის ანაზღაურებას აქვს უნივერსალური მნიშვნელობა და გამოიყენება სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ყველა შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა ფორმების გამოყენებაზე პირდაპირ უთითებს კანონი ან ხელშეკრულება კონკრეტული სამართალდარღვევისას.<sup>4</sup> სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაპენტისა მეორეს ნინაშე, სამართალდამრღვევისა – დაზარალებულის ნინაშე, დაკავშირებულია არა პიროვნული თავისუფლების ბოჭვასთან, როგორც ისტორიულ წარსულში, არამედ მოვალის მხოლოდ ქონების შემცირებასთან.<sup>5</sup> ქონებრივი პასუხისმგებლობის მოვალეზე დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე იყოს სამართალდარღვევის შემადგენლობა.<sup>6</sup> შემადგენლობის ორგანიზმს ჰქმნის სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თა-

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ.52

2. ლუთორინგპაუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ.14

3. ზოიძე ბ. ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისთვის. თბ., 1989, გვ. 11.

4. ქოჩაშვილი ქ. ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა. უ. „სამართლის უზრნალი“, თსუ, თბ., 2009, №1, გვ. 81.

5. Покровский И.А. Основные проблемы гражданского права. М. 1998, с. 240.

6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 364.

ნაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, ამ შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგო ქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის; სამართალდამრღვევის ბრალი.

დელიქტური ვალდებულებები განსაკუთრებულ ჯგუფად გამოიყოფოდა ჯერ კი-დევ რომის სამართალში. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აპსო-ლიტურად სუბიექტური სამოქალაქო უფლებების დარღვევის შედეგად, იგი ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალუ-რი ზიანის ანაზღაურებისაკენ. დელიქტური ვალდებულებები ატარებს ფარდობით ხა-სიათს, რადგანაც წარმოიშობა ზიანის მიყენების შედეგად კონკრეტულ პირებს შორის, კერძოდ, დაზარალებულსა, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაუ-რება (კრედიტორი) და ზიანის მიმყენებელს შორის, რომელიც ვალდებულია აანაზღაუ-როს ზიანი (მოვალე).<sup>7</sup>

ზიანი სამოქალაქო სამართალში არის პირის უფლებების ან კეთილდღეობის დამცი-რება, განადგურება.<sup>8</sup> წარმოიშობის საფუძვლების მიხედვით დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. სახელ-შეკრულებო ზიანი შედეგად მოჰყვება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვე-ვას, მაშინ როდესაც არასახელშეკრულებო ზიანი ძირითადად წარმოიშობა უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებიდან, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან სახელშე-კრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში, ამიტომ მას დელიქტურ ზიანსაც უწო-დებენ. თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ საერთოდ არ არსებობს დელიქტური ვალდებუ-ლება. როცა სიკეთე ერთდროულად რელატიურ და აბსოლიტურ უფლებათა ობიექტია, მაშინ ეს უკანასკნელი ფარავს პირველს. არასახელშეკრულებო ზიანი წინასწარ შეუ-ფასებელი ზიანია და მისი ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება იმის მიხედვით, თუ რა ფასეულობის სიკეთე იქნება ხელყოფილი.<sup>9</sup>

ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით.<sup>10</sup> როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდე-ქსი, ასევე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავე-ბს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს.<sup>11</sup> ქონებრივ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც.<sup>12</sup> სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „იმ პირმა, რომელიც ვალდებუ-ლია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“.<sup>13</sup> ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის,

7. საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხე-ბზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ.52

8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ჩიკვაშვილი, შ.), წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, გვ. 378

9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ.367

10. AnwKBGB – Magnus, vor §§249-255. Rn.17.

11. Medicus, Dieter. Bürgeliches Recht. 19, Auflage. Verlag C.H. Beck. München, 2002. S. 401-402.

12. სუსგ 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინება საქმეზე წეს-342-694-07.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქა-ლაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ.33-35

არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით.<sup>14</sup> მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც პირს არ მიულია და რომელსაც იგი მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების შემთხვევაში<sup>15</sup>. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, ამიტომაც დავის შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებებზე, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.<sup>16</sup>

როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის (დაზარალებულისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა მოვალის (ზიანის მიმყენებლის) დასჯაში.<sup>17</sup> ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების დარღვევის პრევენციისა და მხარეთა ინტერესთა წონასწორობის აღდგენაზე. საჯარიმო სანქციები ქართული სამართლისათვის უცხოა. ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შემდეგი პრინციპების დაცვას: ზიანის სრულად ანაზღაურება; უსაფუძვლო გამდიდრების არდაშვება; ადეკვატურობა; სავარაუდობა.

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მხარეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომელიც „მიუღებელია“ ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის.<sup>18</sup> ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანება დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს.<sup>19</sup>

სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. აქ არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი შემთხვევები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი ზიანის დეფინიციას. დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში მორალური ზიანი გაგებულია, როგორც ფიზიკურ და ზნეობრივ – ფსიქოლოგიური ტანჯვა, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიულ საფუძვლებს. სსკ-ის 413-ე მუხლის მოქმედება ეჭვს არ იწვევს არასახელშეკრულებო, კერძოდ დელიქტური ურთიერთობების მიმართ.<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექ-

14. თოდუა მ., ვილემსი ჰ. ვალდებულებითი სამართალი. თბ., 2006, გვ. 38.

15. სუსგ 2007 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე №ას-509-893-06.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ.53

17. ძლიერიშვილი ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 62

18. სუსგ-ის განჩინება საქმეზე №3კ/1184-01, გვ. 563-567.

19. ძლიერიშვილი ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 61.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო სამეცნიერო დაკავშირებით, თბ., 2007, გვ.69

21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ.471

სი მხოლოდ ზოგად ჭრილში განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპებს. თავისი შინაარსით ასეთი ანაზღაურება დგინდება სასამართლო პრაქტიკით. ვინაიდან მორალური ზიანი თავისი ფორმით სპეციფიკური მოვლენაა, შეუძლებელია აქ ანაზღაურების მიზანი იყოს სრული კომპენსაცია.<sup>22</sup> კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით უნდა გადაწყდეს. სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც. აღნიშული ნორმა ასახავს მორალური ზიანის ანაზღაურების გავრცელებულ შემთხვევას. მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს “გონივრული” და “სამართლიანი” ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურების “გონივრულობა” და “სამართლიანობა” უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური პასუხისმგებლობის ეს სახე. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშული სამი – სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული ფუნქციების კომბინაცია წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიან მიზანს, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.<sup>23</sup> მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რომელიც შეუძლებელია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა. კომპენსაციური ფუნქციის განსახორციელებლად უპირველეს ფაქტორს წარმოადგენს ფსიქიკური ზიანი ანუ სულიერი ტკივილი, რომელიც პიროვნული უფლებების შეღახვის შედეგად დადგა. თუ ფსიქიკურმა ზიანმა გამოხატულება დაზარალებულის ფიზიკურ მდგომარეობაშიც ჰპოვა, მაშინ საქმე გვექნება ასანაზღაურებელი ზიანის მნიშვნელოვანი მასშტაბებთან.<sup>24</sup>

მორალური ზიანი განსაზღვრულია როგორც ფიზიკური ან სულიერი ტკივილი. მაცალკევებელი კავშირი „ან“ უშვებს მორალური ზიანის არსებობას, როგორც მხოლოდ ფიზიკური ან სულიერი ტკივილისას, ისე ორივესას ერთდროულად. ჭიფიზიკური ტანჯვა ივარაუდება მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მოთხოვნილი კომპენსაციის ადგენობის დასასაბუთებლად უნდა დამტკიცდეს ფიზიკური ტანჯვის ხარისხი.<sup>25</sup> თუ მორალური ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას ქონებრივ ზიანთან ერთად (პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მან განიცადა სულიერი ტკივილი, ამასთან გასწია მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯები), მორალური ზიანის ოდენობა უბრალოდ არ უნდა დაემატოს ქონებრივი ზიანის ოდენობას, თუმცა სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ ამ

22. საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ. 70

23. “იქვე”, გვ. 71

24. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ნინიძე, თბ., 1999, გვ. 76)

25. საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 55

გზით მიდის. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისათვის, სასამართლომ უნდა დაადგინოს პირის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი ტკივილის ხარისხი, ზიანის მიმყენებლის ბრალი (იმ შემთხვევებში, როცა ეს პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა) და სხვა ყურადსალები გარემოებები.

დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება არა ეკვივალენტობის პრინციპით, არამედ საქმის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე – მორალური ზიანის ხარისხისა და ხასიათის, ასევე დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.<sup>26</sup>

## 5. მართლსაწინააღმდეგო ქმედება

დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი პირობა არის ზიანის მიმყენებლის ქმედების არამართლზომიერება, რამიც იგულისხმება სხვისი სუბიექტური უფლებების ყოველგვარი დარღვევა სათანადო უფლებამოსილების არქონის შემთხვევაში. არამართლზომიერი შეიძლება იყოს როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა.<sup>27</sup> მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართლდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერების ხასიათზე, სხვანაირად იმაზე, აცნობიერებდა თუ არა ზიანის მიმყენებელი თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს, მაშინ როცა არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში ზიანის მიმყენებლის მოქმედებით ირღვევა აბსოლიტური უფლებები.<sup>28</sup> არის თუ არა მოქმედება მართლსაწინააღმდეგო, გადამოწმებულ უნდა იქნეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. უქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ: სადაც მოქმედება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა (მაგალითად, სხვისი ქონების დაზიანება)<sup>29</sup> ან მოქმედება არღვევს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა, საკუთრება).<sup>30</sup> მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება.<sup>31</sup> სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმ-

26. საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ.56

27. „იქვე“, გვ.54

28. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომიტეტარი (ზოიძე, ბ.), წიგნიIII, თბ., 2001, გვ.364

29. ბოელინგი ჰაინ, ლუთრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, გვ.53

30. „იქვე“, გვ.53

31. ზოდვე ბ. Договорная и внедоговорная ответственность в механизме гражданского-правового регулирования. Тб., 1988, с. 165.

დეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.<sup>32</sup>

## 6. მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია.<sup>33</sup> ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების უშუალო შედეგს.<sup>34</sup> თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში.<sup>35</sup> ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლი; გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 254-ე პარაგრაფი). ასეთ შემთხვევაში ზიანის რისკი კრედიტორზე და მოვალეზე პასუხისმგებლობის პროპორციულად გადანილდება.<sup>36</sup>

სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხოლო სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად კი, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია; შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია; ექვივალენტურობის თეორია; უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორია და ა.შ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას, ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (*causa principalis sine qua non*) ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება.<sup>37</sup> სავარაუდობა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო.<sup>38</sup> მაშასადამე, უშუალო ანუ ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას ანუ მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ

32. Palandt/Heinrichs., §249. Rn.6. Staudinger/Schiemann. §249.

33. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 368.

34. ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი. თბ., 1999, გვ. 68.

35. AnwK – BGB – Magnus, vor §§249-255. Rn.8. Münch Komm BGB/Oetker Bd.2a. §249, Rn 23; Staudinger/Schiemann. §249. Rn.42. Palandt/Heinrichs., §249. Rn.11

36. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გ. 480-482.

37. სუსგ-ის განჩინება საქმეზე № 3 კ/1184-01; 2002 წლის კრებული, გვ. 564.

38. ბოელინგი ჰაინრიხინგაუსი პეტერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. თბ., 2009, გვ. 48.

კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან.<sup>39</sup> ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.<sup>40</sup> ამასთან დაკავშირებით წესები იგივეა, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას (მაგ.სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი აბზაცი). მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ე.წ. ექვივალენტური კაუზალობა *conditio-sine-qua-non-* ფორმულის თვალსაზრისით არ არის საკმარისი (რომის სამართლიდან მომდინარე ამ ფორმულის მიხედვით სამართლებრივი ფიგურა „მიზეზი“ (მართლსაწინააღმდეგო მოქმედება) შედეგის (ზიანი) თვალსაზრისით მაშინ არის კაუზალური, თუ მის გარეშე შედეგი არ დადგებოდა)).<sup>41</sup> აქედან გამომდინარე, ექვივალენტურობის თეორია იზღუდება ცნებით შერაცხადობა (*Zurechenbarkeit*), შედეგად საუბარია ადექვატურ კაუზალობაზე. ეს უკანასკნელი სახეზეა, როცა ხდომილება (მართლსაწინააღმდეგო ქმედება) ობიექტური თვალსაზრისით ზოგადად და არც თუ მთლად თავისებური, უჩვეულო და ობიექტურად გათვალისწინებული გარემოებებიდან გამომდინარე საიმისოდ გამოდგება, რომ გამოიწვიოს დამდგარი შედეგი(ზიანი).<sup>42</sup>

## 7. ზიანის მიმყენებლის ბრალი

ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხს აგებს მხლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა პასუხისმგებლობის კლასიკური, ევროპულ სამართალში მოცემული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპისა.<sup>43</sup> მოქმედებდა თუ არა ზიანის მიმყენებელი ბრალეულად, განხილული უნდა იქნეს ცალკეული შემთხვევებიდან გამომდინარე.<sup>44</sup>

სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“. ეს დანაწესი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 823-ე პარაგრაფის I-ლი აბზაციისა. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (*dolus*) და გაუფრთხილებლობა (*culpa*), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია. დელიქტურ ვალდებულებებში ბრალის ფორმებთან მიმართებით შეიძლება გამოყენებული იქნეს სსკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც ზიანის მიმყენებელს (დამზიანებელს) ეკისრება პასუხისმგებლობა როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელი მოქმედებისათვის.<sup>45</sup>

39. ძლიერიშვილი ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 66.

40. ჩიკაშვილი შ. დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში. კრებული „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“. თბ., 2003, გვ. 186.

41. ლუთრინგჰუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ.19

42. „იქვე“, გვ.19

43. ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 1998, I კვარტ, გვ. 28.

44. ბოელინგი, პაინ, ლუთრინგჰუსი,პეტერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლები სისტემური ანალიზი, თბ., 2009, გვ.58

45. ლუთრინგჰუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, ჩბ, სიესტა, თბ., 2011, გვ.18

განზრახვის ცნების დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრას ბრალის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრას მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით. ამდენად, განზრახვა – ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი.<sup>46</sup> განზრახვა მოიცავს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპონენტია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით“.<sup>47</sup> ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ინტელექტუალური (კოგნიტური) ელემენტია, რომელიც სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებას გულისხმობს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გადამწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის.<sup>48</sup>

განზრახვის მეორე ისეთი ნიშანი, როგორიცაა ნებელობითობა, გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა. განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახის: პირდაპირი და არაპირდაპირი. სამოქალაქო სამართალში განზრახი ბრალის სახეებად დაყოფას არა აქვს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა, რამეთუ განზრახვა იქნება პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.<sup>49</sup>

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სსკ-ი არც გაუფრთხილებელი ბრალის დეფინიციას იცნობს. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას.

კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგისაგან. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას“, რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე.<sup>50</sup> სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულების დაცვა.<sup>51</sup>

გაუფრთხილებლობის არსი გერმანულ სამართალშიც არის განვითარებული. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 276-ე პარაგრაფის II აბზაცის თანახმად, გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გონივრულ ყურადღებიანობას.<sup>52</sup>

გაუფრთხილებლობა თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში იყოფა ორ სახედ: უხეში გაუფრთხილებლობა და მარტივი გაუფრთხილებლობა. უხეში გაუფრ-

46. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 382

47. Palandt/Heinrichs., §276. Rn.6.

48. Principles of European Contract Law. Part I and II - Revised 1998, Part III, 2003. [www.lexmercatoria.org](http://www.lexmercatoria.org)

49. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 383.

50. Medicus, Dieter. Schuldrecht I. Allgemeiner Teil, 13. Aufl. 2002. S. 149.

51. ცვაიგერტი კ., კიოტცი ჰ. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბ., 2001, გვ. 290.

52. Staudinger/Löwisch, §276. Rn. 26.

თხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი ქმედებით სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება.<sup>53</sup> მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული წინდახე-დულებისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია. უხეში გაუფრთხილებლობა, როგორც სამოქალაქო ბრუნვისათვის საჭირო გულმოდ-გინების განსაკუთრებით მძიმე, უჩვეულო ხარისხით დარღვევა, პასუხისმგებლობის საფუძვლად გამოიყენება, როცა ამის შესახებ პირდაპირ უთითებს კანონი.<sup>54</sup>

ევროპული სამართლებრივი სისტემის ზოგიერთ ქვეყანაში განზრახი ქმედება მოი-ცავს უხეშ გაუფრთხილებლობასაც, რომელიც ხშირად მიიჩნევა *dolus eventualis*-ად (არაპირდაპირ განზრახვად). მაგალითად, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1:301-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, „განზრახ ქმედებად ითვლება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად (შეგნებულად) მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე უხეში გაუფრთხილე-ბლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც პირი ითვალისწინებს თა-ვისი ქცევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ამის საპირისპიროდ, მარ-ტივი გაუფრთხილებლობისას პირი არ აცნობიერებს თავისი ქცევის შესაძლო სამართ-ლებრივ შედეგს და, შესაბამისად, ეს არ ჩაითვლება განზრახ ქმედებად.<sup>55</sup>

აღსანიშნავია, რომ ვალდებულების დარღვევისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, ძირითადად შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით გათვალისწინებულ ანალოგიური შინაარსის ნორმებს. ეს გასაკვირი არ არის, რამეთუ სსკ-ი ემყარება პანდექტური სამართლის სისტემას და ცალკეული სამართლის ინსტიტუტების მოწესრიგებისას ძი-რითადად ორიენტირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსზე.<sup>56</sup>

დელიქტური ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი შესაძლებელია ერთდროულად იყოს როგორც ზიანის მიმყენებლის, ისე თავად დაზარალებულის ბრა-ლეული ქმედების შედეგი. ამ შემთხვევაში სსკ-ის 415-ე მუხლის თანახმად, სახეზეა შერეული ბრალის სამართლებრივი კატეგორია, როდესაც ბრალეულ პირთა პასუხის-მგებლობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე დაკისრებას. ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალისა და დაზარა-ლებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია. ზიანის ანაზღაურების ვალ-დებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხა-რისხით – უფრო მეტად თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.<sup>57</sup> სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის ანალოგიურ დებულებებს ითვალისწი-

53. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 384.

54. ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ., 2006, გვ. 377.

55. Lando O., Beale H., Principles of European Contract Law. Part I and II. Kluwer Law International. The Hague/London/Boston. 2000, 125.

56. ჩაჩავა ს. მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი. ქართული სამართლის მიმხრილვა. სპეციალური გამოცემა. 2004, გვ. 35.

57. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი(ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 481.

ნებს გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 254-ე პარაგრაფი – „თანაბრალეულობა“.<sup>58</sup>

ქართული სამოქალაქო სამართალი, ზოგადი პრინციპის სახით აფუძნებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ გამონაკლისის სახით ითვალისწინებს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობასაც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს, როგორც სახელშეკრულებო, ისე არა-სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპია გათვალისწინებული სწორედაც რომ სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახირება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი.

ალნიშნული ნორმა ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის.<sup>59</sup>

ამით არის ეს ნორმა გადახვევა იმ ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო ზიანის მიმყენებელს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული.<sup>60</sup> მაშასადამე, სსკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის(მომხმარებლის Halter) განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას.<sup>61</sup>

ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოყენება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. ალნიშნული გამოწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელსაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან მასზე სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია.<sup>62</sup>

ამავდროულად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამოწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომე-

58. Palandt/Heinrichs, §254. Rn.15.

59. დელიქტური სამართლის პრობლემატიკა GIZ-ის სემინარი, წყალტუბო, აპრილი, 2011, გვ.39

60. ლუთრინგჰჰაუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ.32

61. „იქვე“, გვ.32

62. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-494-463-2010, გვ.5

ტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე.<sup>63</sup> პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემობად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა (სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი), ასევე დაზარალებულის ბრალი.

დაუძლეველი ძალაში იგულისხმება, რომ, მიუხედავად ავტომანქანის გულისყრით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ზიანი გამოწვეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება, ან დაძლევა,<sup>64</sup> ანუ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.<sup>65</sup>

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უნდა გამოირიცხოს დაზარალებულის ბრალიც. დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმები – სამოქალაქო კოდექსის 992-1008-ე მუხლები არ ითვალისწინებს შემხვედრი ბრალის საკითხს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლის თანახმად, წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამავე კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული.<sup>66</sup>

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სსკ-ის 415-ე მუხლის (შერეული ბრალი- თანაბრალებულობა) მიმართება სსკ-ის 999-ე მუხლთან. სსკ-ის 415-ე მუხლი ადგენს შერეული ბრალის არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის წესს. რაც შეეხება სსკ-ის 999-ე მუხლს, იგი ითვალისწინებს ე.წ. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს, რაც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარი ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან. ისმის კითხვა: აქვს თუ არა დაზარალებულის ბრალს რაიმე მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას? სსკ-ის 415-ე მუხლი ზოგადი ხასიათის ნორმაა და ვრცელდება დელიქტური ვალდებულების დროს ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაზეც. თუმცა სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა სხვა დელიქტური ვალდებულებისაგან განსხვავდება. მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს მომეტებული საფრთხის წყაროს ფაქტორი და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე ზიანის მიყენების სხვა შემთხვევებში, თუმცა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა იმგვარად არ უნდა გავიგოთ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ყოველთვის აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის. **მთავარი ფაქტორი, რომელიც პასუხისმგებლობის დადგენისას გადამწყვეტია, უკავშირდება იმ გარემოებას, რომ ზიანის მიყენება ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგი უნდა**

63. საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ.66

64. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-494-463-2010, გვ.6

65. ლუთრინგჰაუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ.33

66. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-494-463-2010, გვ.7

**იყოს.**<sup>67</sup> მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომა გამოწვეულია იმ ფაქტორების მოქმედებით, რომელთა გამოც ეს სამუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული. ავტოსატრანსპორტო სამუალების მფლობელი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თავად დაზარალებულის განზრავით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ზიანის მიმყენებელი პირის როგორც პასუხისმგებლობისაგან გათვალისწილება, ისე, ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირება. **ასეთ შემთხვევებში უნდა მოხდეს თავად დაზარალებულის ბრალის გამოკვლევა.**<sup>68</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, სრულიად მართებულად და დასაბუთებულად არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრებები გ.მ-ის სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ თითქოსდა ბ.ბ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ბრალებული მოქმედების ჩადენა ვერ დადგინდა, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი პირობა, ზიანის მიმყენებლის ქმედების ბრალებული ხასიათი არ დგინდება. ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობის – პირის ბრალებულობის არსებობა მოცემულ შემთხვევაში აუცილებელი სრულიადაც არ არის. ამასთან, საკასაციო სასამართლომ ასევე სწორად მიუთითა, რომ სატრანსპორტო სამუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უტყუარად უნდა დადგინდეს ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის გამომრიცხავ გარემოებათა არარსებობა, კერძოდ, პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს როგორც დაუძლეველი ძალა, ასევე დაზარალებულის ბრალი. ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სააპელაციო სასამართლომ, ზემოაღნიშნული დასაბუთების გათვალისწინებით, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა შეამოწმოს გ.მ-ის სასარჩელო მოთხოვნა და თავის გადაწყვეტილებაში დაასაბუთოს გამოსაკვლევი მოთხოვნის კანონიერება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე №ას-494-463-2010 მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, არის დასაბუთებული და ხელს შეუწყობს ანალოგიურ საქმეებზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

### ზურაბ ძლიერიშვილი

სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, კერძო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი

67. საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ.30

68. „იქვე“, გვ.30

